წლიწადი მეექვსე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების
საბჭოების
ცენტრალური აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში სამსახურით მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58
ექსპედიციის ტელეფ. 5—48.

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34; ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურე 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კაპ., ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 საათამდე.
სტამბის ტელეფ. 18—80.

## დ ღ ი უ რ ი

— საფრანგეთ—ესპანეთის დელეგაციამ [illegible] რიფების დელეგატებს.

— ინგლისის პარლამენტის დამატებით [illegible] მუშათა პარტიის კანდიდატი სიუზანა ლოურენს,

— უნგრეთის სასამართლოდან მოიპარეს ყალბი ფულის მჭრელთა საქმე.

— რადიჩის პარტია ხელახლა შეურიგდა უზუნავიჩის მთავრობას.

ოთხშაბათი, 5 მაისი 1926 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 99 (1554)

# საყოველთაო გაფიცვა ინგლისში.-გაფიცულია 4 მილიონზე მეტი მუშა

## მეფის ბრძანებით მთელ ინგლისში გამოცხადებულია საგანგებო წესები

## მთავრობა ამზადებს სამხედრო ძალებს.-ლონდონის საგაფიცვო კომიტეტის თავმჯდომარეთ არჩეულია პერსელი.-გამოცემულია ბრძანება კომუნისტ დეპუტატის საკლატვალას დაპატიმრების შესახებ

## გენერალური ბრძოლა დაიწყო

უაღრესი მსოფლიო მნიშვნელობის ამბების მოწმენი ვართ. ისტორიას ჯერ არ ახსოვს ისეთი გრანდიოზული გაფიცვა, რომელიც ინგლისში დაიწყო. მილიონ ორას ათასს მემაღაროეთ, რომელთაც პირველ მაისს გამოაცხადეს გაფიცვა, კლასობრივი სოლიდარობის ნიშნად გვერდში ამოუდგენ მრეწველობის დანარჩენ დარგების მუშები. საყოველთაო გაფიცვაში მონაწილე მუშების რიცხვი აღემატება ოთხ მილიონს. ეს ინგლისის თითქმის მთელი შეკავშირებული პროლეტარიატია.

გადამწყვეტ შეტაკებისათვის მზადება კარგა ხანია გამალებით აწარმოვა ორივე მხარე: ერთი მხრივ მემაღაროები, მეორე მხრივ მაღაროების მეპატრონეები. როგორც ვიცით, უკანასკნელნი მოითხოვდენ სამუშაო დღის გადიდებას, ხელფასის შემცირებას, ახალ ხელშეკრულებათა დადებას ოლქობრივ და არა საერთო ინგლისური მასშტაბით, როგორც დღემდე იყო. კონსერვატიულ მთავრობის მიერ დანიშნულმა „მიუდგომელმა" კომისიამ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ნახშირის მრეწველობის მდგომარეობის გამორკვევა და რომელშიც უმთავრესად მრეწველები და ბანკირები შედიოდნენ, დაადასტურა მაღაროების მეპატრონეთა მოთხოვნები.

ბალდუინი, რომელიც მხარეთა შორის „შუამავლის" როლში გამოვიდა, მთლიანად დადგა სანახშირო კომისიის მოხსენების ნიადაგზე და მუშების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებას აწარმოებდა, რათა ისინი დათანხმებულიყვნენ ამ მოხსენების დასკვნებზე. მემაღაროელებმა გადაჭრით უარყვეს ეს წინადადება, მათ არ მოისურვეს თავისი ისედაც მძიმე პირობების კიდევ უფრო გაუარესება. მემაღაროებს სხვა გზა არ დარჩენოდათ, თუ არა გაფიცვის გამოცხადება თავის ინტერესების დასაცავათ. მოლაპარაკება მთავრობასა და ტრედ-იუნიონების გენერალური საბჭოს შორის ამის შემდეგაც გრძელდებოდა. ამავე დროს გენერალურმა საბჭომ ინსტრუქციები დაუგზავნა ყველა კავშირებს სოლიდარობის გაფიცვის გამოცხადების შესახებ, თუ მთავრობა დათმობაზე არ წავიდოდა. ბალდუინის კაბინეტმა მოსთხოვა გენერალურ საბჭოს ამ ინსტრუქციების უკან წაღება ყოველ პირობების გარეშე, რის შესრულება ნიშნავდა საბჭოს სრულ კაპიტულიაციას. ამაზე გენერალური საბჭო ვერ წავიდოდა და მოლაპარაკებაც შეწყდა. საყოველთაო გაფიცვის მუქარა ფაქტად იქცა.

აშკარა კლასობრივ ბრძოლაში პირისპირ დგას ორი მოწინააღმდეგე კლასი—პროლეტარიატი და კაპიტალისტები. ინგლისის მუშათა კლასისათვის ცხადი შეიქნა ის საანბანო ჭეშმარიტება, რომელიც ბევრისათვის რეფორმისტ ბელადების წყალობით კიდევ არ იყო სავსებით გარკვეული, სახელდობრ ის, რომ მთავრობა, რომელიც საერთო ნაციონალურ, ზეკლასიურ ორგანოდ აცხადებდა თავს, კაპიტალისტების აღმასრულებელი ძალაა: კონსერვატორების მთავრობა დაწყებულ ბრძოლაში მთლიანად კაპიტალისტების მხარეზე აღმოჩნდა, როგორც ეს მოსალოდნელი იყო. ამასთან, ბოლო ეღება ოპოზიციობით თამაშს ბურჟუაზიის შიგნით: მუშათა კლასის წინააღმდეგ საზღვარი იშლება ბურჟუაზიის მემარჯვენე და „მემარცხენე" ფრთას შორის და იქმნება მისი ერთიანი ფრონტი.

გაფიცვა აშკარა პოლიტიკურ ხასიათს ღებულობს. არც შეიძლება მის ვიწრო ეკონომიურ ჩარჩოებში მოქცევა, როცა გაფიცვაში ჩაბმულია ინგლისის მთელი პროლეტარიატი და როცა იგი ემუქრება კაპიტალისტურ მეურნეობას მთლიანად.

მთავრობა აქტიურად ჩაება გაჩაღებულ კლასობრივ ბრძოლაში. გამოცხადებულია საალყო წესები. დაიწყო დევნა გაფიცვის ხელმძღვანელების. უკვე გაცემულია ბრძანება კომუნისტ დეპუტატის საკლატვალას დაპატიმრების შესახებ: ფეხზეა დაყენებული ჯარი, პოლიცია, ფლოტი, ამოძრავდენ ფაშისტური შტრეიკბრეხერთა ორგანიზაციები. მთავრობა და მრეწველები ცდილობენ გაფიცვის ჩასაქრობად გამოიყენონ უმუშევრები.

მეორე მხრივ ამხედრებული პროლეტარიატი იშვიათ კლასობრივ სოლიდარობას და რევოლიუციონურ ნებისყოფას იჩენს. მემაღაროებს, რომელთაც გააჩაღეს გმირული ბრძოლა ექსპლოატატორების მადის შესაკვეცად როგორც ვსთქვით, გვერდში ამოუდგენ სხვა დარგის მუშები. უკანასკნელთათვის უდავოა, რომ მემაღაროეთა დამარცხება მათი დამარცხებაც იქნება. მემაღაროეთა გატეხის შემდეგ ეჭვი არ არის, ჯერი მათზე მიდგება.

ყველაზე უფრო საგულისხმო ის არის, რომ ინგლისელ მუშების დღევანდელი ბრძოლა სტიქიური ხასიათისაა, მისი ინიციატივა პროლეტარიატის ქვედა ფენებიდან გამომდინარეობს. და იმდენად მძლავრია მასსების საომარი განწყობილება, რომ ამას ძალაუნებურად აყვენ ისეთი რეფორმისტული ბელადები, რომელთა ხელობად დიდი ხანია რაც გადაიქცა მუშათა კლასის გამცემლობა. ისინი დღეს ვერ ბედავენ აზღვავებული მასსების წინააღმდეგ აშკარად გამოსვლას, რომ არ დარჩენ მათგან სავსებით გარიყულნი და წალეკილნი. მაინც უდავოა, რომ „ბელადების" ეს იძულებითი სოლიდარობა პროლეტარიატის ბრძოლისათვის დიდხანს ვერ გასტანს. ისინი ყოველღონეს იხმარენ, რომ გაფიცვა ჩააყენონ „მშვიდობიან" კალაპოტში, კიდევ მეტი: გადამწყვეტ მომენტში ჩასცენ მას ზურგიდან ლახვარი და შეიტანონ დეზორგანიზაცია მუშათა მთლიან რიგებში, რომ საქმე „მორიდებით" დამთავრდეს. პროლეტარიატის ბრძოლის უნარსა, ენერგიასა და შეგნებაზეა დამოკიდებული, რომ რეფორმისტებმა ეს ღალატი არ გაბედონ.

არა ნაკლებ საგულისხმოა ის გარემოება, რომ ინგლისელ მუშების გაფიცვასთან დაკავშირებით იქმნება საერთაშორისო პროლეტარიატის სოლიდარობა. ჩვენ ვიცით სამთომადნო მუშათა ინტერნაციონალის აღმასკომის რეზოლიუცია ინგლისელ მემაღაროეებისათვის მხარის დაჭერის შესახებ. თვით ამსტერდამის ინტერნაციონალის ბიურო იძულებული გახდა მხარი დაეჭირა გაფიცულებისათვის. ვნახოთ, რამდენად გულწრფელი და მკვიდრი იქნება ეს დახმარება. მისი წინანდელი ნაბიჯები ამ მხრივ საფუძვლიან ეჭვებს იწვევს. ცალკე ქვეყნების მუშებიც აქტიურ დახმარებას პირდებიან ინგლისელ ამხანაგებს.

ზედმეტია ლაპარაკი, რომ წითელი პროფინტერნი იმთავითვე ენერგიულად უჭერს მხარს ინგლისელ მებრძოლებს და ამ მიზნით იგი რაზმავს მსოფლიო მუშათა კლასს. კერძოდ საბჭოთა კავშირის მშრომელებს დღეს უდიდესი მოვალეობა აწევთ. ჩვენ მზად ვართ ყოველგვარი მორალური და მატერიალური დახმარება აღმოუჩინოთ ინგლისელ პროლეტარებს.

ინგლისში დაიწყო ჯერ არგაგონილი ბრძოლა შრომასა და კაპიტალს შორის. ინგლისელ მუშების გამარჯვება შეტევაზე გადმოსულ კაპიტალისტებზე მეტად მნიშვნელოვანი საფეხური იქნება საერთაშორისო პროლეტარიატის ბრძოლის ისტორიაში. მათი დამარცხება მსოფლიო მუშათა კლასის დამარცხება იქნება. ინგლისის და მასთან ყველა ქვეყნის ბურჟუაზია მთლიანი ფრონტით გამოდის ბრძოლაში ჩაბმულ ინგლისელ მუშათა კლასის წინააღმდეგ. ბურჟუაზიის ამ ერთიან ფრონტს უნდა დაუპირდაპირდეს საერთაშორისო პროლეტარიატის უფრო მძლავრი და შემჭიდროებული ფრონტი. მხოლოდ ამ შემთხვევაში გაიმარჯვებს ინგლისის პროლეტარიატი და მასთან მთელი საერთაშორისო მუშათა კლასი.

* * *

## ბეჭდვითი სიტყვის დღე

ხუთი მაისი მიძღვნილია ბეჭდვითი სიტყვის დღისათვის. უეჭველად კარგი ტრადიციაა ამ დღის შემოღება და ყოველწლიურად აღნიშვნა. ამ დღეს მშრომელთა საზოგადოებრივი აზრი საგანგებოდ ჩერდება საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვაზე, უფრო მჭიდროდ უახლოვდება მას, ითვალისწინებს მის ამოცანებს და ნაკლოვანებებს თუ მიღწევებს, რომ მუშათა კლასმა მთლიანად და სათანადოდ გამოიყენოს ბრძოლის და აღმშენებლობის ეს ბასრი იარაღი.

დიახ, ბეჭდვითი სიტყვა ბასრი იარაღია, ერთი საუკეთესო საშუალებათაგანია დასახულ მიზნის მისაღწევად. და ეს ჩვენზე არა ნაკლებ ესმის ბურჟუაზიას და ამიტომაცაა, რომ ამოდენა ყურადღებას აქცევს ბეჭდვითი სიტყვას, კერძოდ პრესას. კაპიტალისტური პრესა მძლავრი ფაქტორია კაპიტალისტური წყობილების განმტკიცების საქმეში. კაპიტალისტები პრესის საშუალებით ჰქმნიან „საზოგადოებრივ აზრს" თავისი საქმეების „მოსაჭახრაკებლად". ამასთან, ერთმანეთისათვის „სამარის გასათხრელად". რამდენადაც მათ შორის არსებობს ინტერესთა წინააღმდეგობა.

სამაგიეროდ ბურჟუაზიული პრესა მთლიანი ფრონტით გამოდის, როცა საქმე ეხება კაპიტალისტური რეჟიმის დაცვას და მის წინააღმდეგ ამხედრებულ მუშათა კლასის დაშოშმინებას. ბურჟუაზია მრავალ მილიონობით და თითქმის უფასოდ ავრცელებს თავის ბეჭდვითი სიტყვას, რომ მოსწამლოს პროლეტარიატის კლასობრივი შეგნება, აალღინოს ის რევოლიუციონურ ბრძოლის გზას და თავისი მონა-მორჩილი გახადოს.

მის ერთგულ მოკავშირედ გამოდის ამ შემთხვევაში, როგორც საერთოდ ყოველ დარგში, „სოციალისტური" პრესა, ის ბურჟუაზიის საუკეთესო აგენტია მუშათა კლასში. ის დღემუდამ ჩასჩიჩინებს მასას ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის საჭიროებას.

აქ აშკარად მოსჩანს სოციალ-დემოკრატიულ პრესის გამყიდველობა. იდეოლოგიურად მოსყიდულია მთელი რეფორმისტული პრესა, რომელიც ბურჟუაზიის საქმეს ემსახურება მუშათა კლასში. ხშირია პირდაპირი მოსყიდვის, მოქრთამვის შემთხვევებიც. ამ მხრივ რადა ღირს მარტო სპეკულიანტ ბარმატის ისტორია გერმანიაში, ბარმატის, რომელიც უხვ სუბსიდიას აძლევდა სოციალ-დემოკრატიულ პრესას, კერძოდ „ფორვერტს"-ს.

ბურჟუაზიული პრესის თავისუფლება ეს მოჩვენებაა, ფიქცია, ისე როგორც ბურჟუაზიული დემოკრატია, ბურჟუაზიული თავისუფლებები. იგი ნივთიერად და იდეოლოგიურად იმყოფება კაპიტალისტების სრულ ტყვეობაში.

იქ მხოლოდ კომუნისტური პრესაა ნამდვილად დამოუკიდებელი, დამოუკიდებელი ბურჟუაზიისაგან. მხოლოდ იგი ემსახურება თავგამოდებით პროლეტარიატის განთავისუფლების საქმეს. იგი სულდგმულობს მშრომელთა კაპეიკებით და მათი კალმით. მაგრამ ამ პრესას, რა თქმა უნდა ბურჟუაზია გასაქანს არ აძლევს. კომუნისტური გამოცემების დახურვა და დარბევა კაპიტალის სამეფოში ჩვეულებრივი მოვლენაა. ეს მოწმობს, რომ ნამდვილად იქ არავითარი თავისუფლება არ არსებობს ბეჭდვითი სიტყვის.

მხოლოდ საბჭოთა კავშირში, სადაც მშრომელებს ხელთ უპყრიათ ძალაუფლება, არსებობს ნამდვილად თავისუფალი პროლეტარული პრესა, რომელიც ემსახურება მუშების და გლეხების ინტერესებს. ჯერ რევოლიუციამდე ბოლშევიკურმა პრესამ უდიდესი როლი შეასრულა მუშათა მასების კლასობრივ გათვითცნობიერების და დარაზმვის საქმეში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ის გახდა პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების უმძლავრეს იარაღად.

რა ამოცანები სდგას დღეს მის წინაშე? თავის თავად ცხადია, რომ ის წინანდებურად განაგრძობს მუშაობას ლენინიზმის იდეების გასავრცელებლად, მასების პოლიტიკურ და კულტურულ შეგნების დონის ასაწევად, საერთაშორისო პროლეტარულ სოლიდარობის განსამტკიცებლად, ხალხთა შორის ძმური ურთიერთობის და თანამშრომლობის დასამყარებლათ და სხ.

ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ ამოცანებს, რომელნიც დღეს წამოჭრილნი არიან პარტიისა და ხელისუფლების წინაშე. ამ ჟამად ჩვენ ჩაბმულნი ვართ სოციალიზმის პრაქტიკულ მშენებლობაში. მასების ორგნიზაცია ამ მშენებლობისათვის—ასეთია პრესის უმთავრესი სადღეისო ლოზუნგი.

სამეურნეო აღმშენებლობაში უდიდესი სიძნელეები გვეღობება. ჩვენ განვიცდით საშუალებათა სიმცირეს. ეს საშუალებები უნდა ვიშოვოთ ჩვენი ქვეყნის შიგნით და აქ პირველ რიგში სდგას სოციალისტური დაგროვების ამოცანა, უკიდურეს მომჭირნეობის დაცვის საჭიროება. პრესამ უნდა დარაზმოს ამ საკითხის გარშემო მუშათა საზოგადოებრივი აზრი.

ჩვენს აღმშენებლობაში ჯერ კიდევ მრავალ უთავბოლობას და ნაკლს აქვს ადგილი. მთელი სამეურნეო და საბჭოთა აპარატის მუშაობის რაციონალიზაცია, გეგმიანი მუშაობა, ყოველგვარი გაუმართლებელი ხარჯების მოსპობა, დაუზოგავი ბრძოლა სახალხო ქონების მფლანგველობასთან, მცირე საშუალებებით მაქსიმალური შედეგების მიღება, შრომის ნაყოფიერების და შრომის დისციპლინის განმტკიცება,—ამას პრესამ უნდა დაუთმოს განსაკუთრებული ყურადღება.

ამ ამოცანების წარმატებით განხორციელება შეიძლება მხოლოდ მუშათა მასების ამოქმედებით, საბჭოთა საზოგადოებრივობის განვითარებით. საბჭოების, პროფკავშირების და მშრომელთა ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციების მუშაობის გამოცოცხლება და აქ სწორი პარტიულ ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა — პრესის ერთ-ერთ მთავარ დანიშნულებას შეადგენს.

თავის თავად ცხადია, ამ ამოცანის განხორციელებას მარტო პრესის უშუალო მუშაკები ვერ შესძლებენ. ჩვენი ლოზუნგია მშრომელთა საქმე კეთდებოდეს მათივე ხელებით. პრესის მიმართ ამ ლოზუნგის გატარება ნიშნავს მუშა და გლეხ კორესპონდენტთა ფართოთ ჩაბმას საგაზეთო მუშაობაში. ამ მხრით საბჭოთა-პარტიულ პრესას უდიდესი მიღწევები აქვს. უცართოესი გზა მუშა და გლეხ კორესპონდენტებს—ერთხელ კიდევ აყენებს ამ ლოზუნგს ჩვენი პრესა დღეს.

ამას გარდა პრესამ უნდა მოახერხოს უფრო მეტი კავშირის გაბმა მკითხველ მასებთან. საბჭოთა პრესა მასიური პრესაა. მისი ტირაჟი შეუდარებლად გაიზარდა. ჩვენში მას მრავალი ათეული ათასი მუშა და გლეხი მკითხველი ჰყავს. ამ მიმართულებით შემდეგისათვის მუშაობა უნდა გავაღრმავოთ. უფრო უნდა გავზარდოთ მოთხოვნილება საბჭოთა გაზეთზე, წიგნზე. მასიური მკითხველების მოთხოვნილებათა და საჭიროების შესწავლა და ამის მიხედვით თავისი შინაარსით და ხასიათით ბეჭდვითი სიტყვის მჭიდროდ დაახლოვება მასასთან—ამას უნდა მიექცეს მეტი ყურადღება, ვინემ ამას დღემდე ჰქონდა ადგილი.

რთულია და დიდი ის ამოცანები, რომელნიც დგანან ჩვენი ბეჭდვითი სიტყვის წინაშე. პარტიის ხელმძღვანელობით და მშრომელ მასების აქტიურ მონაწილეობით საბჭოთა-პარტიული ბეჭდვითი სიტყვა, ეჭვი არ არის, შემდეგშიც პირნათლად და უფრო მეტი ენერგიით გააგრძელებს თავისი საპასუხისმგებლო მოვალეობის შესრულებას.

### საყოველთაო გაფიცვა

**ლონდონი, 3 მაისი. რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ მოლაპარაკება უნაყოფოდ დამთავრდა. საყოველთაო გაფიცვა ი წყება 3 მაისს შუაღამით.**

**ლონდონი**, 4 მაისი. ტრედ-იუნიონების გენერალურმა საბჭომ, მაღაროების მეპატრონეთა აღმასკომმა და მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციამ გამოაქვეყნეს ოფიციალური განცხადება, რომელშიაც ნათქვამია, რომ მათ სავსებით შეგნებული აქვთ მდგომარეობის სერიოზულობა და ისინი კმაყოფილნი იქნებიან, თუ გამონახულ იქნა საფუძველი მოლაპარაკების განახლებისათვის.

### მთავრობის ოფიციალური ცნობა

**ლონდონი, 2 მაისი, ოფიციალურად იტყობინებიან: „1 მაის ინგლისის პროფკავშირების კონფერენციამ დაადგინა 3 მაისს, შუაღამისას გამოცხადდეს საერთო გაფიცვა, თუ აღნიშნულ დროისათვის არ იქნება მოგვარებული კონფლიქტი სამთამადნო მუშებთან.**

**მეფის ბრძანებით, ინგლისში გამოცხადებულია საგანგებო წესები".**

### მემაღაროეთა აღმასკომის სხდომის შემდეგ



1) ჰერბერტ სმიტ (მარცხნივ) მემაღაროეთა კავშირის თავმჯდომარე

2) არტურ პიუ ტრედ-იუნიონების გენერალური საბჭოს თავმჯდომარე

### საყოველთაო გაფიცვის შემდეგ

**ლონდონი**, 4 მაისი, 14 საათი და 15 წუთი. მიუხედავათ იმისა, რომ სტამბის მუშები შედიან გაფიცულთა რიცხვში, 6 გაზეთმა მაინც მოახერხა პატარა ნომრების გამოშვება. ტეხნიკურ ორგანიზაციების შემადგენლობაში, საგანგებო მდგომარეობის გამო, შევიდა 75.000 წევრი ინგლისის შეძლებულ საზოგადოებიდან. ამ ორგანიზაციების რიგებში შევიდა აგრეთვე უმუშევართა დიდი რიცხვი.

**ლონდონი**, 3 მაისი, 14 საათი და 30 წუთი. საყოველთაო გაფიცვა ინგლისში დაიწყო სამშაბათ შუაღამეზე. მას შემდეგ რაც 11 საათზე დამარცხდა ცდა მისი თავიდან აცილების შესახებ. მეფის ბრძანება აცხადებს საგანგებო მდგომარეობას, რომელიც მიღებულია თემთა პალატის მიერ 200 ხმის უმრავლესობით. ამ დადგენილების მიღების დროს პალატის შენობის წინ აუარებელ მუშამ მოიყარა თავი. ყველა მატარებლები, რომლებიც წინა ღამით იმ ნავთსადგურებში წავიდნენ, საიდანაც გემები კონტინენტზე მიდიან, სავსე იყო. დღეს დილით უკან მხოლოდ მატარებელთა მცირე რიცხვი დაბრუნდა. გამოცემულია ბრძანება სურსათ-სანოვაგით სპეკულიაციის წინააღმდეგ. ჯარებს მიეცათ ბრძანება საჭიროებისათვის დროზე იყოლიონ მსუბუქი ავტომობილები.

### პერსელი—საგაფიცვო კომიტეტის თავმჯდომარე

**ლონდონი**, 3 მაისი. ლონდონის საგაფიცვო კომიტეტის თავმჯდომარედ პერსელი დაინიშნა.

### გაფიცულია 4 მილიონზე მეტი მუშა

**ლონდონი**, 4 მაისი. ქვეყნდება სია იმ პროფკავშირებისა, რომელთა წევრები გაიფიცენ 3—4 მაისს ღამით:

რკინისგზელების, მემანქანეების და ცეცხლის შემკეთებელთა გაერთიანებული კავშირი—60.000 კაცი.

რკინისგზელთა ნაციონალური კავშირი—330.000.

[illegible] რი—60.000.

საზღვაო ტრანსპორტის მუშათა გაერთიანებული კავშირი—8.000.

მტვირთავების, მენავეების და დოკერების შემკეთებელთა გაერთიანებული კავშირი—16.000.

სამშენებლო მუშათა და კონსტრუქტორების გაერთიანებული კავშირი—30.000.

ამშენებელ მუშ. გაერთიანებული კავშირი—60.000;

ხის დამმუშავებელთა გაერთინებული კავშირი—10.000;

ელექტრონზე მომუშავეთა გაერთიანებული კავშირი—80.000;

რკინის ფორმების ჩამომსხმელთა ცენტრალური კავშირი—7.000;

რკინის და ფოლადის სამრეწველო მუშების კავშირი—96.000;

მბეჭდავთა ლონდონის საზოგადოება—15.000;

ჩამომსხმელ მუშათა ნაციონალური კავშირი—40.000;

ლითონზე მომუშავე მექანიკოსების ნაციონალური კავშირი—16.000;

მემანქანეების, ცეცხლის შემკეთებელთა, მექანიკოსების და ელექტრონზე მომუშავეთა ნაციონალური კავშირი—21.000;

მეზღვაურთა და ცეცხლის შემკეთებელთა ნაციონალური კავშირი—60.000;

გემის მშენებლების და დოკერების ნაციონალური გაერთიანებული კავშირი—55.000;

მბეჭდავ მუშების და შეგირდების ნაციონალური კავშირი—18.000;

შავ მუშათა მუნიციპალური კავშირი—320.000;

მბეჭდავთა, მკინძავთა და ქაღალდზე მომუშავეთა ნაციონალური კავშირი—70.000;

ტრანსპორტის და შავ მუშათა კავშირი—300.000;

სტამბის მუშათა კავშირი—31.000;

ღუმელების, მაღაროების მუშების, კოქსის ამომღებ და მონათესავე პროფესიის მუშების ნაციონალური კავშირი—18.000;

ტყვიაზე მომუშავეთა და მექანიკოსთა გაერთიანებული კავშირი—18.000;

საფაბრიკო მუშათა კავშირი—140.000;

დასახელებულ პროფკავშირთა გაფიცულ წევრთა საერთო რიცხვი უდრის 2 მილიონ კაცს. გარდა ამისა გაიფიცა მთელი რიგი უფრო პატარა პროფკავშირებისა.

**თუ მხედველობაში მივიღებთ მრეწველობის სხვადასხვა დარგებში გაფიცულ მუშათა საერთო რიცხვს და მივუმატებთ სამთომადნო მუშებს, რომელნიც უკვე 1 მაისიდან აღარ მუშაობენ, გაფიცულთა საერთო რიცხვი შეადგენს 4—4½ მილიონ კაცს.**

### პოლიციის რაზმები

**ლონდონი, 3 მაისი. 3 მაისს პოლიციის კომისრის ბრძანებით მობილიზაციით გამოიწვიეს პოლიციის საგანგებო სარეზერვო რაზმები, რომელნიც მთავრობამ შექმნა გაფიცვების წინააღმდეგ საბრძოლველად.**

**ინგლისის არმიაში შეწყდა ყოველგვარი შვებულება. ჯარებმა მიიღეს ბრძანება ყოველთვის მზად იყვნენ საომრად.**

ფაშისტების შტრეიკბრეხერული „მომარაგების დაცვის ორგანიზაცია" გადავიდა მთავრობის განკარგულებაში.

### კამათი თემთა პალატაში

**ლონდონი**, 3 მაისი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ 3 მაისს თემთა პალატის დარბაზი ხალხით სავსე იყო.

### ბოლდუინის სიტყვა

ბოლდუინმა გამოაქვეყნა მეფის დეკრეტი საგანგებო წესების შემოღების შესახებ, რომელმაც კენჭისყრის დროს მიიღო 308 ხმა 108-ის წინააღმდეგ.

ბოლდუინმა განაცხადა, რომ ინგლისში შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, როცა „თვითნება მთავრობამ ბრძოლა გამოუცხადა კანონიერ მთავრობას". მუშათა ბელადები ისე დაუახლოვდენ სამოქალაქო ომის გამოცხადებას, როგორც ეს ინგლისში არ მომხდარა რამდენიმე საუკუნის განმავლობაში. „საფრთხე — განაცხადა ბოლდუინმა—ამჟამად მოელის არა მარტო სამუშაო ხელფასს, არამედ ჩვენს თავისუფლებას და კონსტიტუციას. ყველაფერი, რისთვისაც მე 2 წლის განმავლობაში ვმუშაობდი, **ყველაფერი, რაც ჩემთვის ძვირფასი იყო, ეხლა უკვე დამსხვრეულია".**

შეეხო რა მოლაპარაკების ისტორიას — ბოლდუინმა განაცხადა:

ჩემთვის მთელი სიძნელე იმაში მდგომარეობდა, რომ სამთამადნო მუშების წარმომადგენლები გადაჭრით უარყოფდენ სამუშაო ხელფასის რაიმე შემცირებას, ან სამუშაო დღის გადიდებას. ეს იმას ნიშნავდა, რომ შეუძლებელია რაიმე მუშაობის წარმოება ქვანახშირის მრეწველობაში მთავრობის სუბსიდიის გარეშე, ე. ი. ნახშირის მრეწველობა ხელახლა ვარდებოდა ისეთ მდგომარეობაში, როგორშიაც ის იყო წარსული წლის ივლისიდან. მთავრობას არ შეეძლო ეძლია სამუშაო ხელფასი სამთამადნო მუშებისათვის და მოგება ნახშირის მრეწველებისათვის.

### ტომასის სიტყვა

ბოლდუინის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა **ტომასმა** (იგლისის რკინისგზელთა კავშირის გენერალური მდივანი, პროფკავშირების გენერალურ საბჭოს ერთ-ერთი ყველაზე უფრო მემარჯვენე წევრი). მან განაცხადა:

**„მუშებს სხვა გზა არ ჰქონდათ, გარდა გაფიცვისა.** მაგრამ შექმნილი მდგომარეობა სასიხარულო იქნება მხოლოდ იმ ხალხისთვის, რომელიც უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენს. ამ ხალხს მონაწილეობა არ მიუღია მოლაპარაკებაში და ჩვენც მათთან თათბირი არ გვქონია.

„მიუხედავად შექმნილი მდგომარეობისა — სთქვა შემდეგ ტომასმა —ამჟამად მაინც არის გამოსასვლელი გზა". ტომასი ამბობს, რომ პარლამენტს შეეძლო „უფრო ღირსეული შეთანხმების" მიღწევა და ის, პირველი შესაძლებლობისთანავე, მზად არის წარმოადგინოს თავისი წინადადება.

„რაც შეეხება რევოლიუციას,— დასძინა ტომასმა,—მე არ მჯერა, რომ მას მხარი დაუჭიროს ინგლისის მოსახლეობის თუნდაც 2 პროცენტმა. მიუხედავად ამისა ამ გაფიცვაში ჩაბმული ხალხი, შეიძლება ისეთ პირობებში მოექცეს, რომელთაც ისეთივე შედეგები მოჰყვება, როგორსაც რევოლიუცია იწვევს.

### ლოიდ-ჯორჯის სიტყვა

ლოიდ-ჯორჯი მოუწოდებდა პარლამენტს განეხილა საკითხი! შეიძლება თუ არა მიღებული იქნას რაიმე ზომები თუნდაც ეხლა, რათა თავიდან აცილებული იქნას კატასტროფა. მისი აზრით, საყოველთაო გაფიცვის მუქარა დიდი შეცდომაა. გაფიცვისათვის პასუხისმგებელი პირნი არიან ის ადამიანები, რომელნიც ენერგიულად იბრძოდენ კონსტიტუციის წინააღმდეგ. მას უნახავს ბევრი გაფიცვები, მაგრამ თემთა პალატა ყოველთვის ერის მესვეურად რჩებოდა და ბოლოს მისი ჩარევის შემწეობით მშვიდობიანობა მყარდებოდა. ის დარწმუნებულია, რომ იგივე განმეორდება ეხლაც.

[illegible]

ლოიდ ჯორჯმა შემდეგ დააყენა საკითხი, შესაძლებელია თუ არა მოლაპარაკების განახლება. ის არ ფიქრობს, რომ თემთა პალატა წინააღმდეგი იქნება სუბსიდიის გაგრძელებისა ორი კვირის განმავლობაში მოლაპარაკების დასამთავრებლად.

ბოლოს, ლოიდ-ჯორჯმა სთხოვა ბოლდუინს ერთხელ კიდევ სცადოს მშვიდობიანობის დამყარება.

### ჰორნის სიტყვა

კონსერვატორმა რობერტ ჰორნმა გადაჭრით გაჰკიცხა ტრედ-იუნიონების საბჭოს მოქმედება, რომელიც გაფიცვის მუქარას შეიცავს.

მისი სიტყვით, საბჭომ ისე დაიწყო მოქმედება. რომ წინასწარ არ ითათბირა თავის წევრებთან.

### საკლატვალას სიტყვა

კომპარტიის დეპუტატმა **საკლატვალამ** განაცხადა: „ტომასმა თავის სიტყვაში გაატარა აზრი, რომ კომუნისტური პარტია გაფიცვის კულისებში მუშაობს და ცდილობს ის სისხლის მღვრელ რევოლიუციად გადააქციოს. ვინც კომუნისტური პარტიის არსებობას იცნობს, მიხვდება, რომ ბრძოლა სამუშაო ხელფასის შემცირების წინააღმდეგ ვერავითარ შემთხვევაში ვერ შესცვლის დიდ, კაპიტალიზმის საწინააღმდეგო რევოლიუციას.

კომპარტიის პოლიტიკა ეხლანდელ კონფლიქტში თავიდანვე იმაში მდგომარეობდა, რომ ყოველივე ძალ-ღონით დახმარებოდა სამთა-მადნო მუშებს. ტომასმა სთქვა, რომ კომუნისტებს არავინ ანგარიშს არ უწევდა და არც არავინ მათ რჩევა-დარიგებას ეკითხებოდათ. შესაძლებელია ეს ასეც იყოს, მაგრამ მეორეს მხრივ აშკარაა, რომ ორივე მხარეს ამ კონფლიქტში ზურგს უმაგრებდენ განსაზღვრული ძალები, რომელნიც მათ აქეზებდენ ამა თუ იმ გამოსვლებისაკენ. მთავრობა ამ შემთხვევაშიაც არ დაერიდებოდა ფარულ მოლაპარაკების სისტემას, მაგრამ მშრომელთა მასებმა ეხლა უკვე შეიგნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს უშუალო მოქმედებას საკუთარი პროფესიული ორგანიზაციების საშუალებით.

ბალდუინს ასეთი ხმაურობა არ უნდა აეტეხა გაფიცვის გამო: დიდი რევოლიუცია ჯერ კიდევ შორს არის, მაგრამ კომუნისტები მართლაც ლაპარაკობენ, რომ ინგლისელი მუშები ეხლა ისეთ მდგომარეობაში ჩავარდნენ, რომ მათ ზედი-ზედ ახალი კრიზისები მოელით".

კამათი ქვა-ნახშირის მრეწველობის კონფლიქტის გამო ღამის 11 საათზე დამთავრდა.

## ა.-კ. მშრომელთ

პირველი მაისის დღესასწაული—პროლეტარიატის ბრძოლის დღესასწაული—აღინიშნა ასეთი ცნობით, რომელიც უსათუოდ აღაფრთოვანებს საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელთ,—ეს ცნობა გვაუწყებს, რომ ინგლისის ქვა-ნახშირის მაღაროების მუშების გაფიცვა უკვე დაიწყო.

ინგლისის ქვა-ნახშირის მაღაროების მუშებმა, რომელნიც სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა კაპიტალსტებთან ბრძოლამ, კატეგორიულად უარჰყვეს კაპიტალისტების შემდეგი მოთხოვნილებანი: სამუშაო დღის გადიდება და სამუშაო ხელფასის შემცირება და ბრძოლა გამოუცხადეს თავიანთ ექსპლოატატორებს.

1 მაისს, ღამის 12 საათზე, მილიონ ორასი ათასმა მუშამ მიატოვა მუშაობა და აუწყა კაპიტალისტებს: არცერთი გირვანქა ნახშირი მანამდე, სანამ კაპიტალისტები ხელს არ აიღებენ თავიანთ მტაცებლურ მოთხოვნილებაზე—სამუშაო ხელფასის შემცირებისა და სამუშაო დღის გადიდების განზრახვაზე.

ინგლისელ მუშების სასტიკი ბრძოლა კაპიტალისტების წინააღმდეგ უკვე დაიწყო. ამ ბრძოლას უნდა მოჰყვეს მთელი რიგი ახალ კლასობრივ შეტაკებებისა ინგლისის და მთელ ევროპის პროლეტარიატსა და კაპიტალისტებს შორის.

ამხანაგებო მუშებო და გლეხებო! ჩვენს ძმებს—ინგლისელ მუშებს ამ მძიმე, გმირულ ბრძოლაში უნდა მივაშველოთ ჩვენი ყოველმხრივი მორალური და მატერიალური დახმარება.

ინგლისელი კაპიტალისტები ბოლდუინის და ჩემბერლენის მთავრობის მეთაურობით თავს უყრიან ფაშისტურ ძალებს და შტრეიკბრეხერებს იმ მიზნით, რომ ჩაშალონ გაფიცვა და მახვილი ჩასცენ ინგლისის პროლეტარიატს.

ინგლისელ მტაცებლების დასახმარებლად ირაზმება მთელი საერთაშორისო ბურჟუაზია.

საბჭოთა კავშირის მშრომელების მოვალეობაა ყოველმხრივი დახმარების გაწევა ინგლისის ქვა-ნახშირის მაღაროების მუშათა გააფთრებულ ბრძოლისათვის. მაშ, მოვიხადოთ ჩვენი პროლეტარული მოვალეობა. საერთაშორისო ბურჟუაზიის გაერთიანებულ დახმარებას ინგლისელ კაპიტალისტების მიმართ, დაუპირისპიროთ ყველა ქვეყნის პროლეტარების უფრო ძლიერი, უფრო შეკავშირებული დახმარება ინგლისელ სამთომადნო მუშების მიმართ.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური და თბილისის კომიტეტები, ამიერ-კავკასიის და საქართველოს პროფკავშირთა საბჭოები მოუწოდებენ ყველა პარტიულ და პროფესიულ ორგანიზაციებს, პარტიის და პროფკავშირების ყველა წევრთ—ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ ინგლისელ სამთომადნო მუშებს.

ძვირფასო ამხანაგებო! გამართეთ კრებები და მიტინგები. დასვით და განიხილეთ დაწყებული გაფიცვისა, და ინგლისელ მუშებისათვის მატერიალური დახმარებ. გაწევის საკითხები. ბოლდუინის და ინგლისელ კაპიტალისტების მიერ გაფიცვის ჩასაშლელად დაწყებულ ფაშისტების და შტრეიკბრეხერების მობილიზაციას, ჩვენი პარტია უპასუხებს მთელი მუშათა კლასის და ყველა მშრომელთა დარაზმვით ინგლისელ მუშების ბრძოლის დასახმარებლად.

იმ დღეს, როცა საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი ზეიმით დღესასწაულობს პირველ მაისს და ცხადყოფს თავის გამარჯვებას თავისი ქვეყნის კაპიტალისტებზე და მემამულეებზე,—ინგლისის პროლეტარიატმა ბრძოლის დროშა ააფრიალა და გმირული ბრძოლა გამოუცხადა ინგლისის კაპიტალს.

ეს ბრძოლა ინგლისის მუშათა კლასის გამარჯვებით უნდა დამთავრდეს.

გაუმარჯოს ინგლისელ სამთომადნო მუშების ბრძოლას!
გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარულ სოლიდარობას!
გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას!

**საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი.**
**საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი.**
**საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი.**
**ა.-კ. პროფკავშირთა საბჭო**
**საქართველოს პროფკავშირთა საბჭო.**

### მაკდონალდის სიტყვა

რამზეი მაკდონალდმა აღნიშნა, რომ ტრედ-იუნიონების საბჭო ზავის დასამყარებლათ მუშაობდა. მაღაროს მუშები, მისი სიტყვით, მართებულად მოიქცენ, როცა უარი სთქვეს ხელფასის შემცირებაზე. ქვა-ნახშირის კომისიამ თავის მოხსენებაში ის აზრი გამოსთქვა, რომ მსხვერპლის გაღება მუშების მიერ უნდა გაგრძელდეს, სანამ მიღწეული იქნება საბოლოო შეთანხმება. თუ საყოველთაო გაფიცვა დაიწყება— სთქვა მაკდონალდმა, როგორც არ უნდა იყოს მონაწილეების აზრთა სხვადასხვაობა ისინი გაფიცვაში გამოიჩენენ არა სიცხარეს, არამედ თავდაჭერილობას და შეეცდებიან სამართლიანობა და პატიოსნება დაიცვან.

### ჩერჩილის სიტყვა

ხაზინის კანცლერმა **ჩერჩილმა** განაცხადა, რომ საკითხი სუბსიდიის გაგრძელების შესახებ, რაზედაც აქ ლაპარაკობდენ, ხელახლა უნდა იქნეს განხილული; როგორც ხაზინის კანცლერი ის პოლიტიკურად თემთა პალატის ყველა წევრზე უფრო დაინტერესებულია, რომ განხეთქილება აცილებული იქნეს. მხოლოდ პარლამენტს შეუძლია გადასწყვიტოს საკითხი, თუ რამდენათ მიზანშეწონილია სუბსიდიის გაგრძელება დღევანდელ პირობებში.

### მემაღაროეთა ბელადები



მემაღაროეთა კავშირის აღმასკომის სხდომის შემდეგ

1) კუკ (მარცხნივ) მემაღაროეთა კავშირის მდივანი

2) რიჩარდსონ (კავშირის ხაზინადარი

### ჰოლანდიის მუშების დახმარება

**ამსტერდამი**, 3 მაისი. ტრანსპორტისმუშების ინტერნაციონალის აღმასკომმა და ჰოლანდიის სატრანსპორტო მუშათა კავშირმა გამოაქვეყნეს დეკლარაცია, რომელიც ნავთსადგურის მუშებს და მატროსებს ავალებს არ გაგზავნონ არც ერთი ტონა ნახშირი ინგლისში. მეზღვაურებმა უარი უნდა სთქვან სამსახურზე, თუ მათ გემებს გამოიყენებენ ნახშირის გადასაზიდავად.

### ბრძანება საკლატვალას დაპატიმრების შესახებ

**ლონდონი, 3 მაისი. გამოიცა ბრძანება თემთა პალატის წევრ კომუნისტ საკლატვალას დაპატიმრების შესახებ.**

### ამსტერდამის დახმარება

**ბერლინი,** 4 მაისი. გუშინ ამსტერდამში პროფკავშირების ინტერნაციონალის მდივანმა უდეგესტმა განცხადა, რომ კავშირთა **საერთაშორისო ფედერაცია, რომელსაც თავის განკარგულებაში აქვს 200 მილიონი გულდენი, დახმარებას გაუწევს გაფიცულ ინგლისელ მუშებს. მისი სიტყვით, საზღვარ-გარეთელ ამხანაგების დახმარებით გაფიცულებს შეუძლიათ გასძლონ 5 კვირის განმავლობაში.**

### ინგლისის კომპარტიის მოწოდება

**ლონდონი,** 3 მაისი. გამოქვეყნდა ინგლისის კომპარტიის მოწოდება ინგლისის მუშათა კლასისადმი.

მოწოდებაში ნათქვამია, რომ უდიდესი საფრთხე მუშათა მოძრაობისათვის იმაში მდგომარეობს, რომ მთავრობის და პროფმოძრაობის მემარჯვენე ფრთის ცდა განაცალკევონ სამთამადნო მუშები საერთო მოძრაობისაგან, შეიძლება განხორციელებულ იქნეს, თუ მოხერხდა სამთამადნო მუშების ყურადღების შესუსტება ძირითად საკითხისადმი. ეს საკითხი მდგომარეობს იმაში, **რომ სამთამადნო მუშები არავითარ შემთხვევაში არ უნდა დასთანხმდენ სამუშაო ხელფასის შემცირებასა და სამუშაო დღის გადიდებაზე.**

კომპარტია მოუწოდებს თვითეულ მუშას, იხმაროს ყოველივე ძალღონე, რათა ახლო მომავალში ყოველი კუთხის მუშები დაირაზმონ პროფსაბჭოს გარშემო, რომელიც აღჭურვილ უნდა იქნეს ფართო უფლებებით, როგორც მოქმედების კომიტეტი, მოითხოვოს მუშათა თავდაცვის რაზმების და აგრეთვე სურსათსანოვაგის კომიტეტების შექმნა კოოპერაციებთან ერთად, მოითხოვოს, რომ გენერალურ საბჭომ დაუყოვნებლივ მოიწვიოს პროფკავშირთა საერთაშორისო კონფერენცია, რომელმაც უნდა მიიღოს ზომები შტრეიკბრეხერობის წინააღმდეგ და უზრუნველჰყოს სამთამადნო მუშებისათვის დახმარება საერთაშორისო მასშტაბით.

### ბალდუინის წერილი

**ლონდონი,** 3 მაისი. დღეს დილით გამოირკვა, რომ მოლაპარაკება უნაყოფოდ დამთავრდა. ბოლდუინმა წერილით მიმართა ტრედიუნიონების გენერალურ საბჭოს თავმჯდომარეს არტურ პიუს, სადაც შექმნილ მდგომარეობის შემდეგნაირად ახასიათებს:

„მისი უდიდებულესობის მთავრობა ფიქრობს, რომ ქვა-ნახშირის მრეწველობის მდგომარეობის გამოსწორება, რაც ერთგვარად მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეთათვის, შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გულწრფელად მიღებული იქნება ქვა-ნახშირის კომისიის მოხსენება. „ქვა-ნახშირის კომისიის მოხსენების მიღება" გულისხმობს ქვა-ნახშირის მრეწველობის რეორგანიზაციას, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს; ვიდრე მიღებული არ იქნება გარკვეული შედეგები რეორგანიზაციის საქმეში, სამუშაო ხელფასისა და სამუშაო დროს ისე მოწესრიგება, რომ ამ ხნის განმავლობაში ეკონომიურად შესაძლებელი გახდეს მრეწველობის გაძღოლა. თუ ტრედიუნიონების კომისია თავის მხრივ თანახმა იქნება აშკარად განაცხადოს, რომ იგი იღებს მთავრობის ამ წინადადებას, მთავრობა მზად არის განაახლოს მოლაპარაკება და გააგრძელოს სუბსიდიის გაცემა ორი კვირის განმავლობაში.

მაგრამ იმ მოლაპარაკების შემდეგ, რომელიც გაიმართა მინისტრებსა და ტრედიუნიონების ს. წევრთა შორის, მთავრობისათვის აშკარა შეიქნა, რომ გენერალურ საბჭოს მიერ დაგზავნილია განსაკუთრებული ინსტრუქციები. რომელიც მრეწველობის ყველაზე მნიშვნელოვან დარიგებისა და დაწესებულებების მუშებს მოუწოდებს სამშაბათიდან დაიწყოს საერთო გაფიცვა; გარდა ამისა, ისეთ მოქმედებებსაც ჰქონია ადგილი, რომელიც პრესის თავისუფლების აშკარა დარღვევას წარმოადგენს. ეს მოქმედებანი ნიშნავენ აგრეთვე ერის თავისუფლების შელახვას. ამიტომ მისი უდიდებულესობის მთავრობა, ვიდრე მოლაპარაკებას გააგრძელებდეს, იძულებულია მოსთხოვოს გენერალურ საბჭოს, როგორც ზემოხსენებულ მოქმედებათა გაკიცხვა, ისე საყოველთაო გაფიცვების შესახებ გამოცემული ინსტრუქციების ყოველ მიზეზს გარეშე და დაუყოვნებლივ გაუქმება".

გენერალური საბჭოს პასუხი, პიუს ხელისმოწერით, ბალდუინს 3 საათზე და 30 წუთზე გაეგზავნა.

პასუხში გამოთქმულია გაკვირვება და მწუხარება მთავრობის ასეთი გადაწყვეტილების გამო იმ მომენტში, როდესაც მოლაპარაკება სწარმოებს შექმნილ მდგომარეობიდან თავის დასაღწევ საშუალების გამოსაძებნათ. შემდეგ პასუხში ნათქვამია: „მე საჭიროდ ვსთვლი მოგაგონოთ, რომ მუშებისთვის არაჩვეულებრივი არაფერია იმაში, რომ მუშები მუშაობას აჩერებენ თავის ინტერესების დასაცავათ. ასეთ გადაწყვეტილებას საფუძვლად უდევს მათი მისწრაფება მაღაროების მუშებისათვის უზრუნველჰყონ ისეთი უფლებები, როგორსაც თავისთვის მაღაროების მეპატრონეები მოითხოვენ, სახელდობრ,—მოლაპარაკება სწარმოებდეს თავისუფალ პირობებში, გაფიცვების და ლოკაუტების მუქარის გარეშე. რაც შეეხება იმ მოქმედებას, რომელიც თითქოს პრესის თავისუფლების შელახვას წარმოადგენს—სამწუხაროდ, ხელთ არ გვაქვს ინფორმაცია, რომელიც თქვენს წერილში მოყვანილ ცნობების სინამდვილეს ადასტურებდეს. გენერალურ საბჭოს არა აქვს არავითარი ცნობა ამგვარ აქტების შესახებ, მაგრამ თანახმად მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებისა, ასეთი თვითნებური საქციელი სასტიკად აკრძალულია. გენერალური საბჭო მწუხარებას გამოსთქვამს, რომ მას არ მისცეს საშუალება გამოერკვია ზემოხსენებული ინციდენტები, სანამ მთავრობა ამ გარემოებას დაეყრდნობოდა იმ მშვიდობიან მოლაპარაკების ჩასაშლელად, რომელიც სწარმოებდა".

### ბევინის ფორმულა

**ლონდონი,** 3 მაისი. პროფკავშირთა გენერალურ საბჭოს წევრმა ბევინმა (მემარჯვენე) შეიმუშავა შეთანხმების ახლი ფორმულა, რომელიც წარედგინება სამთომადნო მუშებს.

ეს ფორმულა მოითხოვს სამთომადნო მუშების სამუშაო ხელფასის შემცირებას რამოდენიმე ხნის შემდეგ, მანამდე კი ძველი განაკვეთები უნდა დარჩეს.

სამთომადნო მუშების კავშირის აღმასკომის აზრი ამ წინადადებაზე ჯერ არ იციან, მაგრამ საეჭვოა, რომ სამთომადნო მუშები დათანხმდნენ ბევინის ამ წინადადებას.

### გერმანიის კომპარტიის მოწოდება

**ბერლინი,** 3 მაისი. ინგლისის სამთო-მადნო მუშათა მიერ დაწყებულ ბრძოლის გამო, გერმანიის კომპარტიამ გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც ნათქვამია, რომ გერმანიის მუშები დამნაშავენი არიან ინგლისის პროლეტარიატის წინაშე, რადგან უფრო მეტ დროს მუშაობენ ვიდრე ინგლისის სამთო-მადნო მუშები და ამით აძლევენ ინგლისის ბურჟუაზიას მთავარ კოზირს სამთო-მადნო მუშათა წინააღმდეგ ბრძოლაში. გერმანიის მუშებმა ზომები უნდა მიიღონ, რომ გერმანიიდან არც ერთი ტონა ქვა-ნახშირი არ იქნას გატანილი ინგლისში. გარდა ამისა გერმანიის სამთო-მადნო მუშებს მიეცათ საშუალება იბრძოლონ 7 ს. სამუშაო დროის აღდგენისა და ხელფასის გადიდებისათვის, რადგან ეხლა ბათილდება მენშევიკური ლიდერების ძველი მოსაზრება, რომ ინგლისიდან ნახშირის მიღების გამო უმუშევრად იქნება გერმანიის სამთო-მადნო მუშათა გაფიცვა.

### იაპონიის მუშების სოლიდარობა

**ტოკიო,** 3 მაისი. იაპონიის სამთომადნო მუშათა პროფკავშირის აღმასკომმა სოლიდარობა გამოუცხადა გაფიცულ ინგლისელ სამთო-მადნო მუშებს.

### შოტლანდიის პროფკავშირების პოზიცია

**ლონდონი, 3 მაისი. შოტლანდიის** პროფკავშირთა საბჭომ მოიწონა ინგლისის პროფკავშირთა გენერალურ საბჭოს მოქმედების გეგმა და განაცხადა, რომ შოტლანდიის პროფკავშირები მხარს დაუჭერენ საყოველთაო გაფიცვას ინგლისში.

### ვალიუტა ეცემა

**ლონდონი,** 3 მაისი. საფონდო ბირჟაზე ფასები ძლიან დაეცა. განსაკუთრებით დაეცა კურსი მთავრობის სესხის ობლიგაციებს, ინგლისის რკინისგზების, ნავთის კომპანიების და სამრეწველო დაწესებულებების აქციებზე.

**გირვანქა სტერლინგის კურსი დაბლა იწევს.**

### სასურსათო საკითხი

**ლონდონი,** 3 მაისი. ვაჭრობის სამინისტრომ შექმნა „პული" (ლონდონში რძის განმანაწილებელი სინდიკატი). რძის პროდუქტების მოვაჭრეებს ევალებათ წარმოადგინონ მათ განკარგულებაში არსებული რძე „პულის" კომიტეტის განკარგულებაში, პირველი მოთხოვნილებისთანავე.

### „კონსტიტუციის დამცველები" და „ტერორისტები"

**ლონდონი,** 3 მაისი. მთავრობასა და ტრედიუნიონების გენერალურ საბჭოს შორის გამართულ მიწერ-მოწერის გამო საინტერესო აღინიშნოს ის როლი, რომელიც ითამაშა კონფლიქტის განვითარებაში იმ გარემოებამ, რომ კონსერვატიულ გაზეთ „დეილი მეილის" სტამბის მუშებმა უარი განაცხადეს იმ ნომრის გამოშვებაზე, რომელშიაც მოთავსებული იყო წერილი გენერალური საბჭოს წინააღმდეგ.

მთავრობა ჩაებღაუჭა ამ ინციდენტს და აზვიადებს იმ მიზნით, რათა შეიქმნას ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს დარაზმული უმცირესობა არღვევდეს ინგლისის კონსტიტუციით განსაზღვრულ თავისუფლებას. ამით მთავრობას იმედი აქვს მუშებთან ბრძოლა ჩააყენოს ახალ კალაპოტში და მოიხვეჭოს პოპულიარობა კონსტიტუციის დაცვით უმცირესობით „ტერორის" წინააღმდეგ.

### მთავრობა ემზადება

**ლონდონი, 3 მაისი. უკანასკნელი 2 დღის განმავლობაში მთავრობა გაფაციცებულ მზადებაშია.**

ატლანტიური ოკეანეს ფლოტი, რომელიც მანევრებზე უნდა წასულიყო, დაკავებულია.

რადიო-სადგურებზე დანიშნული არიან „სამოქალაქო კომისრები", რომელთაც დავალებული აქვთ ინფორმაციის გავრცელება იმ შემთხვევაში, თუ გაზეთების გამოსვლა შესწყდა.

გენერალური საბჭოს წრეებში აღნიშნავენ, რომ თუ მთავრობამ პროპაგანდის მიზნით გამოიყენა რადიო, მიღებული იქნება საპასუხო ზომები—როგორც მაგალითად ელექტრონის ენერგიის მიწოდების შეწყვეტა და რადიო-ტელეგრაფისტების მოხსნა.

გენერალური საბჭო აწყობს საკუთარ კავშირს და ამ მიზნით აგროვებს მოტორიან ეტლებს.

**ლონდონი, 3 მაისი, 14 საათი და 20 წუთი. მთავრობამ გამოიწვია ყველა ჯარისკაცები და მეზღვაურები, რომლებიც შვებულებაში იმყოფებიან. ატლანტიური ფლოტი მზად არის მოქმედებისათვის. გუშინ აქეთ დაკეტილია ხალხისათვის ჰაიდ-პარკი.**

**ლონდონი,** 4 მაისი, 1 საათი და 20 წუთი. მთავრობა განაგრძობს ყოველგვარი ზომების მიღებას იმისათვის, რომ უზრუნველჰყოს მშვიდობიანობა. ოფიციალური ცნობა ამშვიდებს მოსახლეობას სურსათის მიწოდების შესახებ. ჯერ კიდევ არ არის გამოკვეული გაგრძელდება თუ არა საზღვაო კავშირი ინგლისსა და საფრანგეთს შორის.

„ფინანშიელ ნიუს"-ის ცნობით, განზრახულია ბირჟის დაკეტვა კრიზისის განმავლობაში.

### „მთავრობა—ჩვენ ვართ"

**ლონდონი,** 3 მაისი. მთავრობის წარმომადგენელმა ჟურნალისტებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ რკინისგზელების წინადადება სურსათის მატარებლების უზრუნველყოფის შესახებ უარყოფილი იქნება მთავრობის მიერ.

„ჩემის აზრით—განაცხადა მან,—მთავრობა შემდეგ პასუხს მისცემს რკინისგზელებს. მთავრობა ჩვენ ვართ. მართალია, პრინციპიულად ხელისუფლების დაყოფა შესაძლებელია, მაგრამ სხვა ქვეყნების მაგალითი ამტკიცებს, რომ პრაქტიკაში ეს უნაყოფოა".

### გერმანიის მაღაროს მუშების კავშირის პროკლამაცია

**ბერლინი,** 3 მაისი. გერმანიის მაღაროს მუშების კავშირმა გამოუშვა პროკლამაცია, რომელშიაც აცხადებს, რომ სამთა-მადნო მუშების საერთაშორისო ფედერაციის ბრიუსელის რეზოლიუციის თანახმად, გერმანიის კავშირი ყოველ ძალ-ღონეს იხმარს, რათა წინააღმდეგობა გაუწიოს ნახშირის გატანას ინგლისში. პროკლამაცია მოუწოდებს მაღაროს ყველა მუშებს მხარი დაუჭირონ ინგლისელ ამხანაგებს, მაგრამ აფრთხილებს კავშირის წევრებს თვითნებურ მოქმედებისაგან.

### ჩერჩილის წინააღმდეგ

**ბორდო,** 4 მაისი, 1 საათი და 20 წუთი. გამოცხადდა საგანგებო პოლიციის მობილიზაცია. ხალხმა მანიფესტაცია მოაწყო ჩერჩილის წინააღმდეგ.

### მთავრობის ულტიმატუმი უარყოფილია

**ლონდონი,** 3 მაისი. ოფიციალურად იუწყებიან.

მთავრობამ აცნობა პროფკავშირთა გენერალურ საბჭოს თავმჯდომარეს პიუს, რომ მას შეუძლებლად მიაჩნია კონფლიქტის მოგვარება ქვა-ნახშირის მრეწველობაში, თუ მეფის კომისიის მოხსენება არ იქნა მიღებული. თუ სამთო-მადნო მუშათა ფედერაციის აღმასკომი და პროფკავშირთა გენერალური საბჭო განაცხადებენ, რომ მიიღებენ მთავრობის წინადადებას ქვა-ნახშირის მრეწველობის დაუყოვნებლივ რეორგანიზაციის შესახებ ხელფასის დროებითი შეცვლის გზით, მთავრობა თანახმა იქნება განაახლოს მოლაპარაკება და გააგრძელოს ქვანახშირის მრეწველობისათვის სუბსიდიების მიცემა 2 კვირით. მაგრამ, სანამ მოლაპარაკებას განაგრძობდეს, მთავრობა პროფკავშირ. გენერალურ საბჭოსაგან მოითხოვს, რომ მან დაუყოვნებლივ, ყოველგვარ წინასწარ პირობების გარეშე, უკან წაიღოს ინსტრუქცია საყოველთაო გაფიცვის შესახებ.

**პროფკავშირთა გენერალური საბჭო თა მთავრობის მიმართვის საპასუხოთ მწუხარებით აღნიშნავს, რომ გენერალური საბჭოს გულწრფელი ცდა ღირსეულად მოეგვარებია კონფლიქტი ჩაშლილი იქნა მთვრობის უმაგალითო ულტიმატუმის წყალობით.**

### გაფიცვის გამოცხადება

**ლონდონი, 1 მაისი. მთავრობის და ნახშირის მაღაროების მეპატრონეთა მოლაპარაკება მაღაროს მუშების პროფკავშირის აღმასკომთან და პროფკავშირთა გენერალურ საბჭოსთან სრულიად უშედეგოთ დამთავრდა.**

**პირველი მაისისათვის ღამის 12 საათზე დაიწყო ინგლისის მაღაროს მუშების გაფიცვა, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობს 1.200.000 მუშა.**

### როგორ გამოცხადდა გაფიცვა

**ლონდონი,** 1 მაისი. გაფიცვა შემდეგნაირად დაიწყო: 30 აპრილს მთელი დღის განმავლობაში სწარმოებდა მოლაპარაკება ორივე მხარეს შორის. შუადღის 12 საათზე ნახშირის მეპატრონეებმა მთავრობის თავმჯდომარეს **ბალდუინს** წარუდგინეს წინადადება ხელფასის გადიდების შესახებ 20 პროცენტით 1914 წ. არსებულ ხელფასთან შედარებით, რაც ნიშნავს ამჟამად არსებულ ხელფასის 13 პროცენტით შემცირებას. მასთან ერთად ისინი მოითხოვდენ ნახშირის მრეწველობაში 8 საათის სამუშაო დღის შემოღებას.

ნახშირის მეპატრონეთა ეს წინადადება **ბალდუინმა** განსახილველად გადასცა ინგლისის პროფკავშირების გენერალურ საბჭოს და კავშირთა აღმასკომების კონფერენციას, **რომელმაც** 2 საათის ბჭობის შემდეგ უარჰყო ის.

კონფერენციაზე ამ საკითხის განხილვის დროს პროფკავშირების გენერალურ საბჭოს თავმჯდომარემ არტურ პიუმ განაცხადა:

**„ეს წინადადება მიუღებელია იმ მოსაზრებით, რომ ხელფასი ისედაც მცირეა, ხოლო სამუშაო დრო ძლიერ დიდია".**

შემდეგ ილაპარაკა მემარჯვენეთა ბელადმა **ტომასმა,** რომელმაც შემდეგნაირად დაახასიათა მდგომარეობა:

**„არასოდეს მუშათა მოძრაობა არ მდგარა ასეთი კრიზისის წინ, არასოდეს მთავრობას არ ჩაუდენია ასეთი შეცდომა, როგორც ეხლა.** ნახშირის პატრონთა წინადადება შეიცავს ისეთ დამამცირებელ პირობებს, რომელსაც ვერ მოითმენს ვერც ერთი პატიოსანი კაცი".

### პროფკავშირების პოზიცია

**ლონდონი,** 1 მაისი. **ინგლისის ყველა პროფკავშირებმა გაფიცულებს დაჰპირდენ ყოველგვარი ფინანსიური და მორალური დახმარება.**

გაფიცვის დროს მთელ ინგლისში სრულიად შეწყვეტილი იქნება ნახშირის გადაზიდვა.

### „გაფიცვა პოლიტიკურ ხასიათს მიიღებს"

**ლონდონი,** 3 მაისი. მთავრობის პრესა აღნიშნავს, რომ გაფიცვა პოლიტიკურ ხასიათს მიიღებს, რადგან იგი დღითი დღე გაფართოვდება, სანამ არ დაიჩრდილება გაფიცვის დანარჩენი მხარეები.

### სტამბების მუშაობის შეჩერება

**ლონდონი,** 3 მაისი. არსებულ ცნობების თანახმად, 4 მაისს ღამით მუშაობას შესწყვეტენ ყველა გაზეთების სტამბები, თვით მუშათა გაზეთების სტამბებიც.

უკანასკნელთა შეჩერება აიხსნება იმით, რომ მასალების მიწოდება და გაზეთების დაგზავნა მოითხოვს სტამბის და ტრანსპორტის მუშათა ერთი ნაწილის დატოვებას.

### მთავრობის „ზომები"

**ლონდონი,** 1 მაისი. დღეს ლონდონში დაბრუნდა მეფე. გაიმართა მეფის საიდუმლო საბჭოს სხდომა, რომელიც იხილავდა შექმნილ მდგომარეობას.

მთელი ინგლისი დაყოფილა 10 ოლქად, თვითეულის სათავეში სდგას თითო მინისტრი სამოქალაქო კომისარის სახელწოდებით.

გაფიცვასთან საბრძოლველად გამოცხადებულია შტრეიკბრეხერების და ყველა ფაშისტურ ორგანიზაციების მობილიზაცია.

**ლონდონი,** 3 მაისი. საფოსტო უწყებამ განკარგულება გასცა შესწყდეს ყოველგვარი ამანათების მიღება და გადაგზავნა კოლონიებსა და საზღვარგარეთ.

### არავითარ დათმობაზე

**ლონდონი,** 2 მაისი. ინგლისის სამთამადნო მუშაკების სადელეგატო კონფერენციამ მოიწონა თავისი კავშირის აღმასკომის მოქმედება, რაც გამოიხატა ნახშირის მეპატრონეთა წინადადების უარყოფაში.

კონფერენციამ ხელახლა დაადასტურა სამთამადნო მუშაკების გადაწყვეტილება, რომ ნახშირის მეპატრონეებს მოლაპარაკების დროს არ დაეთმოს არაფერი.

### ხიკსის განცხადება

**ლონდონი,** 3 მაისი. შინაგან საქმეთა მინისტრმა ჯონსტონ ხიკსმა განაცხადა, რომ ქვეყანა მზად უნდა იყოს საყოველთაო გაფიცვის გამოცხადებისათვის 4 მაისს ღამით.

მიღებულია ზომები მომარაგების მნიშვნელოვან დარგებში მუშაობის შეჩერების თავიდან ასაცილებლად.

იხსნება მოხალისეთა შესაკრები პუნქტები.

### შეიარაღებული ძალა მუშების წინააღმდეგ

**ლონდონი,** 2 მაისი. სამხრეთ უელსის, ლანკაშირის და შოტლანდიის სანახშირო რაიონებში **გაიგზავნა ჯარი,** რომელიც უნდა დაეხმაროს პოლიციას. თუ საჭირო დარჩა — **სამხედრო ფლოტიც** დაეხმარება პოლიციას.

### გერმანიის კომპარტიის ცეკას მოწოდება

**ბერლინი,** 3 მაისი. გერმანიის კომპარტიის ცეკამ გამოაქვეყნა მოწოდება ინგლისის მაღაროს მუშათა გაფიცვის გამო.

მოწოდებაში ნათქვამია, რომ ინგლისის პროფკავშირთა მომართვა საყოველთაო გაფიცვისათვის გაკვეთილად უნდა გადაიქცეს გერმანიის პროფკავშირებისათვის თავის კაპიტულიაციით გერმანიის პროფკავშირებმა საშუალება მისცეს მწარმოებლებს დაეწესებიათ დაბალი ხელფასი და გაედიდებიათ სამუშაო დრო გერმანელ პროლეტარებისათვის ამასთანავე ერთად მათ აწევთ პასუხისმგებლობის ნაწილი ინგლისის კაპიტალისტების შემოტევისათვის. ინგლისის გრანდიოზული გაფიცვა გერმანიაში ბრძოლის დაწყების ნიშანი უნდა შეიქნეს.

მოწოდება აყენებს შემდეგ მოთხოვნებს: სოლიდარობა ინგლისის ნახშირის მაღაროთა მუშებთან, სრულიად უარის თქმა ზედმეტ-მუშაობაზე, უარის თქმა არსებულ შეთანხმებაზე სამუშაო დროის ხანგრძლივობის შესახებ, „არც ერთი ნატეხი ქვანახშირი ინგლისს და არც ნახშირის გასასაღებელ ბაზრებს", საკონტროლო კომისიის დაარსება იმ მიზნით, რომ არ იქნეს დაშვებული ნახშირის გადაგზავნა ინგლისში.

შესაფერი ფულადი დახმარება გაფიცულთ სასწრაფო გადასახადების შეგროვებით, გერმანიის სამთა-მადნო მრეწველობისათვის ისეთივე მოთხოვნილების წარდგენა, როგორიც ინგლისში წარდგენილი, კავშირის შექმნა ბრძოლისათვის გერმანიის უმთავრეს პროფკავშირებში.

### 4,775 ათას მუშების ხმა

**ლონდონი,** 2 მაისი. ინგლისის პროფკავშირების კონფერენციის დადგენილებით, საერთო გაფიცვაში მონაწილეობა უნდა მიიღონ შემდეგმა პროფკავშირებმა: მელითონეები—1.653 ათასი კაცი, საამშენებლო დარგის მუშები—926 ათასი, ტრანსპორტზე მომუშავენი — 668 ათასი, გემების აღმშენებელთა კავშირის—147 ათასი, ელექტრო-სადგურის—154 ათასი, სამთამადნო მუშაკები—1.200.000 კაცი.

ამნაირად, თუ 3 მაისის ღამის 12 საათისათვის ნახშირის მეპატრონეებთან არ მოხდა შეთანხმება — **საერთო გაფიცვაში მონაწილეობას მიიღებს 4.775 ათასი კაცი.**

### ნახშირის დატვირთვის შეწყვეტა

**ლონდონი,** 2 მაისი. ინგლისის ყველა ნავთსადგურებში მიღებულია **პროფკავშირების გენერალურ საბჭოს განკარგულება ნახშირის დატვირთვის შეწყვეტის შესახებ. იმ გემებს, რომლებიც უკვე ზღვაში არიან გასული — რადიოთი მიეცა წინადადება ნავთსადგურებში დაბრუნების შესახებ.**

### ნახშირის ნაკლებობა

**ლონდონი,** 3 მაისი. ინგლისის მთავრობამ აცნობა სხვა ქვეყნების მთავრობებს, რომ ინგლისის ნავთსადგურებში ნახშირის ნაკლებობის გამო მას საშუალება არა აქვს ნახშირი მიაწოდოს ინგლისის ზღვებში მდგომ გემებს, გარდა იმ გემებისა, რომელნიც ემსახურებიან სახელმწიფოს მნიშვნელოვან ინტერესებს. მთავრობა აცხადებს, რომ იგი ყოველ ძალღონეს იხმარს, რათა ახლო მომავალში ეს უხერხულობა თავიდან იქნას აცილებული.

### დაწესებულებები უნახშიროთ

**ლონდონი,** 3 მაისი. შეწყვეტილია ნახშირის მიწოდება საზოგადოებრივ მნიშვნელობის დაწესებულებებისათვის, გარდა გაზების ქარხნებისა და ელექტრონის სადგურებისა. მაღაროებიდან წყალის ამოქაჩვა ნორმალურათ სწარმოებს. წესრიგი არსად არ დარღვეულა.

### ბალდუინის „ეკონომიის რეჟიმი"

**ლონდონი,** 2 მაისი. გამოქვეყნდა წესები ნახშირის ხმარების შესახებ ოჯახებში და სამრეწველო დაწესებულება - წარმოებებში. **გამოყოფილია მთავრობის საგანგებო კომისია.**

### დემონსტრაციები ქუჩებში

**ლონდონი,** 2 მაისი. წელს 1 მაისი ლონდონში გადახდილ იქნა დიდი ზეიმით. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ სწორედ ამ დღეს კონფლიქტმა სანახშირო მრეწველობაში მწვავე ხასიათი მიიღო. **ლონდონს ჯერ არ ახსოვს ასეთი დემონსტრაცია.** წრევანდელი დემონსტრაცია არ ჩამოუვარდება იმ ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციას, რომელიც 1920 წელში გაიმართა საბჭოთა რუსეთში.

### „დეილი მეილი" არ გამოვიდა

**ლონდონი,** 3 მაისი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, კონსერვატიულ გაზეთ „დეილი-მეილის" სტამბის მუშებმა უარი სთქვეს გაზეთის ნომრის დაბეჭდვაზე, თუ არ იქნა მოხსნილი წერილი „მეფისა და სამშობლოსათვის", ამ წერილში ტრედიუნიონების პოზიცია დახასიათებულია, როგორც „ომი ქალების და ბავშვების წინააღმდეგ". რედაქტორმა უარი განაცხადა ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე. ამას მოჰყვა ის, რომ „დეილი მეილის" დილის ნომერი არ გამოვიდა.

### ინგლისის ამბების გამოხმაურება გერმანიაში

**ბერლინი,** 3 მაისი. პროფკავშირთა სათანადო ინსტანციებს ჯერ კიდევ არ გამოუტანიათ საბოლოო დასკვნა იმ პოზიციის შესახებ, რომელიც გერმანიის პროფკავშირებმა უნდა დაიჭირონ ინგლისის ამბების გამო. მაგრამ თანდათანობით ცხადი ხდება, რომ გერმანიის მთა-მადნის მუშათა სოლიდარობის საქმეს ინგლისის გაფიცულ მუშებისადმი საფრთხე მოელის.

გერმანიის მთა-მადნის მუშათა კავშირი მზადაა, თანახმად ბრიუსელის კონფერენციის დადგენილებისა, არ დაუშვას გერმანიის ნახშირის გადაგზავნა ინგლისში, რადგან იქ გაფიცვა არის გამოცხადებული, მაგრამ არსებობს მიდრეკილება არ გავრცელდეს სოლიდარობის ეს აქტი ეგრედ წოდებულ „სადაო" რაიონებზე, კერძოთ ეს საფრანგეთს შეეხება.

გერმანიის ნახშირის მრეწველები უკვე იღებენ თავის მხრივ ზომებს ნახშირის გატანის ფართოდ მოსაწყობად. მწარმოებელთა გამოანგარიშებით, ინგლისის გაფიცვა, თუ კი ის ხანგრძლივი დარჩა, დიდ სარგებლობას მოუტანს გერმანიის სანახშირო მრეწველებს, რადგან ფასები ნახშირზე გაიზრდება და გერმანიის ნახშირის ექსპორტიც გაძლიერდება განსაკუთრებით ჩრდილოეთ ქვეყნებში—ისპანიაში, იტალიაში და სამხრეთ-ამერიკაში. იმ ზომებიდან, რომელსაც გერმანიის ნახშირის მრეწველები იღებენ სჩანს, რომ ისინი აწყობენ შტრეიკბრეხერთა დიდ ორგანიზაციას ნახშირის მისაწოდებლად ინგლისისათვის და განსაკუთრებით იმ რაიონებისათვის, სადაც ინგლისის ქვანახშირი საღდება.

რეფორმისტულ პროფკავშირების ბელადები ცდილობენ დაარწმუნონ მთა-მადნის მუშები, რომ ქვანახშირის მიწოდება იმ ადგილებისათვის, სადაც წინეთ საღდებოდა ინგლისის ქვანახშირი, არ შეასუსტებს ინგლისის მაღაროს მუშების პოზიციებს.

## ბეჭდვითი სიტყვის დღესასწაული *)

ეჭვი არაა, მუშათა კლასის დღესასწაულებში ბეჭდვითი სიტყვის დღესასწაულს საპატიო ადგილი უჭირავს. დღევანდელ დღეს უთუოდ ბევრი რამ დაიწერება და ითქმება მუშათა პრესის შესახებ, მის მნიშვნელობაზე. მუშათა პრესას აქვს თავისი ბრწყინვალე ისტორია. ის ხელს უწყობდა და აჩქარებდა მუშათა კლასის გამარჯვებას ჩვენში; ის აჩქარებდა და ხელს უწყობდა მუშების და გლეხების გათვითცნობიერებას, იმათ პოლიტიკურ აღზრდას და შეგნებას. ერთი სიტყვით, მუშათა პრესა წარმოადგენდა ერთ უდიდეს რევოლიუციონურ ფაქტორს მუშათა კლასის გამოფხიზლებაში, მის წინსვლაში და გამარჯვებაში.

რა თქმა უნდა, მუშათა პრესის მნიშვნელობა მუშათა კლასის გამარჯვების შემდეგ ჩვენში არა თუ არ შემცირებულა, არამედ გაცილებით უფრო გაიზარდა, გაფართოვდა და გართულდა. თუ წინედ, მეფობის და მენშევიკების დროს მუშათა პრესა ჩვენში ემსახურებოდა განსაკუთრებით მუშათა კლასის გამოფხიზლების საქმეს, მის პოლიტიკურად გათვითცნობიერებას და მასში კლასობრივი შეგნების განვითარებას, დღეს მუშათა პრესის წინაშე სდგას კიდევ **მეორე დიდი ამოცანა,**—სახელდობრ — **ხელის შეწყობა, დახმარება** და დაჩქარება **საბჭოთა სოციალისტური აღმშენებლობის.** ამგვარად, მუშათა კლასის გამოფხიზლება, მისი პოლიტიკურად აღზრდა და გაწრთვნა ისევ რჩება,—ჩვენი პრესა კვლავ უნდა ემსახუროს ამ საქმეს, ვინაიდან მუშათა კლასის (განსაკუთრებით, გლეხობის) მნიშვნელოვანი ფენები ჯერ კიდევ ჩამორჩენილია ამ მხრივ,—მაგრამ პირველ რიგში დღეს დგას მუშათა კლასის მუშაობა სოციალისტურ აღმშენებლობის დარგში.

მაშასადამე, მუშათა პრესის მნიშვნელობა და მოვალეობანი დღეს გაცილებით უფრო რთულია, ვინემ ეს წინედ იყო. ამავე დროს უნდა მივიღოთ მხედველობაში ის გარემოება, რომ თუ წინედ მუშათა პრესა მხოლოდ მცირედ გამონაკლისს წარმოადგენდა ბურჟუაზიულ სახელმწიფოში, სადაც ის უკიდურესად შევიწროვებული და შეზღუდული იყო ბურჟუაზიულ კლასების და მათი მთავრობის მიერ, დღეს, პირიქით, მუშათა პრესა ბატონობს, ე. ი. მთელი ჩვენი პრესა მუშურ-გლეხურია, რაც იმას ნიშნავს, რომ პრესა დღეს ჩვენში სავსებით ემსახურება მხოლოდ მუშების და გლეხების ინტერესებს, და არავითარი სხვა პრესა ჩვენში ველარ იბოგინებს. ესაა მუშათა კლასის გამარჯვების ერთი უდიდესი შედეგი, ესაა ოქტომბრის რევოლიუციის ერთი ძლიერი მონაპოვართაგანი. ამ მონაპოვარის—ე. ი. მუშათა პრესის ჰეგემონობის,—გამოყენება ცხოვრებაში ადვილი არაა, ეს მეტად საძნელო საქმეა. იგი მოითხოვს შესაფერ ცოდნასთან ერთად დიდ დახელოვნებას, მოქნილობას და სიფრთხილეს. აქ შესაძლებელია სხვადასხვაგვარი არანორმალიური და არასასურველი, ერთი სიტყვით, არაჯანსაღი მუშათა კლასის ინტერესებისათვის გადახრა, შეიძლება პირდაპირ ვთქვათ, პრესის ბოროტად გამოყენება, რა თქმა უნდა, ცალკე, კერძო შემთხვევებში.

ნათქვამია, პრესა სარკეა ცხოვრებისო. ეს უნდა გაამართლოს ჩვენმა დღევანდელმა პრესამ. ის უნდა გვიხატავდეს სინამდვილეს სავსებით და სისწორით. პარტია და ხელისუფლება უნდა იღებდენ სრულდა სწორ სურათს იმისას, თუ რა ხდება ჩვენ სინამდვილეში. ჩვენში ხდება დიადი, ჯერარ ნახული მუშაობა სოციალიზმისათვის ნიადაგის მოსამზადებლათ, თვით სოციალიზმის დასამყარებლათ. ეს ისეთი მუშაობაა, რაც არასოდეს არ მომხდარა. ჩვენ ამის გამოცდილება არ გვაქვს. თავის თავად იგულისხმება, რომ აქ შეცდომები აუცილებელია, მაგრამ აქ შესაძლებელია პირდაპირი ბოროტმოქმედება, გადამახინჯება და გაყალბება როგორც პარტიის, ისე ხელისუფლების დირექტივების, დადგენილებების და კანონების. ჩვენი პრესა ყველა ასეთ შემთხვევებში უნდა იდგეს სავსებით მთელ თავის სიმაღლეზე. ის უნდა ედგეს დარაჯათ პარტიის და ხელისუფლების დირექტივების და დადგენილებების ცხოვრებაში სისწორით გატარების საქმეს. ოდნავ გადახრა ამ ხაზიდან პრესას დაუკარგავს პატივისცემას და ნდობას მუშათა ფართო მასაში. მაშინ ის ველარ შესძლებს სინამდვილის გადმოცემას და პრესის უდიდესი როლი და მნიშვნელობა შემცირდება, დაკნინდება და გაირყვნება. ჩვენ არ გვეშინია სინამდვილის, პირიქით, ჩვენთვის მავნებელია, როცა ეს სინამდვილე ჩვენთვის იჩრდილება და ბურუსში ეხვევა.

მაგრამ ჩვენი პრესისთვის არ კმარა მარტო ის, რომ მან სავსებით და უნაკლულოდ გადმოგვცეს სინამდვილე; რომ ის გახდეს ცხოვრების ნამდვილი სარკე. ეს საჭირო და აუცილებელია, მაგრამ ეს არ კმარა. მშრომელი მასა საჭიროებს ამასთანავე **მომავლის გაშუქებას,** იმ გზის ჩვენებას, რომლითაც მან უნდა იაროს სოციალიზმის განსახორციელებლად, იმ საშუალებების დასახელება, რომლებიც მას ამ საქმეს გაუადვილებს.

დღე, დღევანდელ დღეს, ბეჭდვითი სიტყვის დღესასწაულის დღეს, კიდევ ერთხელ გადასინჯულ და გადათვალიერებული იქნეს ჩვენი პრესის როლი და მნიშვნელობა, როგორც წარსულში ისე აწმყოში და მომავალში. ყოველდღიურ პრაქტიკაში ადამიანი ხშირად ივიწყებს ძირითად ამოცანებს და წვრილმანებში იკარგება. ჩვენ არ გვინდა, რომ ეს მოვლენა ბეჭდვითი სიტყვის მუშაკებზე გავრცელდეს.

მხურვალედ და გულწრფელად ვულოცავ დღევანდელ დღესასწაულს ჩვენი პროლეტარული პრესის სულისჩამდგმელებს, მის მესვეურთ, მის მუშაკებს და ვუსურვებ დაუღალავ, თავდადებულ და ერთგულ მუშაობას მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვებისათვის და **ლენინის ანდერძის** განსახორციელებლად.

**ფ. მახარაძე.**

* * *

## ბურჟუაზიული პრესა *)

რას წარმოადგენს „თავისუფალ" კაპიტალისტურ ქვეყნების გაზეთი? წინადადებას ვაძლევთ ჩვენს მკითხველებს აიღონ ხელში ნიუ-იორკის გაზეთ „ტაიმს"-ის კვირის ნომერი და გულდასმით გადაათვალიერონ იგი. გადათვალიერებამდე კი იგი უნდა დასდონ სასწორზე და აწონონ: იგი იწონის ოთხიდან ექვს გირვანქამდე. თუ გავზომავთ ამ ნომერში მოთავსებულ მასალას, იგი მოგვცემს 500—600-გვერდიან წიგნს, დაახლოვებით ისეთს, როგორიც არის „კაპიტალი"-ს პირველი ტომი. ასეთი ნომერი ღირს სულ რამდენიმე კაპეიკი, იმ დროს, როდესაც ასეთივე წონის ქაღალდი ფასობს გაცილებით მეტად. გაზეთს აქვს მშვენიერი დასურათებული დამატება, რომელიც შეიცავს მასალებს მეცნიერების ყველა დარგიდან. მას ჰყავს მრავალი კორესპონდენტები ყველა ქვეყნებში. ამ კორესპონდენტებს ნაბრძანები აქვთ არ დაერიდონ ხარჯებს და დეპეშით აგზავნონ ყოველგვარი ცნობები, რაც მკითხველს აინტერესებს... 1924 წ. 9 აპრილს გაზეთმა ტელეგრამით მიიღო და დაბეჭდა „ექსპერტების მთელი მოხსენება". ეს არის 100-გვერდიანზე მეტი წიგნი, რომელიც ღირს გერმანიაში და ჩვენში არა ნაკლებ ერთი მანეთისა. გასაგებია, რომ არა ყველა **კაპიტალისტური გაზეთები** არიან ისეთი სიდიდის, როგორც ნიუ-იორკის „ტაიმს"-ი, არა ყველას ჰყავს შტატი 5 ათასი კაცისაგან შემდგარი (ასოთ-ამწყობები, რედაქტორები, რეპორტიორები და სხვა). არა ყველა გაზეთების ბინა წარმოადგენს მთელ ქალაქს, რკინისგზის განსაკუთრებული სადგურით, საავადმყოფოებით, აბანოებით, საპირფარეშოებით და სხვ., როგორც ნიუ-იორკის გაზეთ „ტაიმსს". ასეთი გაზეთები მსოფლიოში იქნება, ალბათ, ათამდე. მაგრამ არც ერთ კაპიტალისტურ გაზეთს არ ყოფნის მკითხველისაგან შემოსული ფულები, ყოველი კაპიტალისტური გაზეთი წარმოადგენს კაპიტალისტურ წარმოებას, რომელიც არსებობს სულ სხვაგვარი შემოსავლით.

საიდან ეძლევა ფინანსიური დახმარება კაპიტალისტურ გაზეთებს? შეიძლება განვიხილოთ „პრესის თავისუფლების" სამი უმთავრესი ტიპი, განვითარების სამი საფეხური. ჩვენ განვიხილავთ ამ სამ ტიპს ცალ-ცალკე, თუმცა უმეტეს შემთხვევაში სამივე ტიპის კომბინაციას ვხედავთ.

**პირველი ტიპი**—ეს არის გაზეთი, რომლის ფინანსიურ სალარს შეადგენს ანონსები (განცხადებები) და სხვადასხვაგვარი ქრთამები. კომერციული დაწესებულებანი, ფაბრიკები, ბანკები, დიდი მაღაზიები აძლევენ გაზეთებს ანონსებს. განცხადებებში ისინი აძლევენ აურაცხელ ფულებს. განცხადებები იბეჭდება ერთხელ ან მთელი წლით. გაზეთი აქირავებს თავის ფურცლების ნაწილს, რათა რეკლამა გაუკეთოს, მაგ., თმების ზრდის რომელიმე „პატენტიან" საშუალებას, შპალებს ან ხიდებს. მკითხველი შეიძლება ყიდულობს ულვაშების საზრდელ საშუალებას, მაგრამ არ ყიდულობს ხიდებს. რატომღა ხარჯავს რკინის ტრესტი ასეულ ათასს მანეთებს განცხადებებზე? იგი ამით ყიდულობს (იქრთამავს) გაზეთს. გაზეთი დამოკიდებულია ლითონის ტრესტისაგან და თავის წერილებში ვერ მოათავსებს ისეთ რამეს, რაც ტრესტის ინტერესებს ეწინააღმდეგება; წინააღმდეგ შემთხვევაში ის დაჰკარგავს ანონსებს. უანონსოთ კაპიტალისტური გაზეთის გამოცემის ცდა ამაოა. ანონსებისაგან დამოკიდებულება,—ეს არის კაპიტალისტური პრესის დამოკიდებულების ყველაზე უფრო მისაღები ფორმა: ვინაიდან ანონსი არის ანონსი, მკითხველმა კი იცის, რომ თუმცა გაზეთში დაბეჭდილია: „დალიეთ ვან-გუტენის ყავაო", ის მაინც არ არის ვალდებული პოლიტიკური მოსაზრებებით დალიოს ვან-გუტენის ყავა. მაგრამ გაზეთებს არ შეუძლიათ დაკმაყოფილდენ კაპიტალის მხოლოდ ასეთი სუბსიდიებით. ამიტომ ისინი იღებენ ქრთამებს იმ ცნობებისათვის, რომელსაც ისინი ათავსებენ სარედაქციო ნაწილში, უმთავრესად, გაზეთის ეკონომიურ განყოფილებაში. უეცრად იბეჭდება ცნობები, მაგალითად, სერბიაში მოსავალის შესახებ; ხვალისათვის მიდის წერილი „სერბიის ბუნებრივ სიმდიდრეების შესახებ", ზეგ—„სერბიის კარგი ბიუჯეტის შესახებ"; რამდენიმე დღის შემდეგ თავსდება ცნობა სერბიის მიერ პარიზის ბირჟაზე გამოშვებულ სესხის შესახებ. მკითხველი უკვე მომზადებულია, ხოლო **რედაქციამ უკვე მიიღო ფულები სერბიის სესხის პოპულარიზაციისათვის.** თუ გადავათვალიერებთ ამ პერიოდის ყველა ბურჟუაზიულ გაზეთებს, აღმოჩნდება, რომ ყველა ეს გაზეთები იჩენენ დიდ ინტერესს სერბიის ბუნების, ისტორიის და ეკონომიკისადმი.

თუ როგორ იქმნება ასეთი ინტერესი, ჩვენ შეგვიძლია სისწორით განვსაზღვროთ რუსეთის ფინანსთა სამინისტროს არქივების მიხედვით: ფინანსთა მინისტრი აძლევს დავალებას თავის წარმომადგენელს პარიზში ან სხვა ქალაქში, სადაც სესხია გამოშვებული; საფინანსო აგენტი აძლევს შეკითხვას ბირჟის აგენტს, რომელსაც კავშირი აქვს გაზეთებთან,—რა ეღირება ეს მომზადებაო. უკანასკნელი უკვე მართავს მოლაპარაკებას გაზეთებთან. სწორედ ასეთსავე მდგომარეობაშია გაზეთების პოლიტიკური მხარე. კაიოს პროცესის დროს გამოირკვა, რომ პარიზის ერთ-ერთ გავლენიან კონსერვატიულ ორგანო „ფიგარო"-ს რედაქტორი იღებდა ქრთამს გრაფ ტისსასაგან, ჰუნგრეთის პრემიერ-მინისტრისაგან, ჰუნგრეთის მემამულეების რეჟიმის ქება-დიდებისათვის. გრაფი ტისსა წარმოადგენდა სერბიის წინააღმდეგ ავსტრიის პოლიტიკის მთავარ საყრდენს, ვინაიდან, როგორც ვიცით, ჰუნგრეთის მემამულეებს ეშინოდათ სერბიის ღორების კონკურენციის. გრაფი ტისსა იყო, ამგვარად, რუსეთის და საფრანგეთის წინააღმდეგ მიმართულ ავსტრია-ჰუნგრეთის და გერმანიის კავშირის მოსარჩლე.

„ფიგარო"-ს რედაქტორი იყო საფრანგეთის დიდი პატრიოტი. მაგრამ გრაფ ტისსასაგან ფულებს მაინც ღებულობდა. ეს შემთხვევა ამტკიცებს კაპიტალისტურ გაზეთის არა მარტო უბრალო „დამოკიდებულებას", არამედ გაზეთების მოსყიდვას, ვინაიდან არა მარტო კაპიტლისტურ გაზეთს სჭირდება ფული, რომ სარგებელი მიიღოს, არამედ ფული საჭიროა მისი ხელმძღვანელებისათვის, რომ კარგად იცხოვრონ. ყველა დიდ კაპიტალისტურ გაზეთებში შეიძლება მოისყიდოთ ჟურნალისტების ესა თუ ის ჯგუფი, რომელნიც კარგ საქმეებს აკეთებენ. თუ წაიკითხეთ გულდასმით კაპიტალისტური გაზეთი და თუ ვნახეთ შიგ მისი საერთო ხაზის საწინააღმდეგო წერილები, შეიძლება ვიყოთ დარწმუნებული, რომ გავლენიანმა ჯგუფმა ამ გაზეთში აიღო ქრთამი დაინტერესებულ მხარესაგან. განა სხვა რედაქტორები არ კითხულობენ თავის გაზეთს, განა ისინი ვერ ამჩნევენ ამას? თავის-თავად ცხადია, რომ ამჩნევენ. მაგრამ ვისაც უნდა იცხოვროს, სხვაც უნდა აცხოვროს, ანუ „ხელი ხელს ჰბანს და ორივე ბინძური რჩება".

გაზეთის პირველი ტიპი,—ეს არის ისეთი გაზეთი, რომელიც იყიდება გირვანქობით, როდესაც მასში აძლევენ ცალობით.

**გაზეთის მეორე ტიპი,**—ეს არის ისეთი გაზეთი, რომელსაც ინახავს ერთ-ერთი კაპიტალისტი. ინგლისის პრესის სამი მეოთხედი ეკუთვნის ლორდ ნორტკლიფს, რომელსაც, ლორდის სახელწოდების მიღებამდე, ეწოდებოდა ალფრედ ხარმსუორსი. 18 წლიდან მან დაიწყო ჟურნალისტობა, მაგრამ ის იყო მეტად მოხერხებული კაცი. ინგლისის სამრეწველო განვითარებამ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩააბა ათეული მილიონი ადამიანი, რომელნიც წინად გაზეთებს არ კითხულობდენ. იმ დროს, როდესაც დიკენსი სწერდა თავის რომანებს ინგლისის ცხოვრებიდან, მუშათა მასა გაზეთებს არ კითხულობდა: იგი მუშაობდა 12 საათი და მას არ ეცალა გაზეთების წასაკითხავად. ჩარტისტების და პროფკავშირების ბრძოლამ ვააუმჯობესა მუშათა კლასის მდგომარეობა. მათ მოსასყიდავათ ბურჟუაზიამ გახსნა საკვირაო სკოლები, რომლებშიაც განვითარებული მუშა სწავლობდა ქიმიას, კითხულობდა დარვინის თხზულებებს, სწავლობდა მილის პოლიტიკურ ეკონომიას. მაგრამ ასეთი განვითარებული მუშები შეადგენდენ მუშათა კლასის უმცირესობას. ზოგიერთი გამომცემლები სცდილობდენ გამოეცათ ამ მუშებისათვის ახალი გაზეთი. მაგრამ ხარმსუორსმა მიაქცია ყურადღება არა მკითხველთ, რომელნიც წარმოადგენდენ უმნიშვნელო უმცირესობას, არამედ მასიურ მკითხველს. ის შეეკითხა თავის-თავს—რა აინტერესებს ამ მკითხველს? და დარწმუნდა, რომ ამ მკითხველს აინტერესებს ველოსიპედი, ფეხბურთი, დოღი, სასამართლოს პროცესები, რომ მას, რომელიც სცხოვრობს წვრილბურჟუაზიულ ცხოვრების ვიწრო ჩარჩოებში, აინტერესებს—როგორ ათხოვებს ლორდი თავის ქალიშვილს; რამდენ მზითევს იღებს ეხ ქალიშვილი, რა ღირს მისი კაბა და სხვადასხვა. ხარმსუორსი შეუდგა სათანადო გაზეთის გამოცემას. მან დაიწყო პატარა ჟურნალის გამოცემა „პასუხები"-ს სათაურით. ამ ჟურნალში ის აძლევდა პასუხს მკითხველის შეკითხვებზე. შემდეგ მან გამოსცა ჟურნალები, რომელიც ემსახურებოდა მკითხველების კონკრეტულ ინტერესებს: მაგალითად, მკერავთა გაზეთები—რჩევა-დარიგებით, როგორ უნდა შეიკერონ ტანთსაცმელი, სად შეიძლება მასალის ყიდვა, როგორი უნდა იყოს ტანთსაცმელი მდაბიო ქალისათვის. ვინც მუშაობდა კვირას ბაღში, სთესავდა ბოლოკს ან ხახვს, მას შეეძლო რამდენიმე კაპეიკათ ეყიდა ხარმსუორსის შესაფერისი გაზეთი; ვინც იჭერდა თევზს, მისთვის ხარმსუორსი სცემდა იაფფასიან გაზეთს თევზის ჭერის შესახებ. გამდიდრების შემდეგ, ხარმსუორსი ყველაზე იაფფასიან სურათებიან გაზეთის გამოცემას შეუდგა. ჩაჯდები დილით მატარებელში სამუშაოზე წასასვლელად და იყიდი 3 კაპეიკათ გაზეთს, რომელსაც შენ არ წაიკითხავ,—იქ ყველაფერი მოთხრობილია სურათებით; აი რკინისგზაზე მომხდარი კატასტროფა: მატარებელი ვარდება ხიდიდან მდინარეში—პირდაპირ სასიამოვნოა; აი ვიღაცამ მოჰკლა სიდედრი: სურათზე დახატულია სიდედრი ულვაშებით, ისეთი, რომ პირდაპირ გეშინია და მთელი შენი თანაგრძნობა იმ უბედური ადამიანის მხარეზეა, რომელიც ოჯახურ ტვირთისგან განთავისუფლდა; აი მეფე ათვალიერებს ცეცხლისმქრობელ რაზმს: „დეილი მირრორი" („ყოველდღიური სარკე") გიჩვენებს შენ სიმპატიურ მეფეს და ცეცხლისმქრობელ რაზმს მბრწყინავი მუზარადებით.

შემდეგი ეტაპი. ეს არის—„დეილი მეილ"-ი, ყოველდღიური გაზეთი, რომელიც აკმაყოფილებს მასიურ ცნობის მოყვარეთა დაბალ ინსტინქტებს, მაგრამ ამავე დროს არის პოლიტიკური გაზეთი. თუ „დეილი მირრორი" წარმოადგენდა პარაზიტს წვრილბურჟუაზიულ მასების ქვენა ინსტინქტზე დაყრდნობილს, „დეილი მეილ"-ი ქვენა ინსტიქტებს აკმაყოფილებდა პოლიტიკაში. „დეილი მეილ"-ი შურს სთესავდა ყველა იმათ მიმართ, ვინც წარმადგენდა იმპერიალისტურ ინგლისის მოწინააღმდეგეს. უკვე დიდი ხნის წინათ ომამდე ის არწმუნებდა ინგლისის მასებს, რომ თუ გერმანელები ჯერ კიდევ არა სჭამენ ბავშვებს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ღორის ხორცი უფრო იაფიაო. ომის დროს „დეილი მეილ"-ი არწმუნებდა მასებს, რომ გერმანელები მართლა სჭამენ ბავშვებს, ვინაიდან, როგორც ვიცით, გერმანიაში ძალიან ცოტა ღორის ხორცი აღმოჩნდა. როდესაც ხარმსუორსმა, ამ თავის მრავალრიცხოვანი გაზეთების საშუალებით შეიძინა ათეული მილიონი მანეთები, როდესაც ხარმსუორსმა იყიდა გერცოგის რეზიდენცია სენ-ჯემის მოედანზე, რომელზედაც სცხოვრობენ ინგლისის მხოლოდ წარჩინებული პირნი,—მან დაამთავრა თავისი საქმე „ტაიმსის" ყიდვით. ჩვენი მკითხველი იფიქრებს, რომ „ტაიმსი" იყო ისეთი გაზეთი, როგორიც სხვა ყველა დანარჩენი. არა „ტაიმსი" ეს არის ნამდვილი სახელმწიფო დაწესებულება, ეს არის გაზეთი, რომლის ხმა იყო ბურჟუაზიულ ინგლისის ხმა. „ტაიმს"-ში დაბეჭდილ წერილს ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა არა მარტო ინგლისის პოლიტიკისათვის და ინგლისის ფინანსებისათვის, არამედ ყველა სხვა ქვეყნების პოლიტიკისა და ფინანსებისათვის. გაზეთი გამოდის მე-18 საუკუნიდან, იმ დღიდან, როდესაც იგი დაარსდა ვალტერების ერთ-ერთ ოჯახში. მაგრამ ძველი კაპიტალისტური ოჯახი ვერ შეეგუა ბაზრის გასაოცარ პირობებს და მაშინ ხარმსუორსმა იყიდა იგი. ამან მოახდინა ისეთი შთაბეჭდილება, ვითომდა ასანთის ტრესტს ეყიდოს ინგლისის მეფე. ხარმსუორსმა დიდი სახელი მოიხვეჭა და მას ლორდობა უბოძეს. ომის დროს ის იყო ინგლისის სამხედრო პროპაგანდის უფროსი და ძალიან გაკვირვებული იყო, როდესაც ლოიდ-ჯორჯმა არ დანიშნა ის საზავო დელეგაციის წევრად; მაშინ მან მოაწყო განსაკუთრებული საზავო დელეგაცია პარიზში ვერსალის მოლაპარაკების დროს; ეს დელეგაცია თვალ-ყურს ადევნებდა ლოიდ-ჯორჯის პოლიტიკას და ამათრხებდა მას ისე, რომ საწყალი იძულებული იყო ამხტარიყო უფრო მაღლა, ვიდრე მას თავისი გონიერება უკარნახებდა. ღრმად შეურაცხყოფილ ნორტკლიფის კამპანია იყო ლოიდ-ჯორჯის კაბინეტის დაცემის ერთ-ერთი მიზეზი.

მთელი უდიდესი საგაზეთო ტრესტი შეადგენდა ნორტკლიფის საკუთრებას. იმისდამიხედვით, თუ რა ინტერესები ამოძრავებდა ნორტკლიფს, ის სასწორზე სდებდა მთელ თავის პრესას. როდესაც მან ვადასწყვიტა მხარი დაეჭირა ჩემბერლენისათვის თავისუფალ ვაჭრობიდან მფარველობითი ტარიფებზე გადასვლის საქმეში, ყველა მის რედაქტორებს 24 საათის განმავლობაში უნდა გამოეცვალათ თავიანთი შეხედულება. ყოველდღე ძვირფასად მოწყობილ კაბინეტში მდივანი უდგენდა ნორტკლიფს გაზეთების ტირაჟს. როდესაც ნორტკლიფი ამჩნევდა ტირაჟის დაცემას, მდივანი ტელეფონით აცნობებდა სათანადო გაზეთის პასუხისმგებელ რედაქტორს: „თქვენ ვაქვთ სამი დღის ვადა იმისათვის, რომ ასწიოთ ტირაჟი 50 ათასი ცალით". გაზეთის ერთ-ერთი რედაქტორი, რომელიც ხარმსუორსმა გამოიძახა, უმდაბლეს სალამს აძლევდა ასასვლელ მანქანაზე მომუშავე პატარა ბიჭს.

„რატომ მიესალმეთ მას?" ჰკითხა მას ნორტკლიფის მდივანმა. „ეშმაკმა იცის: მე გამომიძახა ნორტკლიფმა; შეიძლება როდესაც მე კაბინეტიდან გამოვალ, ეს ახალგაზრდა ყმაწვილი დანიშნული იქნება გაზეთის რედაქტორად, მე კი მომიხდება მისი თანამდებობის დაჭერა. უნდა ვიყო წინდახედული",—უპასუხა რედაქტორმა.

**გაზეთის მესამე ტიპი** შექმნა გერმანიის ტრესტების მეფემ—სტინესმა. გერმ.-ის პრესა ამ დრომდე დამოკიდებული იყო ერთი კაპიტალისტისაგან ან კაპიტალისტების მთელი ჯგუფისაგან. მაგალითად, „ბერლინერ ტაგებლატი" ეკუთვნის ფირმა „მოსსეს", ძველ საგაზეთო ფირმას, რომელიც სარგებელს იღებს დემოკრატიულ გაზეთების ბეჭდვით. „ფრანკფურტერ ცეიტუნგი" ეკუთვნოდა დემოკრატ ბანკირს ლეოპოლდ ზონემანს. „ფოსიშე ცეიტუნგი"—ულშტეინის კომპანიას. ყველა ეს გაზეთები წარმოიშვენ პატარა გაზეთებიდან და მათ ზრდასთან ერთად იზრდებოდა ამ გაზეთის გამომცემელი კაპიტალისტი. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში იწყება გაზეთების კონცენტრაცია კაპიტალისტურ კომპანიების ხელში. ცნობილი კაპიტალისტური წრეები, როგორც მაგალითად, გუგენბერგი, ყიდულობენ მთელ რიგ გაზეთებს, ამუშავებენ ამ გაზეთებზე კორესპონდენტების ერთ ჯგუფს აძლევენ მას ერთ პოლიტიკურ ხაზს; იმავე ანონსებს, ჰქმნიან მათთვის პრეს-ბიუროს, რომელიც აწვდის მათ ცნობებს სატახტო ქალაქიდან. სტინესი, რომელიც ყიდულობდა და ჰყიდდა ყველაფერს: სასტუმროებს, მადნებს, ტყეებს, ფაბრიკებს, ქაღალდს, კურორტებს, სიგარების ფაბრიკებს,—შეუდგა გაზეთების შეძენასაც. ამის გამო, ე. წ. „დამოუკიდებელმა" დემოკრატიულმა პრესამ, ე. ი. ერთ კაპიტალისტისაგან დამოკიდებულმა პრესამ, დიდი განგაში ასტეხა: „მსხვილი მრეწველობა იმონებს პრესასო!" ივი აღნიშნავდა, რომ დიდი განსხვავებაა: დამოკიდებულია გაზეთი კაპიტალისტისაგან, რომელიც ეწევა ერთი ან რამდენიმე გაზეთის გამომცემლობას, მაგრამ არ აქვს სხვა კაპიტალისტური ინტერესები, თუ იმ კაპიტალისტისაგან, რომელიც აიძულებს გაზეთს დაიცვას თავისი პოლიტიკა ნახშირისგან რკინის ტრესტში, თავისი ინტერესები საგადასახადო საკითხებში და სხვა და სხვა. პირველ შემთხვევაში კაპიტალისტს შეუძლია დაიცვას თავის გაზეთში ქვეყნის საერთო ინტერესები, ე. ი. საქმით მთელი კაპიტალიზმის ინტერესები, მეორე შემთხვევაში—იგი აიძულებს გაზეთს ემსახუროს კონკრეტულ კაპიტალისტურ ჯგუფის კონკრეტულ ინტერესებს. სტინესის ბიოგრაფიაში, რომელიც მის სიცოცხლეშივე გამოსცა ბრიკმანმა, სტინესების დინასტიის ამ მოთაყვანემ დიდებული პასუხი გასცა ამ ბრალდებაზე, პასუხი, რომელიც შეიცავს „თავისუფალ" პრესის განვითარების უკანასკნელ ფორმას „თავისუფალ" ქვეყნებში. „ბატონ" სტინესს,—ამბობს ავტორი,—აქვს მადნები და ფოლადის ჩამომსხმელი ქარხნები. მისთვის საჭიროა ტყის წარმოება,—ის ყიდულობს ტყეებს; ტყე აძლევს მას დიდძალ ცელულოზას.—მან გახსნა ქაღალდის ფაბრიკა; ქაღალდის მთავარ მყიდველს წარმოადგენს პრესა—ამიტომ სტინესი ყიდულობს გაზეთებს: თავის თავად ცხადია, რომ მტკიცება, თითქოს სტინესს გაზეთების სყიდვის დროს არ ამოძრავებდა პოლიტიკური მიზნები, ე. ი. არ ქმნიდა გაზეთებიდან ისეთ ორგანოს, რომელიც მის საერთო ინტერესებს ემსახურებოდა,—არ არის მართალი. მაგრამ ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ გაზეთები სტინესის წარმოებაში ასრულებენ ეკონომიურ ფაქტორის როლსაც. სტინესი ჰქმნის საზოგადოებრივ აზრს, მაგრამ ამავე დროს ის აწარმოებს ადვილად გასასაღებელ საქონელს სულ უმნიშვნელო ხარჯებით, ვინაიდან ის არის კონცესიის მეთაური, რომელიც ყველაფერს ჰყიდის და ყიდულობს: რკინის მადანს, ნახშირს, მერქანს, ადმირალ უმანს, სოციალ-დემოკრატ ლენშს. — ყველაფერს, რაც საჭიროა წარმოებისათვის.

აი, როგორია „თავისუფალი" პრესა თავისუფალ ქვეყანაში. ვიღას უნდა გაუკვირდეს ამის შემდეგ, რამ გერმანიის ერთმა ძველმა კონსერვატორმა, ფილოსოფიის პროფესორმა მითხრა მე ბოლშევიზმის შესახებ ხანგრძლივი კამათის შემდეგ: „ერთში თქვენ მართალი ხართ, და ერთ პუნქტში თქვენ შეშურდებათ ყველა ქვეყნებს: თქვენ მოსპეთ ეს „თავისუფალი" პრესაო".

**კ. რადეკ.**

---

*) ვინაიდან, ტეხნიკური მიზეზების გამო, დამატებითი ფურცელი ვერ გამოდის დღეს, პრესის დღის დანარჩენი მასალა დაიბეჭდება შემდეგ ნომერში. **რედაქცია.**

*) ეს წერილი წარმოადგენს რამოდენიმედ შემოკლებულ წინასიტყვაობას, რომელიც დართული აქვს ამას წინად გამოსულ წიგნს: „За кулисами французской печати".

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ოვაციები მაღაროს მუშების ბელადებს

**ლონდონი**, 3 მაისი. ინგლისის პარლამენტის წინ თავმოყრილმა ხალხმა აღფრთოვანებული ოვაციები გაუმართა მაღაროს მუშათა ბელადებს კუკს და სმიდტს, პარლამენტიდან გამოსვლის დროს ლონდონის წარმოებათა საღამოს ცვლის მუშები იშლებიან თავიანთ სახლებში კარგ განწყობილებაში, სიმღერით და ხუმრობით.

## მდგომარეობა ინგლისში მწვავდება

**ბერლინი**, 4 მაისი. მთელ ინგლისს მოედო საყოველთაო გაფიცვა. სურსათ-სანოვაგე გაძვირდა 50 პროც. მიუხედავათ იმისა, რომ მთავრობის მიერ მაქსიმალური მაგარი ფასებია დაწესებული. გაზისა და ელექტრონის სადგურების მუშებმა მიიღეს ბრძანება შესწყვიტონ მუშაობა, ასეთივე ბრძანება მიიღეს ფოლადის, ლითონის და ქიმიურ მრეწველობის მუშებმა.

რკინის-გზის ყველა სადგურები დაკეტილია, რადგან მატარებლები არ დადიან. მანჩესტერიდან იუწყებიან მუშაობის სრულიად შეწყვეტის შესახებ მრეწველობის უმთავრეს დარგებში. ასეთივე ცნობაა მიღებული სამხრეთ-უელსიდან. გაფიცულთა რიცხვი 5 მილიონამდე აღწევს. ეხლანდელი გაფიცვა ყველაზე უძლიერესია ინგლისის ისტორიაში. ქალაქებში განწყობილება აწეულია, ქუჩები სავსეა ხალხით და მოძრაობა გაძნელებულია. მოხალისეთა ტეხნიკური ორგანიზაცია იზრდება, მაგრამ ის უძლურია დღემდის თავი გაართვას შექმნილ მდგომარეობას.

მთავრობამ ლონდონში თავი მოუყარა ოფიციერთა სარეზერვო კადრებს, რომლებსაც მისცა სათანადო ინსტრუქციები.

ქვეყნის ყველა მხარეში დაგზავნილია დამხმარე სამხედრო ნაწილი.

რადიოს საშუალებით მთავრობამ წინადადება მისცა სტამბის მუშებს, მოხსნან გაფიცვა და განაახლონ მუშაობა.

„ტაიმსი" უკანასკნელ ნომერში აცხადებს, რომ ინგლისი საფრთხეშია.

„მორნინგ პოსტი" ამბობს: „ავი საქმის მქნელმა ავმა ძალებმა დაანგრიეს დიდი ბრიტანეთი".

კონსერვატიულ წრეებში იმედი აქვთ გაფიცვის დამარცხების. ლიბერალური გაზეთები უსაყვედურებენ ბალდუინს მოლაპარაკების ჩაშლას.

კომუნისტ-დეპუტატი, ინდოელი საკლატვალა, დაპატიმრებულია ჯარის-კაცთა შორის პროპაგანდის წარმოებისათვის.

## ლოკაუტი

**ბერლინი**, 4 მაისი. ახალ სამხრეთ-უელსში დახურეს 5000 ქარხანა, რომლებშიც მუშაობდა 40.000 მუშა. ქარხნები დახურეს იმ მეპატრონეებმა, რომლებმაც უარჰყვეს მუშების მოთხოვნილება 44 საათიან სამუშაო კვირის შესახებ.

## ლენსბერის წინადადება

**ბერლინი**, 3 მაისი. მუშათა საერთაშორისო დახმარების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ბერლინში ინგლისის სექციის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლენსბერისაგან მიიღო დეპეშა, რომელშიაც ის წინადადებას იძლევა მოწვეულ იქნეს ამსტერდამში საზოგადოების ცკ-ას გაფართოებული სასწრაფო პლენუმი, ზომებისა და ღონისძიებათა გამოსამუშავებლად ინგლისის მაღაროების გაფიცულ მუშათა დასახმარებლად.

## რკინისგზებზე მოძრაობა შესწყდა

**ლონდონი**, 3 მაისი. რკინისგზელთა პროფკავშირის განკარგულების თანახმად, ღამით 3—4 მაისს შესწყდა მატარებელთა მოძრაობა რკინისგზის ყველა ხაზებზე.

## მეფის ოჯახი აღელვებულია

**ლონდონი**, 3 მაისი. მეფე და დედოფალი დაბრუნდნენ ვინძორიდან ლონდონში. უელსის პრინცი გამოწვეულია ბირიციდან ინგლისში.

## პროფკავშირების ალმასკომების და გენერალურ საბჭოს კონფერენცია

### მუშები მზად არიან

**ლონდონი**, 2 მაისი. 1 მაისს გაიმართა ინგლისის პროფკავშირების გენერალურ საბჭოს და პროფკავშირების ალმასკომთა წარმომადგენლების კონფერენცია, რომელმაც განიხილა სამთამადნო მუშაკებისათვის მხარის დაჭერის საკითხი.

გამოირკვა, რომ ტრანსპორტზე მომუშავეთა, რკინისგზელთა, მბეჭდავთა, მელითონეთა, საამშენებლო და ელექტრო-მექანიკური დარგის მუშაკთა ალმასკომები, რომლებიც აერთიანებენ სამ-მილიონ-ნახევარ მუშებს — **მზად არიან დაეხმარონ გაფიცულთ**. თუ საჭირო იქნება ეს პროფკავშირები, როდესაც კი ამას გენერალური საბჭო მოისურვებს, თითონ გამოაცხადებენ გაფიცვას.

გაფიცვის დროს ადგილობრივად წესრიგი დაცული იქნება თვით პროფსაბჭოების მიერ.

მცხოვრებთ არ შეუწყდებათ სურსათის მიწოდება.

პროფკავშირთა ალმასკომებმა მიანდვეს გენერალურ საბჭოს გაფიცვის კამპანიის მთელი ხელმძღვანელობა.

### ბევინის სიტყვა

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა **ბევინი** (მემარჯვენე) რომელმაც პროფკავშირების გენერალურ საბჭოს სახელით შემდეგი განაცხადა:

„ჩვენ მივიღეთ სათანადო ზომები სურსათის განაწილების საქმეში და თვალ-ყურს ვადევნებთ, რომ ამ საქმეში არ ჩაერიოს შტრეიკბრეხერთა ორგანიზაცია. **სამთამადნო მუშაკები პირველ შემოტევას თავის თავზე ღებულობენ, მაგრამ მრეწველობის სხვა დარგის მუშები ამჯობინებენ დაჰკარგონ უკანასკნელი კაპეიკი, ვიდრე დამარცხდებიან სამთამადნო წარმოების მუშაკები** (ტაში).

**პროფკავშირების გენერალურ საბჭოს კარნახით, 3 მაისს საღამოთი შესწყვეტენ მუშაობას ნავთსადგურის მუშები, მელითონეები, რკინისგზელები, ტრანსპორტზე მომუშავენი და მძიმე ინდუსტრიის მუშები**".

### ბრომლეის სიტყვა

შემდეგ სიტყვით გამოვიდა მემანქანეთა და ცეცხლის ამთებელთა გაერთიანებულ კავშირის გენერალური მდივანი **ბრომლეი**, რომელმაც თავისი კავშირის სახელით დახმარება დაჰპირდა სამთა-მადნო წარმოების მუშებს.

### სმიტის სიტყვა

ბრომლეის შემდეგ ლაპარაკობს სამთა-მადნო მუშების კავშირის თავმჯდომარე **გერბერტ სმიტი**, რომელსაც კონფერენცია ტაშისცემით შეხვდა.

სმიტმა ჯამი გაუკეთა სანახშირო მრეწველობის ყველა კრიზისებს 1921 წლიდან და განაცხადა, რომ მთავრობას არაფერი გაუკეთებია კრიზისის მოსაგვარებლად. „სამთა-მადნო მუშები მოაგონებენ სხვა დარგის მუშებს—განაცხადა სმიტმა—რომ **თუ ჩვენ დაგვიკლეს ხელფასი, მაშინ რიგი მიდგება სხვა დარგის მუშებზედაც**. ჩვენ იმედი გვაქვს მაინც, რომ მთავრობა გამოასწორებს თავის შეცდომებს და ქვეყანას აიცილებს შეტაკებებს".

### მაკდონალდის სიტყვა

ცხარე სიტყვა წარმოსთქვა **მაკდონალდმა**. მან განაცხადა: გადაწყვეტილება მოლაპარაკების შეწყვეტის შესახებ, რომელიც გუშინ საღამოს მიიღო მთავრობამ, **ნიშნავს გალაშქრებას მუშების წინააღმდეგ და წარმოადგენს დანაშაულს ხალხისა და საზოგადოების წინაშე**.

გასლი წლის ივლისიდან დაწყებული მთავრობას არ დაუხარჯავს ხუთი წუთი სანახშირო საკითხის განსახილველად.

შემდეგ მაკდონალდმა მიმართა მთავრობას, რათა ამ უკანასკნელმა „ღვთის გულისათვის" მიხვდეს თავის დანაშაულს და მანამ, სანამდის გვიან არ იქნება, განაახლოს მოლაპარაკება.

„თუ საქმე კონფლიქტამდის მივა —განაცხადა მაკდონალდმა—მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქცია ბოლომდის დაუჭერს მხარს პროფკავშირებს".

### ბრძოლა გამარჯვებამდის

კონფერენციამ ერთხმად მოიწონა სამთა-მადნო მუშებისათვის გამომუშავებული დახმარების ზომები და დაიხურა „წითელი დროშის" სიმღერით.

კონფერენციიდან საერთო შთაბეჭდილება ასეთია, რომ **მუშებს გადაწყვეტილი აქვთ იბრძოლონ ბოლომდის**, რადგან სხვა გამოსავალი გზა არ არის. ამ შთაბეჭდილებას კიდევ უფრო აძლიერებდენ ბელადების სიტყვები, რომლებიც მოუწოდებდენ მუშებს ბრძოლისაკენ, ხოლო მთავრობას — შეცდომების გამოსწორებისაკენ.

ბევინის განცხადება გაგებულ უნდა იქნას, **როგორც საერთო გაფიცვის დანიშვნა** 3 მაისისათვის, თუ მთავრობამ ამ დროისათვის ვერ მოახერხა შეთანხმება პროფკავშირების გენერალურ საბჭოსთან.

## მუშათა ფრაქციის სხდომა

**ლონდონი**, 2 მაისი. ხვალ, 3 მაისს შესდგება მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის სხდომა, რომელიც განიხილავს სამთა-მადნო წარმოების მუშაკებისათვის მხარის დაჭერის საკითხს.

# ამიერ-კავკასიის მუშების ხმა

### ბაქოს მუშებში

**ბაქო**, 4 მაისი. **ცნობას ინგლისელ სამთამადნო მუშების გაფიცვის შესახებ დიდი აღფრთოვანებით შეხვდა აზერბეიჯანის პროლეტარიატი.** აზერბეიჯანის კომპარტიის ცენტრალურ და ბაქოს კომიტეტებმა, აზერბეიჯანის პროფკავშირთა საბჭომ, აზერბეიჯანის სამთამადნო მუშათა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ გამოუშვეს მოწოდება მუშების, მუშა-ქალების, მოსამსახურეების და წითელარმიელების მიმართ. აზერბეიჯანის პროფსაბჭოს მოწოდებაში, სხვათა შორის, ნათქვამია:

„ამ დიად ისტორიულ დღეებში აზერბეიჯანის მუშები და ყველა შრომელები მთელი სულითა და აზრით ინგლისელ მებრძოლ ამხანაგებთან არიან".

### მისალმება

**ბაქო**, 4 მაისი. აზერბეიჯანის სამთამადნო მუშების კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ, აზერბეიჯანის პროფკავშირთა საბჭომ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნეს ლონდონში ტრედ-იუნიონების კონგრესის გენერალურ საბჭოს და სამთამადნო მუშების ფედერაციის ალმასკომს.

### დახმარება

**ბაქო**, 4 მაისი. შესდგა სამთამადნო მუშების კავშირის ცენტრალურ გამგეობის პრეზიდიუმის სასწრაფო სხდომა. პრეზიდიუმმა გადასწყვიტა ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინოს ინგლისელ გაფიცულ მუშებს. დადგენილ იქნა კავშირის საშუალებიდან ჯერ-ჯერობით დაუყოვნებლივ გადაიგზავნოს 3.000 მანეთი და სამთამადნო წარმოებებში დაიწყოს ნებაყოფლობით შემოწირულებათა შეგროვება.

კავშირის საინჟინერო სექციამ გადასწყვიტა თავისი საშუალებებიდან 500 მანეთი გადასდოს ინგლისელ მუშების დასახმარებლად.

თავის მხრივ საინჟინერო სექცია მოწოდებას უგზავნის ინგლისელ ინჟინერებს და ტეხნიკოსებს, რომელნიც ნახშირის მრეწველობაში მუშაობენ, და სთხოვს დახმარება აღმოუჩინონ გაფიცულ სამთამადნო მუშებს.

# გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება

### ბროკდორფ-რანცაუს განცხადება

**მოსკოვი**, 3 მაისი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელთან საუბრის დროს გერმანიის ელჩმა მოსკოვში გრაფმა **ბროკდორფ-რანცაუმ** გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების შესახებ შემდეგი განაცხადა.

„გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების არაპირდაპირი მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ იგი თავიდანვე აშორებს ორივე სახელმწიფოს ვალდებულებას გამოამჟღავნონ თავიანთი დამოკიდებულება იმ შემთხვევაში, თუ მესამე სახელმწიფოსთან მომხდარ კონფლიქტში ჩათრეული იქნა ერთი მათგანი.

ამ ხელშეკრულებას ხსნიდენ ისე, თითქოს იგი წარმოადგენდა ჟენევის უკანასკნელ კონფერენციის დამარცხების პასუხს. ასეთი თვალსაზრისი შემცდარია. ხელშეკრულება მზადდებოდა დიდი ხნით ადრე ჟენევის კონფერენციის მოწვევამდე და, ამ უბრალო მიზეზით, შეეფერება ორივე სახელმწიფოს ინტერესებს. ხელშეკრულების ჩათვლა „ჟენევის ზეგავლენად" ნიშნავს ხელშეკრულების მნიშვნელობის შემცირებას. ხელშეკრულება დადებულია არა იმისათვის, რომ წინააღმდეგობა გაეწიოს გერმანიის რაიმე სხვა ვალდებულებათა შესრულებას. ერთად ერთი მისი მიზანია—კიდევ უფრო დაუახლოვოს ერთმანეთს უკვე წინად ხელშეკრულებებით დაკავშირებული სახელმწიფოები.

ამგვარად ახალი ხელშეკრულება, რომელსაც ჩვენ ხელი მოვაწერეთ, არ წარმოადგენს „სარევანშო ხელშეკრულებას", არამედ იგი არის შეთანხმება ორ სახელმწიფოს შორის, რომელნიც სცდილობენ ერთმანეთს მშვიდობიანობის ახალი გარანტია მისცენ; ამასთანავე ეს იქნება საერთაშორისო მშვიდობიანობის გარანტიაც. ამ თვალსაზრისით, ხელშეკრულება ნიშნავს დიდ ნაბიჯს ევროპის პოლიტიკურ და მორალურ დამშვიდებისაკენ.



ბროკდორფ-რანცაუ
გერმანიის ელჩი საბჭოთა კავშირში

### რუმინეთის პრესა უკმაყოფილოა

**ვენა**, 3 მაისი. გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების დადებამ აშკარა მღელვარება გამოიწვია რუმინეთში. რუმინეთის მთელი პრესა თავს ესხმის გერმანიის და აცხადებს, რომ იგი ორმაგ პოლიტიკას აწარმოებს ლოკარნოსა და საბჭოთა კავშირის მიმართ. ხელშეკრულება, გაზეთების სიტყვით, ნიშნავს ანგორა-მოსკოვ-ბერლინის ბლოკის განხორციელებას.

გაზეთების აზრით, ინგლისის შიში გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების გამო სავსებით საფუძვლიანია; რუმინეთმა უნდა ისარგებლოს ინგლის-გერმანიის ურთიერთობაში მომხდარ გარდატეხით.

# საფრანგეთის ვალები

**ვაშინგტონი**, 3 მაისი. მიღებულია შეთანხმება საფრანგეთის მიერ ამერიკისათვის ვალის გადახდის საკითხში.

საფრანგეთი ვალდებულია 30 მილიონი დოლარი გადაიხადოს პირველ ორ წელში და თანდათან გაადიდოს წლიური გადასახადის რაოდენობა 125 მილიონამდე.

სულ 62 წლის განმავლობაში გადახდილი უნდა იქნას 6.847 მილიონი დოლარი.

# ჩინეთის ამბები

**პეკინი**, 3 მაისი. უ-პეი-ფუ დაჟინებით აყენებს მთავრობის შედგენის გეგმას მიუხედავათ იმისა მიღწეული იქნება თუ არა შეთანხმება ჩან-ძო-ლინთან.

ცაო-კუნმა გამოაცხადა, რომ იხსნის პრეზიდენტის თანამდებობას. მოწოდებაში, რომელიც მის მიერ არის გამოკრული ის აცხადებს, რომ უკანონოთ იყო დაპატიმრებული ფინ-იუი-სიანის მიერ 1924 წელში და მას შემდეგ ჩინეთი ანარქიას განიცდის და არც პრეზიდენტი ჰყავს.

პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ ცაო-კუნის დეკლარაცია ჩან-ძოლინის წინააღმდეგ არის მიმართული, იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელიც იღებდა მონაწილეობას ცაო-კუნის დაპატიმრებაში.

ექიმმა იენმა უარი სთქვა პრემიერის თანამდებობაზე, ცაო-კუნის გადადგომის გამო ვან-გუან-ჩინი, უ-პეი-ფუს ერთ-ერთი გენერალი დაბოლოს შეუდგა პეკინის გარნიზონის უფროსის მოვალეობის ასრულებას. საკავშირო ჯარები (ჩან-ძო-ლინის, ლი-ჩინ-ლინის და ჩან-ძუნ-ჩანის ჯარები) ჯერ კიდევ იცავენ სატახტო ქალაქის კარებს. საერთო მდგომარეობა ძალიან აბნეულია და ჯერ კიდევ არ შეიძლება იმის თქმა, როგორ მიმართულებას მიიღებს ამბების შემდეგი განვითარება.

ვან-გუან-ჩინმა გამოსცა ბრძანება, რომელშიც სხვათა შორის ნათქვამია, რომ ყველა ის პირები რომლებიც კომუნისტურ რწმენას მისდევენ ან და წითელ იდეების პროპაგანდას ეწევიან უნდა იქნენ დაპატიმრებული და დაუყოვნებლივ უნდა დაიხვრიტონ.

# სანიტარული კონფერენცია

**მოსკოვი**, 4 მაისი. საბჭოთა კავშირის ცაკმა და სახ. კომისართა საბჭომ დაამტკიცეს საბჭოთა კავშირის დელეგაციის შემდეგი შემადგენლობა საერთაშორისო სანიტარულ კონფერენციაზე გასაგზავნად პარიზში: დელეგაციის თავმჯდომარე საბჭოთა რუსეთის ჯანმრთელობის სახ. კომისარი სემაშკო, თავმჯდომარის მოადგილე—დავთიანი, საბჭ. კავშირის სრულუფლებიანი დელეგაციის წევრნი: ექიმები ვრონშტეინი, წარმომადგენლის მრჩეველი საფრანგეთში; მებურნუტოვი, ეგორიევი, ფრეიბერგი და პროფესორი სისინი.

# პირველი მაისის დღესასწაული

## უცხოეთში

### საფრანგეთში

**პარიზი**, 3 მაისი. საპირველმაისო გაფიცვამ პარიზში საყოველთაო ხასიათი მიიღო. მუშაობა ყველა ფაბრიკა-ქარხნებში შესწყდა. ქალაქის განაპირა და გარე-უბნებში წვრილ ვაჭრებმა დუქნები დაკეტეს. საგრძნობლად შემცირდა ტრამვაის, ავტომობილების და მეტროპოლიტენის მუშაობა. სულ 700.000 მუშა იყო გაფიცული.

დემონსტრაციები და მიტინგები სავსებით წესიერად ჩატარდა, პოლიციის ჩაურევლად.

მუშების ბავშვები—პიონერები მიტინგების და კრებების ადგილს ჰყიდდენ ვარდებს და საბჭოთა კავშირის ემბლემებს, რაც პირველი შემთხვევაა პარიზში.

პროვინციიდან მოდის ცნობები, რომ პირველი მაისის დღესასწაული იქაც ასეთივე წარმატებით იქნა ჩატარებული.

### ბელგიაში

**პარიზი**, 3 მაისი. ბელგიის ყველა სამრეწველო ცენტრებში საპირველმაისო გაფიცვები და მანიფესტაციები დიდი აღფრთოვანებით იქნა ჩატარებული. ყოველგან მანიფესტაციებს ანტი-ფაშისტური ხასიათი ეძლეოდა.

### იაპონიაში

**ტოკიო**, 3 მაისი. იაპონიაში საპირველმაისო დემონსტრაციები საერთოდ წესიერათ ჩატარდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ უმნიშვნელო შეტაკებებს პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის, რომლის დროსაც რამდენიმე დემონსტრანტი დაიჭირა.

### ჩეხო-სლოვაკიაში

**პრაღა**, 3 მაისი. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საპირველმაისო ლოზუნგი დემონსტრაციისათვის იყო ერთიანი ფრონტი. დემონსტრაციაში დაახლოვებით 20.000 კაცი იღებდა მონაწილეობას.

# საბჭოთა კავშირში

### მთელ კავშირში

**მოსკოვი**, 4 აპრილი. საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან მოდის ცნობები 1 მაისის დღესასწაულის ჩატარების შესახებ.

ვერხნეუდინსკში დღესასწაულში მონაწილეობა მიიღო მონღოლეთიდან ჩამოსულმა ჩინეთის რევოლიუციონურ ჯარების მარშალმა ფინ-იუი-სიანმა, აგრეთვე გომინდანის ცკ-ას წევრმა სუი-ჩუნმა—რევოლიუციონურ მოძრაობის ბელადმა, შანხაის უნივერსიტეტის დირექტორმა. ფინ-იუი-სიანმა მიტინგზე „ვაშა" შესძახა წითელ არმიის და საკავშირო კომპარტიას.

საპირველმაისო კრებებმა პენზაში წერილი გაუგზავნეს დასავლეთის პოლიტიკურ პატიმრებს. პერმში რამოდენიმე კულტურული დაწესებულება გაიხსნა. სამარაში წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვ. სკო-დან 400 მსმენელი იქნა გამოშვებული.

არხანგელსკში მიტინგზე ნაჩვენები იქნა მიღწევები სასოფლო მეურნეობაში. სტავროპოლში მანიფესტაციაში მონაწილეობა მიიღეს შეფობაზე აყვანილ სოფლების მიწის მუშებმა და როსტოვიდან ჩაფრენილმა ჰაეროპლანმა; გაიხსნა მთიულ ებრაელების კლუბი.

ორენბურგში მიტინგზე მონაწილეობა მიიღო ბუდიონმა. ჩიტაში მუშებმა შეფობაზე აყვანილ სოფლებს გადასცეს ტრაქტორი და სასოფლო-სამეურნეო მანქანები; იმ ადგილას, სადაც რენენკამფის დამსჯელ ექსპედიციის მიერ დახვრეტილ იქნენ რევოლიუციონერები, საძირკველი ჩაუყარეს ძეგლს დაღუპულთა სახსოვრად. ტომსკში მრავალ მუშათა კლუბში მოწყობილ იქნა რადიო-მიმღებნი. იჟევის მუშებმა მისალმება გაუგზავნეს ინგლისელ სამთო-მადნო მუშებს.

### თბილისში

ჩვეულებრივი აღფრთოვანებით და ხალისით ჩატარდა პირველი მაისი თბილისში.

დღე გათენდა მზიანი და გრილი. დილის 10 საათისთვის დანიშნულ ადგილზე შეიკრიბნენ პროფესიონალური ორგანიზაციები, სამხედრო ნაწილები, სტუდენტობა, ფიზმოვარჯიშენი და სხვა. რუსთაველის და პლეხანოვის გამზირი და აგრეთვე გამზირების ჯვარედინად გადამჭრელი ქუჩები დაკავებული იყო მუშა-მოსამსახურეთა რაზმებით, რომელთაც თან ჰქონდათ თავიანთი დროშები და პლაკატები.

8 საათიდან ქუჩებში განუწყვეტლივ გაისმოდა რევოლიუციონური სიმღერები და სამხედრო მუსიკის ჰანგები.

12 საათზე დაიწყო ალლუმი. მწყობრად ჩამწკრივებულ ჯარებს და პროფორგანიზაციებს ცხენებით ჩამოუარეს უფროს კომანდირთა რაზმმა ამხ. **სერგო ორჯონიკიძის** და კავკასიის წითელდროშოვანი არმიის მთავარსარდალ ამხ. **ლევანდოვსკის** მეთაურობით. ჯარის ნაწილები და მუშა-მოსამსახურეები მათ ტაშის და ვაშას ძახილით ხვდებოდენ.

ალლუმის მიღების შემდეგ დაიწყო ჯარის და ორგანიზაციების მსვლელობა, რომელიც ნაშუადღევის სამს საათამდე გაგრძელდა.

საღამოს კინო-თეატრებსა და მუშათა კლუბებში გაიმართა უფასო სეანსები და წარმოდგენები ჯარის ნაწილებისა და მუშა-მოსამსახურეებისათვის.

პირველი მაისის დღესასწაულს შეუერთდა ავიოქიმის მიერ მოწყობილი „გადაფრენის დღე", რომელსაც თბილისი დიდი თანაგრძნობით შეხვდა.

ქალაქში მთელი დღე დადიოდენ ახალგაზრდები ყულაბებით და აგროვებდენ შემოწირულებას ვადაფრენის სასარგებლოდ. ორი დღის განმავლობაში შეკრეფილ იქნა 2 ათასი მანეთი. პირველ მაისსვე მოეწყო გადაფრენის დღის საპოპულიარიზაციოდ გადაფრენა ქ. სიღნაღში. მთელი დღის განმავლობაში ქალაქს თავს დაჰფრენდენ „იუნკერსის" სისტემის ჰაეროპლანები და ახალ კონსტრუქციის თვითმფრინავები.

ტრამვაის სახელოსნოებმა ჩვენს ქალაქს პირველი მაისისთვის მიუძღვნეს კიდევ ახალი 10 მატორიანი ვაგონი.

თუ პირველი მაისს ქალაქი მუშა-მოსამსახურეთა დემონსტრაციებით იყო დაკავებული,—ორშაბათს—3 მაისს ქალაქი დაპყრობილი ჰქონდათ ჩვენს უახალგაზრდეს თაობას პიონერებს. დილიდან საღამომდე ქალაქი სავსე იყო პიონერთა რაზმებით, რომელნიც მწყობრი რიგებით მოსიარულენი და ხან ავტ[illegible]ბილებში ჩამსხდარნი მხიარულებასა [illegible] აღტაცებას ჰფანტავდენ ქალაქის [illegible]ში.

# პარტიული ცხოვრება

### პარტიული თათბირი

**ამიერ-კავკასიის ფართე საოლქო პარტიული თათბირი გაიხსნება 8 მაისს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს სახ. კომისართა საბჭოს სხდომის დარბაზში (ყოფილი სასახლე).**

შესასვლელ ნებართვის მიღება შეიძლება საკავშირო კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის საორგანიზაციო განმანაწილებელ განყოფილებაში. თათბირის დღის წესრიგში სდგას: **1) მოხსენება საკავშირო კომპარტიის ცკ-ას პლენუმის შესახებ; 2) მოხსენებები ადგილებიდან; 3) მოხსენება კოოპერაციის შესახებ; 4) ადგილობრივი ბიუჯეტი და 1926—27 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადი; 5) საორგანიზაციო საკითხები.**

### პარტმუშაობა გურიაში

გურიის კომორგანიზაციაში შედის 25 თემკომი. ის აერთიანებს 1097 პარტიის წევრს და 1105 კანდიდატს.

გლეხთა ლტოლვა პარტიისაკენ დიდია: შემოსულია 496 განცხადება; უმრავლესობა მიღებულია პარტკანდიდატათ.

29 თემში იქნა ჩატარებული მოხსენებები მე-14 პარტყრილობის დადგენილებების შესახებ. ამჟამად სწარმოებს ყრილობის დადგენილებების შესწავლა უჯრედებში.

### თემკომების მუშაობა

თემკომების შემოღების სისტემამ დიდათ გაადვილა როგორც კავშირი და ხელმძღვანელობა მაზრკომის თემკომებზე, ისე თემკომის სოფლის უჯრედებზე. თემკომი შეიქნა ერთი ძირითადი დამაკავშირებელი რგოლი უჯრედებსა და მაზრკომს შორის. თემკომს ეხლა ეძლევა საშუალება მასში შემავალ უჯრედების კრებებს დაესწროს და გაუწიოს შესაფერისი ხელმძღვანელობა.

თემკომის სისტემა ადვილებს გლეხთა მასების პარტიის ირგვლივ დარაზმვას. თემკომებმა ჩაატარეს ფართო კამპანია გლეხების კოოპერაციაში ჩასაბმელად. თითქმის 60%—80% გლეხებისა ითვლებიან კოოპერაციის წევრებად.

მომავალში თემკომი უფრო მეტად გაამართლებს თავის დანიშნულებას და საჭიროც იქნება მათი ქსელის გაფართოება მაზრაში.

### ხელმძღვანელობა და კავშირი

უმთავრესად კავშირი თემკომებთან დამყარებულია ინსტრუქტორების საშუალებით, რომელნიც დროგამოშვებით ადგილობრივ ათვალიერებენ თემკომის მუშაობას და შესაფერის დირექტივებსაც აძლევენ მათ.

თემკომებს აქვთ გამომუშავებული მუშაობის სამთვიური გეგმები, ამისდამიხედვით უჯრედებსაც აქვთ გამომუშავებული გეგმები.

უჯრედების მუშაობის შესწავლის მიზნით პერიოდულად იწვევა საორგანიზაციო განყოფილების მიერ თემკომების და უჯრედების მდივნების თათბირი, სადაც კეთდება უჯრედების მუშაობის შესახებ მოხსენებები.

ჯ.

### საგარეჯოს თემ-კომის მუშაობა

(თბილისის მაზრა)

საგარეჯოს თემკომი აერთიანებს 3 უჯრედს და 1 საკანდიდატო ჯგუფს. ორგანიზაციაში ირიცხება 17 პარტიის წევრი და 30 კანდიდატი.

თემალმასკომის წევრები მიმაგრებული არიან ყველა უჯრედებზე და წესიერად ესწრებიან მათ კრებებს.

უპარტიო გლეხობასთან დამოკიდებულება კარგია. თითქმის თემის ყველა სოფლებში იმართება კომუჯრედის ღია კრებები ღარიბეს გლეხობასთან ერთად. იქნა ჩატარებული გლეხთა უპარტიო კონფერენცია, რომელიც გაგრძელდა ორ დღეს.

უჯრედის კრებაზედ დღის წესრიგში ისმება საკითხები, როგორც პოლიტიკური, ისე ადგილობრივი თემის საჭირბოროტო საკითხები. საგარეჯოს თემში დაარსებულია ქალთა ორგანიზაცია. სოფ. საგარეჯოში ირიცხება დელეგატი ქალები 31 და სოფ. მანავში 19 ქალი. კრებები იმართება ორ კვირაში ერთხელ, ქალთა შორის მუშაობაში ხელმძღვანელობის გასაწევად თემკომის მიერ არის გამოყოფილი 2 პარტამხანაგი.

კომფრაქციები არის ჩამოყალიბებული საგარეჯოს „ეპო"-ში, საგარეჯოს თემგლეხკომში და საგარეჯოს სოფლის საბჭოში ფრაქციებს თემკომი აძლევს სათანადო დირექტივებს.

თემალმასკომის თაოსნობით გამოდის ყოველ კვირეული კედლის გაზეთი „საგარეჯოს თემკომის მოამბე".

თემში არის „რემედას"-ის 3 უჯრედი, რომლებშიაც ირიცხება 102 წევრი. თემკომის მიერ ჩატარებულია კამპანია სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ. სამეურნეო გადასახადი თითქმის მთლად არის აკრეფილი. საგარეჯოს თემში არსებობს ახ. ლ. კომკავშირის უჯრედი, რომელშიაც ირიცხება 136 წევრი და 6 კანდიდატი, მათ შორის 16 ქალი და 7 მოჯამაგირე. კომკავშირის შორის მუშაობა კარგად მიმდინარეობს, არის დაარსებული: დრამ-წრე, პოლიტ-წრე, მომღერალთა გუნდი და სხვა. აგრეთვე ცალკე მუშაობა სწარმოებს მოჯამაგირეთა და ახალგაზრდა უპარტიო გლეხთა შორის. კომკავშირს სოფ. ნინოწმინდაში აქვს თავისი კლუბი.

ქ. ც.

# საბჭოთა საქართველო

### წყალდიდობა ახალსენაკის მაზრაში

**ახალ-სენაკი**, 4 მაისი. **მდინარე ცხენისწყალი არაჩვეულებრივათ ადიდდა, გაცდა ნაპირებს და დაფარა სოფლები ლეხაინდრაო, სამიქაო და ონტოფო. მდინარის განაპირა სოფლები აქამდის წყლით არიან დაფარული. 30 აპრილს წყალმა მოიმატა.** ჯერჯერობით დიდი ზარალი არ ყოფილა. ონტოფოს თემში განადგურდა 30 ქცევა სიმინდის ნათესები. ადგილობრივი ხელისუფლება ყოველგვარ ზომებს ღებულობს წყალდიდობის შედეგების ლიკვიდაციისათვის. დღეს თბილისიდან ჩამოვიდა მიწათმოქმედების სახ. კომისარი ამხ. გეგეჭკორი.

### შავი ქვის ექსპორტი

**ფოთი**, 4 მაისი. ამერიკაში გავიდა ნორვეგიის გემი, რომელმაც წაიღო 8.556 ტონა შავი ქვა.

### ცემენტი ზაჰესისათვის

**ფოთი**, 4 მაისი. მოვიდა საბჭოთა სავაჭრო ფლოტის გემი „ჩერნომორეცი", რომელმაც ჩამოიტანა ზაჰესისათვის 22.000 ფუთი ცემენტი.

### 40.000 მუშა კურორტებზე

**ბორჯომი**, 4 მაისი. **მიმდინარე საკურორტო სეზონში ბორჯომის საკურორტო სამმართველოს განზრახული აქვს გაატაროს ბორჯომში, წაღვერში და ცემში 40.000 ავადმყოფი.**

შარშან ამავე კურორტებზე გატარებული იყო 25.000 კაცი.

### ლიკანის სასახლე—გლეხებს

**ბორჯომი**, 4 მაისი. ბორჯომის საკურორტო სამმართველოს განზრახული აქვს სეზონის გახსნისას მოაწყოს ლიკანის სასახლეში სანატორიუმი 60 გლეხისათვის.

## „მოკვეთილი" ოჯახი

(ს. მლეთი, დუშ. მ.)

ალექსანდრე ბურდული დააპატიმრეს და კარგათაც მოიქცენ. რომ ეს არა, მას უთუოდ გამოასალმებდენ წუთი-სოფელს მისივე ბიძაშვილ ბურდულის მკვლელობისათვის, რასაც ალექსანდრეს აბრალებდენ. მაგრამ სოფელმა სასამართლოს განაჩენს არ დაუცადა. ავმა ენამ სთქვა, რომ ალექსანდრე ბურდულია ნამდვილი მკვლელი და მთელ სოფელმა ეს ამბავი ჭეშმარიტებათ იწამა.

შეიკრიბნენ ლომისის ეკლესიაში მღვდელნი და დეკანოზნი (დეკანოზებს აქ მოხუც გლეხებს ეძახიან) შეიმოსნენ მღვდლები საეკლესიო სამოსელით. გამოასვენეს ლომისის დროშები და ხატები, თავი მოიყარა ეკლესიის გალავანში მთელი მლეთის გლეხობამ. მღვდელმა წაიკითხა სახარება, დეკანოზებმა ახსნეს მთიულეთის ყველა ძლიერი ხატები და ამნაირათ „დარისხეს" 15 სულისაგან შემდგარი ალექსანდრე ბურდულის ოჯახი.

ამ დღიდან ეს ოჯახი მოკვეთილათ იქნა გამოცხადებული. მას „ჩაუყარეს სამანი", რომლის ძალითაც მოკვეთილი ოჯახის არც ერთ წევრს ნება არა აქვს მივიდეს მეზობლის კარზე, იქონიოს რაიმე კავშირი მეზობლებთან. მოკვეთილ ოჯახს ეკრძალება სოფლის მცხოვრებლებთან ლაპარაკი. ეს ერთნაირათ სავალდებულოა როგორც დიდისათვის, ისე პატარეებისათვისაც.

გარდა ამისა მოკვეთილ ოჯახის საქონელი ვერ გაივლის მეზობლის კარზე. თუ სოფელს საერთო რამ აქვს, მოკვეთილი ოჯახი აქ[illegible]ან ჰკარგავს თავის წილს. სასოფლო საქმეებში კი ასეთი ოჯახი მოკლებულია ხმის უფლებას.

თუ ვინმე გზაში უნებლიეთ შეხვდა მოკვეთილს, მან გვერდი უნდა აუქციოს შემხვედრს, თორემ ის ჩაითვლება სოფლის პირის გამტეხათ, რისთვისაც შესაძლებელია ისიც მოკვეთილათ გამოაცხადონ.

ასეთია ეს დაუშვებელი და უსასტიკესი სასჯელი, რომელსაც მთაში მიმართავენ გლეხები იჭვში ამოღებულ პირის დასასჯელათ. ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი ოჯახი შეიძლება სრულიად ადვილად დაიღუპოს, გლეხის ოჯახის კეთილდღეობა მეზობლობასა და ურთიერთ დახმარებაზეა დამოკიდებული.

ასეთ მდგომარეობას კიდევ რამდენამდე გაამართლებდა კაცი, რომ დასჯილი ოჯახის რომელიმე წევრი რაიმე ბრალში იყვეს. ხშირათ საკმარისია ვინმეზე იჭვის მიტანა, რომ მისი ოჯახი მოკვეთილად გამოაცხადონ და ამით უბედურებაში გახვიონ ბრალიანი და უბრალონიც.

განსაკუთრებით დაუშვებელია ასეთი ზნე-ჩვეულება მლეთში, რომლის მცხოვრებლებსაც მთელ მთიულეთში თავი მოაქვთ მოწინავე და კულტურულ გლეხებათ.

ა. ბუჩუკი.

## სინათლისაკენ

(ზომლეთი, გურია)

10 აპრილს მოხდა ზომლეთის წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლაში კურს დამთავრებულთა გამოშვება. ეს სკოლა დაარსდა წარსულ 1 იანვარს.

წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი უდრიდა 62-ს. მათ შორის 4 მამაკაცი და 58 დედაკაცი იყო. სკოლას ხელმძღვანელად მოწვეული იყო მასწავლებელი დ. მგელაძე.

გამოცდას დაესწრნენ: რაიკომის მდივანი, თემკომის მდივანი, ალმასკომის თავმჯდომარე და შვიდწლედის გამგე. გამოცდების ჩატარების შემდეგ კურსანტებმა გამოიტანეს დადგენილება, გააგრძელონ სწავლა მეორე საფეხურის კურსით. მეცადინეობა იწარმოებს ზაფხულის თვეებში.

უმეტესობა მსმენელთახანი მიღებულ იქნა პროფესიონალურ სასწავლებელში, რომელიც დაარსა ქალთა სადელეგატო კრებულმა, სადაც მათ ჭრა-კერვას ასწავლის თ. ქურიძე.

გოჩა

## სანიმუშო ამხანაგობა

(ტობანიერი, ქუთ. მ.)

ტიბანიერის თემში არსებობს სას.-სამ. ამხანაგობა „ტობანიერი", რომლის დამაარსებლათ ითვლება ამხ. ა. გაგუა. ორი წლის განმავლობაში ეს ორგანიზაცია 722 წევრამდე გაიზარდა. მალე ამხანაგობამ ბაშის თემში დაარსა განყოფილება.

თვით ტობანიერის თემში კი გახსნა ყველასათვის ხელმისაწვდომი სამკერვალო, როგორც მამაკაცების, ისე დედაკაცების ტანსაცმელებისა, გლეხები ამით მეტად კმაყოფილნი არიან. ამხანაგობამ დაარსა მეფუტკრეთა წრე, გახსნა წითელი სასადილო, სადაც ხელმისაწვდომ ფასებში იყიდება სადილი.

ამასთანავე ამხანაგობამ წარსულ წელს გაუსესხა გლეხებს ხელსაყრელ ფასებში 6000 ფუთი ბამბა 800 ფ. სიმინდი და 100 ფ. ლობიო. ამავე დროს ავანსის სახით ბამბის მთესველებს დაურ[illegible] 9000 მანეთამდე.

იქაური.

# წერილებიდან

### ხ. ოგუჯი, (ზუგდ. მ.)

**სახიფათო ხიდი.** ზუგდიდ-წალენჯიხის გზაზე ჩანგრეული იყო ხიდი, რომელიც გასაკეთებლათ აიღო კერძო მოიჯარადრემ. დღეს ხიდი უკვე მზათაა, მაგრამ ის იმდენათ ცუდათაა გაკეთებული, რომ ვერც ურემი და ვერც ცხენოსანი უხიფათოდ ვერ გაივლის მაზე. ხიდზე არც მიწა და არც ხრეშია დაყრილი და იმდენი ხვრელები დატოვებული, რომ იშვიათად თუ გაივლის ზედ ოთხფეხი ფეხებ მოუტეხელათ. თვით ხიდიც მცირე სიმძიმისაგან მავთულივით ქანაობს და იზნიქება. რაში აიღო მოიჯარადრემ სოფლის ფულ[illegible]?

ლუტუტია.

### ს. ჭინათი, (გურია)

**იშვიათი შემთხვევა.** მაგარი წვიმებისა და მიწის ძვრის შემდეგ ჩვენი სოფლის ერთი კუთხის ნიადაგი ჩაიწია დაახლოვებით სამი ადლით. გლეხები ამ შემთხვევამ მეტად დააფიქრა. ზოგიერთები გადასახლებაზეც ლაპარაკობენ.

ხ. კვაჭაძე.

### ახალდაბა, (გორ. მ.)

**გაგვიხსენით სასადილო.** აქაური გლეხები უმთავრესად ხე-ტყის დამზადებით სარჩოობენ. იღებენ თუ არა ფულს, მიდიან მიკიტნებთან და სახლში ჯიბე ცარიელები ბრუნდებიან. ცოლ-შვილი კი სახლში მშიერი ზის. დროა ვიზრუნოთ ახალდაბაში წითელ სასადილოს გახსნისათვის.

პარ—ლინ.

# შრომის სიტყვა

(ბეჭდვითი სიტყვისა და პოეზიის ერთიან დღეს)

იყო...
„სიტყვა".
ისიც ვითომ იჯდა ცაში
და ალაგმვით იდგა ქვეყნად
ნდომის რაში!
და „ბეწვის ხიდს"
გასავლელი ეს მანძილი
ეპყრა ისე,
რომ მეფობდა ირგვლივ ძილი!..
არ ისმოდა
სასიცოცხლო ძალთა ქროლვა;
უილაჯო ლტოლვა იყო;
ყოვნის ლტოლვა..

* * *

მაგრამ, აი:
იშვა სიტყვა, სულ სხვაგვარი;
ერთის ენით
ამეტყველდა შრომის ჯარი!
მან აღძრა წინ
ალაგმული ნდომის რაში
და ძველი გზაც
ააფეთქა მეხად ცაში!
მოსწყდა ცასაც
მზის სიცილად
ცეცხლის ელვით
და ძველს ყოფას
შეუტია მკაცრი ღელვით!..
მის საქმეში
ხორცს ისხამდა
ის,
რაც ითქვა:
"საქმედ იქცა,
დიად საქმედ
შრომის სიტყვა!..
და, ვით დაფი,
ბრძოლის ველზე დამახვილი!
ჰყვავდა...
სრავდა,
როგორც მეხი, პირმახვილი!..
აწ ის
ერთ მხრით მოუხმობს, ვით
ქარხნის შტვირი:
ერთი შრომა!
ერთი ენა!
ერთი პირი!
ერთი აზრი!
ერთი გზა და
ერთი ძალა!..
ბრძოლის რაზმი
შრომის რაზმად
გაიშალა..
მაინც პირი,
ფხა იმისი
და ძახილი ბრძოლასავით შეუდგარი
და
მახვილი!
ის წელში სდრეკს
ძველი დროის იალბუზებს
და ცაილებს,
ვით მაისი!..
ჰხიბლავს მუზებს!..

ნ. ზომლეთელი.

# ჩვენი ყრილობა

საქართველოს პროლეტარული მწერლობა, გასაბჭოების შემდეგ, ხან დაქსაქსულ ჯგუფებად, ხან კი—სხვადასხვა ორგანიზაციების სახელწოდებით მუშაობდა. ფართე მასიური ყრილობა პროლეტარული ლიტერატურის ყველა ძალებისა გასაბჭოების მხოლოდ მეექვსე წელში ხდება. ა. წ. 5 მაისს, საბჭოთა პრესის ზეიმის დღეს, იზეიმებს ჩვენი პროლეტარული ლიტერატურაც: გაიხსნება საქართველოს პროლეტარულ მწერალთა პირველი ყრილობა.

პროლეტარული საზოგადოებრივობა კოლექტივიზმით ხასიათდება, მისი ლიტერატურული სახეც ასეთივეა: ესაა პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია, მთლიანი, მშრომელი ლიტერატურული ოჯახი. ამ ასოციაციის ირგვლივ თავს იყრიან როგორც პროლეტარული მწერლ., ისე მარქსისტი კრიტიკოსები. ერთი სიტყვით, პროლეტმწერალთა ასოციაცია ფართე, მთლიანი და განსაზღვრულ კლასობრივ იდეოლოგიის მატარებელი ორგანიზაციაა.

დღემდე ქართულმა პროლეტარულმა ლიტერატურამ განვლო დაახლოვებით იგივე საფეხურები განვითარებისა, რაიც რუსეთისამ. განვლო სამოქალაქო ომისა და საბარიკადო ლიტერატურის პერიოდი, მისგან გამომდინარე შემოქმედებითი კრიზისით. „პროლემფის" (პროლეტარულ მწერლობის ახალი ფრონტი) დაარსების შემდეგ, ჩვენი ლიტერატურა გადავიდა ახალ საფეხურზე. თანამედროვეობის კონკრეტულ ასახვაზე, ლიტერატურულ პროდუქციის გაუმჯობესებაზე, მასიურ ორგანიზაციის შექმნაზე (მოეწყო თბილისის ასოციაცია, საკავშირო პროლეტმწერალთა ასოციაციის საფუძველზე). მაგრამ ამ ახალ ამოცანათა გატარებაში პროლეტარულ ლიტერატურას ბევრი სიძნელეები ხვდება. ჩვენ მწერალთა ნაწილი ხშირად იხევს ამ ამოცანებისგან, ზოგიერთებს პროლეტარულ აუდიტორიის სისუსტისა და ახალ ეკონომიურ პოლიტიკის გავლენის გამო, ნაწილობრივი გადახრები ემჩნევათ. (ლიტერატურული ფორმით გადაჭარბებული გატაცება, პესიმიზმი, ლირიკის დამახინჯება და სხვ.) ყველა ამ სიძნელეებს და წამოჭრილ შემოქმედებით კითხვებს, ყრილობა სათანადო პასუხს გასცემს.

პროლეტარულ ლიტერატურისთვის ჩვენ საზოგადოებრივობას პირველ ხანებში არ ეცალა, იგი ამ სფეროსთვის ვერ სთმობდა ძალებს და ნაწილობრივი გულგრილობაც საკუთარი ლიტერატურისადმი ამით აიხსნება, მაგრამ ეხლა, რუსეთის კომუნისტური პარტიის ც-კ-ის რეზოლიუციის შემდეგ („პარტიის პოლიტიკა მხატვრულ ლიტერატურის დარგში") — ასეთი გულგრილობა და უყურადღებობა ისპობა. ამის მაჩვენებელია თანაგრძნობა, დახმარება და ინტერესი მშრომელი მასსების ჩვენ ლიტ. ორგანიზაციების მიმართ, პროლეტ. მწერალთა რიცხვობრივი და თვისობრივი ზრდა, მათი გამოცემის შედარებითი გაუმჯობესება და სხვა.

ყრილობის წინაშე სდგას კონკრეტიული ამოცანები:

გააერთიანოს პროლეტარულ ლიტერატურის ძალები მთლიან ორგანიზაციაში საკავშირო ასოციაციის (ВАПП) წესდების საფუძველზე.

შემუშაოს ასოციაციის შემოქმედებით—იდეოლოგიური პლატფორმა.

დაუკავშირდეს და მტკიცე ორგანიული კავშირი გააბას მეზობელ ერების პროლეტარულ მწერალთა ასოციაციებთან და განსაკუთრებით საკავშირო და რუსეთის ასოციაციებთან.

გააუმჯობესოს პროლეტარულ მწერალთა გამოცემის საკითხი; ხელი შეუწყოს და გაუკვალოს გზა საქართველოში მცხოვრებ მოძმე ნაციონალურ უმცირესობათა პროლეტარულ ლიტერატურის განვითარებას; ყრილობა გადახედავს აგრეთვე ჩვენი პროლეტარული ლიტერატურის წარსულს, შეაფასებს მას და იტყვის თავის ავტორიტეტულ სიტყვას იმის შესახებ, თუ რა უნდა იქნას უარყოფილი წარსულ მუშაობიდან და რისი გამოყენება საჭირო მომავალში.

ყველა ამ ამოცანათა განხორციელების შემდეგ, ჩვენი ორგანიზაცია შევა განვითარების სულ ახალ პერიოდში; შემოქმედებით მუშაობას მიეცემა უკეთესი, ორგანიზაციული გარანტია, სწავლა მიიღებს ნორმალურ ხასიათს, მარქსისტულ კრიტიკისა და თვით კრიტიკისთვის გაიშლება მუშაობის უფრო ხელსაყრელი პირობები და ჩვენ პროლეტარულ მწერლებს შესაძლებლობა მიეცემა მეგობრული კავშირი გააბან პროლეტარულ რევოლიუციის ლიტერატურულ თანამგზავრებთან.

პ. ქიქოძე.

# ბრძოლა მომჭირნეობისათვის

### ს. მ. უ. სატყეო მასალის სამმართველოში

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სახელმწიფო სატყეო მასალის სამმართველოს მიერ გამოყოფილია სპეციალური კომისია, რომლის დანიშნულებაა ზედნადები ხარჯების შემცირება.

კომისია სწავლობს შტატის საკითხებს და არკვევს იმას, თუ რამდენად შესაძლებელია ზედმეტი სამუშაოების შემცირება და სხვა. ამას გარდა კომისია სწავლობს შრომის ნაყოფიერების გადიდებასთან დაკავშირებულ საკითხებს და არკვევს იმას, თუ რამდენად მოსახერხებელი იქნება საერთოდ ზედნადები ხარჯების შემცირება ყველა დარგებში.

კომისიის მუშაობა დამთავრდება ახლო ხანში. ყველა აღნიშნული საკითხების შესწავლის და გამორკვევის შემდეგ შემუშავებული იქნება მთელი რიგი კონკრეტიული ღონისძიებანი, რომელთა გატარება ხელს შეუწყობს უსარგებლო ხარჯების შემცირებას.

ასეთივე კომისიები მოწყობილია სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სხვა ტრესტებში და წარმოებაშიც. ზედნადები ხარჯების შემცირებასთან ერთად მიღებულია ზომები პროდუქციის ღირსების გასაუმჯობესებლადაც. ამ მხრივ საკმაოდ დიდი შედეგებია მიღწეული ლითონის და ტყავის ტრესტებში.

### მუშკოოპში

ეკონომიის რეჟიმი ტარდება მუშათა [illegible]ლიან კოოპერატივშიც; ამჟამად მუშკოოპის მიერ გამოყოფილია რამოდენიმე კომისია—სავაჭრო, სამრეწველო, საკანცელარიო-საანგარიშო და საფინანსო კომისიები, რომლებიც იკვლევენ მუშკოოპის წარმოებების ხარჯებს და იმუშავებენ ზომებს სავაჭრო-სამრეწველო და სხვა აპარატების გასაუმჯობესებლად.

კომისიების შემადგენლობაში შედიან მუშკოოპის ყველა პასუხისმგებელი მუშაკები, სარევიზიო კომისიების და ადგილკომების წევრები და სხვა.

# დავცხრილოთ ჩვენი რიგები

(შინამრეწველ ხელოსანთა ახალი რეგისტრაციის შესახებ)

როგორც ვიცით, თბილისში 1921 წლიდან დაარსებულია თვითმშრომელი ხელოსნების საზოგადოება „სამტრუდ"-ი. ეს საზოგადოება აერთიანებს თავის რიგებში 11 სხვადასხვა ცეხებს და 4.500 კაცს, ხელოსნებს. ეს თბილისში. პროვინციაში კი 15.000 კაცზე მეტს.

შინამრეწველობა საქართველოში მნიშვნელოვან რაოდენობის პროდუქციას იძლევა. საქონლის ნაკლებობის პირობებში, რომელსაც დღეს ადგილი აქვს საბჭოთა რესპუბლიკებში, ეს უთუოდ სასარგებლო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. პარტია და ხელისუფლება ყოველმხრივ ცდილობს ხელი შეუწყოს შინამრეწველობის განვითარებას. შინამრეწველთა ამხანაგობებს ეძლევათ სხვადასხვა შეღავათები და უპირატესობანი კერძო, დამოუკიდებელ მწარმოებლებთან შედარებით.

ამიტომაა, რომ ამ ამხანაგობათა რიგებს ბევრი ხელოსნები აწყდება. აქ შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ერთგვარ არასასურველ მოვლენასაც. შეიძლება ამხანაგობებში არიან ისეთი ელემენტები, რომლებზედაც არ უნდა ვრცელდებოდეს მთავრობის მფარველობა და შეღავათები.

რომ ასეთ ელემენტებისაგან გაიწმინდოს „სამტრუდ"-ი და სახელი არ გაუტყდეს მას მთავრობისა და პარტიის ორგანოების თვალში, მარტის 15-დან დაწყებულია შინამრეწველ-ხელოსანთა კავშირის გადასინჯვა-წმენდა, რომელიც დღემდე მიმდინარეობს.

თვითეულ ცეხში შემდგარია სამეულები, რომლებსაც დაკისრებული აქვთ თავის ცეხში შემავალი ყველა წევრები გაცხრილონ და შეამოწმონ. წევრი გამოირიცხება ცეხიდან, შემდეგ მთელი საზოგადოების შემადგენლობიდან, როგორც მავნე და საეჭვო პირი, რომელსაც წესდების ძალით არ უნდა ჰქონდეს ადგილი საზოგადოებაში. უნდა ითქვას, რომ ყველა ცეხებში შემდგარი კომისიების მუშაობა და თვით ცენტრალურისაც ძალზე ბრკოლდება იმ მიზეზით, რომ წევრები არ მოდიან თავის დროზე რეგისტრაციაში გასატარებლად.

„სამტრუდ"-ის გამგეობის პრეზიდიუმმა ორჯერ გააფრთხილა ყველა წევრები, რომ გამოცხადდენ რეგისტრაციაში. ეხლა მიცემული აქვთ ყველა წევრებს მესამე და უკანასკნელი ვადა მაისის პირველამდე, ვინც არ გამოცხადდება ახალი რეგისტრაციისათვის და ვინც, უკვე რეგისტრაციაში გატარებულებიდან, არ შემოიტანს საწევრო გადასახადს, 5 მაისიდან ყველა ასეთი წევრებიც მექანიკურად გარიცხული იქნებიან კავშირიდან. ამიტომ ვალდებული არის ყველა წევრი მოიხადოს თავისი მოვალეობა კავშირის წინაშე.

ჩვენ მივმართავთ ყველა ამხანაგებს და პატიოსან მოქალაქეთ, ვინც რაიმე იცის რომელიმე ჩვენი საზოგადოების წევრის უკანონო მოქმედების შესახებ, მიაწოდონ ასეთი ცნობები საზოგადოების მართველობას, რომელიც გადასცემს მათ ცეხების სამეულებს შესამოწმებლად და შემდეგ კი სათანადო მსჯავრის დასადებად. ასეთი ცნობების მიწოდება ყველაზე მეტად შეუძლიათ ფინინსპექტორებს.

მაგალითად, ჩვენი წესდების მიხედვით, „სამტრუდ"-ის ძირითადი საფუძველი იწყება 5 კაცისაგან. ერთი თვით ხელოსანი, ერთი ან ორი ქარგალი, ორი და არა [illegible] სამისა, მოწაფეები. ყველა შრომობს და თავის ნაშრომს ასაღებს თვითონვე სახელოსნოდან და ამით ირჩენს თავს. „სამტრუდ"-ს არა აქვს უფლება სხვა თავის ნაწარმოებ საქონლის შეძენის და გაჭრობისა. ასეთი წევრები დაუყოვნებლივ უნდა გაირიცხონ საზოგადოებიდან.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ [illegible] მოქალაქე ჩვენს დაგვეხმარება ასეთი ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლაში და შინამრეწველთა ამხანაგობის მავნე ელემენტებისაგან განწმენდაში.

[illegible]ძე.

# მუშათა ცხოვრება

### მუშკორების საყურადღებოდ

**დღეს, საღამოს ხუთ საათზე მუშათა სასახლის დიდ დარბაზში შესდგება მუშკორების. სახკორისა და ახკორების საზეიმო კრება, „ზარია ვოსტოკა“-ს მუშკორების ამიერკავკასიის თათბირის დელეგატების თანდასწრებით.**

### მუშკორი მომჭირნეობის სადარაჯოზე

28 აპრილს ჩვენი რედაქციის ბინაზე შესდგა **გაზ. „კომუნისტი“**-ს და **„მუშა“**-ს მუშა-კორესპონდენტების გაერთიანებული კრება, რომელზეც მოხსენება გააკეთეს ს. ქ. პ. საკონტროლო კომისიის და მ./გ. ინსპექციის წარმომადგენლებმა—ამხ. ვ. გოგობერიძემ და ა. კალანდაძემ—ეკონომიურ მომჭირნეობის საკითხის და მუშკორთა შორის მჭიდრო კავშირის შექმნის შესახებ.

მოხსენებებში გაშუქებულ იქნა ის დიადი ამოცანა, რომელიც დასახული აქვს ხელისუფლებას საბჭოთა აპარატის გაუმჯობესების საქმეში. უდიდესი ყურადღება ექცევა აგრეთვე იმ ბოროტმოქმედებებს, რომელიც ეპიდემიასავით მოედვა საბჭოთა, კოოპერატიულ და საზოგადო დაწესებულებებს და რომელიც გამოიხატება საზოგადო ფულების და ქონების გაფლანგვაში. 29 კოოპერატიულ ერთეულიდან 11-ში აღმოჩენილ იქნა ფულის გაფლანგვის ფაქტი. რუსეთში 8 თვის განმავლობაში გარჩეულ იქნა 9.000 საქმე—11 მილიონ მანეთის გაფლანგვის შესახებ. ამაში დამნაშავე არიან კოოპერატივის როგორც გამგეობები, აგრეთვე სარევიზიო კომისიები, რომელნიც მომავალში ისევე მიიცემიან პასუხისგებაში, როგორც გამგეობები.

შემდეგი ძლიერი ფაქტორი საბჭოთა ეკონომიკის აღდგენის საქმეში შრომის ნაყოფიერების და მის მეცნიერულად გამოყენებას ეკუთვნის. აქ უდიდესი მნიშვნელობა აქვს წარმოების ხელმძღვანელს და აპარატის მოწყობას, რასაც ნათლად ამტკიცებს ამერიკის მაგალითი, სადაც, გამოკვლევების მიხედვით, წარმოების ნაკლებ ნაყოფიერების მიზეზის 60% ხელმძღვანელობით მოუწყობელ აპარატში აღმოჩნდა.

მომჭირნეობის რეჟიმის ჩატარების საქმეში [illegible] და კერძოთ მუშათა კორესპონდენტებს უპირველესი ადგილი უჭირავთ. ამიტომ მუშკორთა ორგანიზაციებთან საბჭოთა საკონტროლო ორგანოები იჭერენ მჭიდრო კავშირს. მუშათა არც ერთი შენიშვნა არ დარჩება უყურადღებოდ. მიღებული იქნება სასტიკი ზომები მუშკორთა [illegible] საკონტროლო კომისია და მუშგლეხინი ამ მხრივ იღებენ ყოველგვარ ზომებს.

მოხსენებებმა გამოიწვია მუშკორების მრავალი შეკითხვები, რაზედაც მათ გაეცათ სათანადო პასუხი, რის შემდეგ მიღებული იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„მოისმინა რა საკონტროლო კომისიის და მ./გ. ინსპექციის წარმომადგენლების—ამხ. ვ. გოგობერიძის და ა. კალანდაძის მოხსენებები ეკონომიურ მომჭირნეობის რეჟიმის, მუშკორესპონდენტების როლის და საკონტროლო კომისიის და მ./გ. ინსპექციის და მუშკორთა შორის ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ, გაზ. **„კომუნისტი“**-ს და **„მუშა“**-ს მუშა-კორესპონდენტების გაერთიანებული კრება მიესალმება საკონტროლო კომისიის და მ./გ. ინსპექციის მოღვაწეობას, რომელიც მიმართულია საბჭოთა ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ აღორძინებისაკენ,—საბჭოთა აპარატის გაუმჯობესების და შემჩნეულ ბოროტმოქმედებათა აღმოფხვრის საშუალებით. კრება აგრეთვე ხაზს უსვამს იმ უდიდეს მნიშვნელობას, რომელიც აქვს მუშკორთა მასის და მ./გ. ინსპექციის შორის კავშირის დამყარებას და მის განმტკიცებას. კრება აღუთქვამს საკონტრ. კომისიას და მ./გ. ინსპექციას მიმართოს პრესის ბასრი იარაღი იმ დიდი ამოცანის განსახორციელებლად, რომელსაც ჰქვია საბჭოთა აპარატის გაუმჯობესება და ამ გზით ქვეყნის ეკონომიურად აღორძინება. ამ ამოცანის უკეთ მიღწევის მიზნით, **კრება საჭიროდ სთვლის დაარსებულ იქნეს ყველა საწარმოო ან სხვა დაწესებულებებში განსაკუთრებული საინფორმაციო მაგიდა,** რომელსაც უნდა დაევალოს თვალყური ადევნოს იმ შენიშვნებს და მათ შედეგებს, რომელიც იბეჭდება გაზეთებში მათ დაწესებულებების შესახებ.

დასასრულ კრება გამოსთქვამს სურვილს უფრო ხშირად გაიმართოს საკონტროლო კომისიის წარმომადგენლების მ./გ. ინსპექციის ორგანოების მოხსენებები მუშკორთა კრებებზე და გამოიცეს ლიტერატურა მუშკორთა მოძრაობის და ამოცანების შესახებ.

მუშკორი ა. ნიკოლაიშვილი.

### ქალთა მდგომარეობის გამაუმჯობესებელ კომისიაში.

ქალთა საკითხის ღირსეულად მოგვარება ერთ-ერთი უდიდესი საკითხთაგანია საბჭოთა ხელისუფლებისა მსოფლიო გამარჯვების საქმეში. ქალები არაფრით ჩამოუვარდებიან მამაკაცებს—არც შრომით და არც აზროვნებით. ქალების ენერგიული მუშაობის ერთ-ერთი მაგალითის მაჩვენებელია ჩვენი დაწესებულება (ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების კომისია). რომლის წევრები პირნათლად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

აქ კი განსაკუთრებითი ყურადღების და მადლობის ღირსი არიან ამ დაწესებულების ხელმძღვანელნი, რომლებიც მფარველობას უწევენ უმუშევარ ქალებს და აძლევენ მათ სამსახურს, რათა მათ თავის შრომით ირჩინონ თავი, და აძლევენ სხვა დახმარებასაც.

მუშა-ქალებმა ხელი უნდა შეუწყონ აღნიშნული კომისიის მუშაობას, რომ იგი [illegible] და უფრო მეტი ნაყოფიც მოგვცეს.

მ. კორძაია.

### მუშური მადლობა ღირსეულ მუშაკს.

სახელმწიფო უნივერსიტ. პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე ლექციებს კითხულობს ინჟ.-დოცენტი **გიორგი ნიკოლაძე,** რომელიც პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას; მას აუარებელი მუშაობა აწევს. მუშაობს იგი აგრეთვე გეოგრაფიულ საზოგადოებაში და სხვაგან. მიუხედავად ამისა, იგი ფაქიზად და მზრუნველობით ეპყრობა მსმენელებს, რითაც კი შეუძლია, სტუდენტებს ეხმარება, თავის ძალღონეს არ იშურებს. აღსანიშნავია ის, რომ მას ყოველ ოთხშაბათობით აქვს დანიშნული გამოცდები სესიის გარეშე, რისთვისაც მას მადლობას უძღვნიან სტუდენტები. მან გამოსცა სამშობლო ენაზე უმაღლესი მათემატიკის სახელმძღვანელო (ინტეგრალი) და კიდევ ამ მოკლე ხანში იქნება გამოცემული მხაზველობითი გეომეტრია. მას იცნობენ ჩვენი მუშები, როგორც მოგზაურს, რომელიც შარშან ზაფხულში ხელმძღვანელობდა ყაზბეგის მთის მწვერვალზე ამსვლელ ახალგაზრდობას.

მუშური მადლობა ღირსეულ მუშაკს. ვუსურვებთ მას შემდეგშიაც განაგრძოს თავისი მუშაობა მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ.

მუშკორი გოგებაშვილი.

### რისთვის გვიყვარს პირველი მაისი.

დღეს პირველი მაისია... გვახარებს ყველას მისი შეხვედრა, ვინაიდან მაისის როგორც სახელი, ისე მისი ბუნებაც ლამაზი და მომხიბლავია. მაგრამ ჩვენთვის, მუშებისა და გლეხებისათვის, ის უფრო ლამაზი და საყვარელია მით, რომ ის გვაკავშირებს ჩვენ მთელ მსოფლიოს მშრომელებთან, გვამაგრებს, გვახალისებს და გვამზადებს მომავალი დიდი ბრძოლებისათვის კაპიტალის წინააღმდეგ.

საბჭოთა დიდი კავშირის გამარჯვებული მუშები და გლეხები დღეს ერთხელ კიდევ გადასძახებენ მომავალ გამარჯვების იმედით დასავლეთის მებრძოლ პროლეტარებს: „მედგრად, ამხანაგებო! შეამჭიდროვეთ რიგები, დაირაზმეთ კომუნიზმის დროშის ქვეშ და მუშათა კლასის ავანგარდის, კომუნისტური პარტიის, ხელმძღვანელობით გავსწიოთ წინ მშრომელი კაცობრიობის გასანთავისუფლებლად კაპიტალის კლანჭებიდან. ბრძოლის გადამწყვეტ მომენტში ჩვენ თქვენთან ვიქნებით!“

დასავლეთის სისხლისმსმელ იმპერიალისტებისაგან აწიოკებულო, გაძარცულო, დაჩაგრულნო და დამონებულნო აღმოსავლეთის ერებო! თქვენ იბრძვით თქვენი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის და თავისუფლებისათვის — ჩვენი თანაგრძნობა თქვენს მხარეზეა!

თქვენი შეერთებული ძალა, თქვენი ვაჟკაცური გმირული ბრძოლა ბოლოს მოუღებს თქვენს მიწა-წყალზე უსირცხვილოდ მოთარეშე დასავლეთის იმპერიალისტებს და სისხლისმსმელ ყაჩაღებს. გაუმარჯოს თქვენს ბრძოლას!

გაუმარჯოს საბჭოთა დიდ კავშირს! გაუმარჯოს მშრომელი კაცობრიობისათვის შეუდრეკელ მებრძოლ კომინტერნს!

გაუმარჯოს პირველ მაისს!

მუშკორი მ—ლი.

### როგორ მუშაობს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფკომი.

დღიდან თავისი არჩევისა ჩვენი პროფკომი შეუდგა ენერგიულ მუშაობას: აიყვანა აღრიცხვაზე უმუშევრები და ახალი წევრების მიღებას შეუდგა, რომელთა წევრებად მიღების დროს იყვნენ წარმომადგენელი როგორც აღმასრულებლიდან, ისე ახ. ლ. კ. კ. იღებდენ მხოლოდ მუშათა შვილებს და სტიპენდიატებს.

ღარიბ სტუდენტებს აძლევენ უფასო სადილს. მათვე ურიგებენ ბილეთებს შეღავათიან ფასებში და აბანოს ბილეთებს კი უფასოდ.

კავშირის წევრების ანარიცხს თავის დროზე იღებენ და გზავნიან მელითონეთა კავშირის ც. გამგეობაში.

ამ რამოდენიმე დღის წინეთ პროფკომი შეუდგა თავისი კავშირის წევრების ჯანმრთელობის შემოწმებას.

ჩვენი პროფკომი შესდგება სამი კაცისაგან. მასში შედიან ამხ. კაკაბაძე, კიკაბიძე და ბახტაძე.

ენერგიული მუშაკები მადლობის ღირსნი არიან.

მუშკორი გო—შვილი.

# საჰაერო ექსპედიცია

იმ გადაფრენის მიზანი, რომელსაც ახლო მომავალში აწყობს ავიაქიმი, არის—ჩვენი ინჟინრების ნაკაზების მიხედვით ჩვენსავე ქარხნებში და ჩვენივე მუშების ხელით აგებული თვითმფრინავების გამოცდა, რომელმაც პირველად უნდა უჩვენოს დასავლეთის ქვეყნებს და ახლო აღმოსავლეთს ჩვენი ავიაციის წარმატებანი. ამ გადაფრენით საბჭოთა ავიაცია გამოდის ევროპის ფართო შარა-გზაზე.

საკუთარი ორიგინალური კონსტრუქციის ორი თვითმფრინავი დაახლოებით შუა ივნისში გაფრინდება დასავლეთ ევროპისაკენ. ერთი მათგანის სვლიგეზი (მარშრუტი) ასეთი არის: მოსკოვი—კენისბერგი—პარიზი—რომი—ვენა—პრაღა — ვარშავა — მოსკოვი—(7,150 კილომეტრი). მეორე—გაფრინდება მოსკოვიდან შემდეგი მიმართულებით: ბერლინი—ფრანკფურტი, — პარიზი — ფრანკფურტი—კინსბერგი—მოსკოვი (დაახლოებით 6.000 კილომეტრი.)

თვითეული თვითმფრინავთაგანი დაბრუნდება მოსკოვში გაფრენიდან 4—5 დღის შემდეგ.

ამასთან ერთად სამხრეთის მიმართულებით ოსმალეთში და სპარსეთში გაფრინდება ორი თვითმფრინავი. ეს კიდევ ერთხელ დაამტკიცებს საბჭოთა კავშირის მშრომელთა განსაკუთრებულ მეგობრობას და სიმპათიას ახლო აღმოსავლეთის ერების მიმართ.

ახალი საჰაერო ექსპედიციები წარმატებით დაამთავრებენ თავიანთ საქმეს იმ შემთხვევაში, თუ მათ ზნეობრივად და ნივთიერად დაეხმარებიან საბჭოთა კავშირის მშრომელნი, მთელი ქვეყნის მოსახლეობა. ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომელთაც არა ერთხელ აღმოუჩენიათ დახმარება ჩვენი ავიაციისათვის.

ახალი ესკადრილიები, ჰაეროდრომები და ავია-ლაბორატორიები შეიქმნენ სწორედ ამ დახმარებით.

ამჟამადაც ავიაქიმი იწყებს სპეციალური შეკრების მოწყობას „გადაფრენათა ფონდი“-ს შესაქმნელად.

ეჭვი არ არის, რომ მშრომელი მასები არ დაიშურებენ თავისი წვლილის გაღებას ამ დანიშნულებისათვის.

საზღვარ-გარეთ მოწყობილი დიდი გადაფრენები უნდა იქცეს ისეთ საქმედ, რომელშიაც მონაწილეობა უნდა მიიღონ მუშათა, გლეხთა და მოსამსახურეთა ფართო ფენებმა.

მათ მიერ გაღებული კაპეიკები ავიაქიმს საშუალებას მისცემს სულ მოკლე ხანში ააგოს, უკვე გამოცდილი ნიმუშების მიხედვით, ახალი სისტემის თვითმფრინავები.

ი. ფ.

# ქრონიკა

**ცაკის თავმჯდომარე ფილიპე მახარაძე** დაბრუნდა და შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას.

### სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის

**ნიუ-იორკიდან თბილისში მიღებულ ცნობების თანახმად 20-ზე მეტმა ამერიკელმა საზოგადოებამ, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო მანქანების დამამზადებელმა წარმოებებმა თბილისში გაგზავნეს თავიანთი ფაბრიკატები საერთაშორისო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისთვის. ამერიკის სხვა ფირმები აგზავნიან ექსპონატებს მახლობელ დღეებში.**

### თბილისის კვანძის გზატკეცილზე

თბილისის კვანძის გზატკეცილთაგან საქართ. სამხედრო გზა მცხეთამდე თავისუფალია მოძრაობისათვის, თელავის გზატკეცილზე ვაზიანის რაიონში სწარმოებს გზის კაპიტალური შეკეთება, სადაც მუშაობენ გლეხები; გზატკეცილი თბილის-ბეზობდალის მიმართულებით კარგ მდგომარეობაშია. კოჯორამდეც თავისუფლად შეიძლება მგზავრობა.

### ახალი პლანერის აგება

საქ. ავიაქიმის თბილისის საბჭოს საავიაციო და სასპორტო წრეები მფრინავ ამხ. ბლაგოდატინის ხელმძღვანელობით აშენებენ პლანერს, ეს პლანერი რიცხვით მეორეა საქართველოში.

### თბილისის აღმასკომში

**კურსების მოწყობა.** თბ. აღმასკომი დღეს თბილისში ხსნის თბილისის მაზრის თემაღმასკომების და საბჭოების თავმჯდომარეთა გადასამზადებელ კურსებს.

◆ **მოწაფეთა რიცხვი.** აღმასკომის განკარგულებაში არსებულ თბილისის სკოლებში ამ ჟამად სწავლობს 37 ათასი მოწაფე.

### აგარაკებზე

თბილისის დამზღვევ სალაროს დადგენილებით საკურორტო-გადამრჩევ კომისიაში აგარაკებზე წასასვლელად განცხადებების მიღების უკანასკნელ ვადათ დანიშნულია 15 მაისი.

### სასოფლო-სამეურნეო ბანკში

◆ **ვერმორელის აპარატები.** სასოფლო-სამეურნეო ბანკმა საფრანგეთიდან მიიღო 800 ცალი ვერმორელის აპარატი.

◆ **ტრაქტორები.** სასოფლო-სამეურნეო ბანკი ამ დღეებში მაზრებს და ორგანიზაციებს დაურიგებს 18 ტრაქტორს.

◆ **იარაღ-მანქანები.** სასოფლო-სამეურნეო ბანკმა მიმდინარე წლისთვის საზღვარგარეთ დაიკვეთა 373 ათასი მანეთის სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები.

### სოც. უზრ. სახ. კომისარიატში

◆ **დახმარება.** სოც. უზრ. სახ. კომისარიატმა აპრილში პენსიების და დახმარების სახით ინვალიდებს და ღარიბებს დაურია 5,983 მან.

◆ **ინვალიდების სახლების** შესანახათ სოც. უზრ. სახ. კომისარიატმა აპრილში დახარჯა 5,400 მან.

### ჩაუბარებელი დეპეშები

◆ მუკუზანიდან—მატინიანს, ბათომიდან—სილვესტრის, ლენინაკანიდან—კოსტენკოს, ჩაქვიდან—კარიევს, მოსკოვიდან—ლევჩენკოს, ბაქოდან—ჯორჯაძეს, გორიდან—მკენტიჩოვს.

### წყლის დონე მტკვარში

◆ წყლის დონის ზრდა მტკვარში გასული ოთხი დღის განმავლობაში გამოიხატება შემდეგში:

1 მაისს წყლის დონე უდრიდა 237 სანტიმეტრს, 2 მაისს—347, 3 მაისს—253 და 4 მაისს—230 სანტიმეტრს.

ამრიგად, უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში წყლის დონე მტკვარში შემცირდა.

# შემთხვევები

### საზიზღარი მკვლელობა

(ძმას ყელი გამოსჭრა—ცოლს მუცელი გამოაღადრა)

**1 მაისს ღამით სოფ. ვაშლოვანის (თბ. მაზრა) მცხოვრები სუმბათა მენთეშაშვილი მივიდა სახლში და დანით კისერი გამოსჭრა დერეფანში მწოლარე თავის ძმას ხედრაკას. შემდეგ შევიდა ოთახში და მუცელი გამოღადრა თავის ცოლს მარიამს. ეს უკანასკნელი ორსულად იყო.**

**ხედრაკას აღმოაჩნდა აგრეთვე 15-მდე ჭრილობა.**

**მკვლელი მიიმალა.**

### ცეცხლი „სალდათის ბაზარზე“

გუშინ დღის 2 საათზე სალდათის ბაზარზე მიჰქონდათ მაზუთით სავსე კასრი, რომელიც გზაში გატყდა. მაზუთმა დაიწყო დენა. დაღვრილ მაზუთს გაუჩნდა ცეცხლი. ცეცხლი ჩაქრობილ იქნა სასწრაფოთ ცეცხლის მქრობელი რაზმის მიერ.

◆ **ყელის გამოჭრა.** 30 აპრილს სვიატოპოლკ-მირსკის ქ. № 6, ივანე წერეთელმა ყელი გამოიჭრა სამართებლით.

◆ **სიმთვრალის მსხვერპლნი.** 2 მაისს დილის 5 საათზე თამარა ნასყიდაშვილის ბინაზე ქეიფის შემდეგ ჩხუბის დროს დანებით დასჭრეს ერთმანეთი: ივანე გავერჯელაძემ, ალექსანდრა ჩხეიშვილმა, რევაზ ფალავანდიშვილმა და გიგუცა დავლაშერიძემ, უკანასკნელი გარდაიცვალა მთავარ საავადმყოფოში მიყვანისას.

◆ **ტრამვაის ქვეშ.** 2 მაისს მე-8 სამილიციო რაიონში მარიამ მალგინა გაიტანა ტრამვაიმ.

◆ **დაჭრა.** 2 მაისს დესიმონოვის მოედანზე ლეონტი ეფიმოვმა დანით დასჭრა მიხეილ სოსინი.

◆ **დოღზე** 3 მაისს ნიკა ჩუტლაშვილს ამოაცალეს ჯიბიდან 550 მანეთი.

◆ **ქალების ჩხუბი.** 3 მაისს საპიორის პირველი შესახვევი № 4 ტერეზია მაჩიტაძემ ჩხუბის დროს რევოლვერით დასჭრა ვანდა ტატიშვილისა.

◆ **გვამის პოვნა.** 3 მაისს ნორაშენის შესახვევი № 3 სახლის სარდაფში აღმოჩენილი იქნა 15 წლის ბავშვის გვამი.

◆ **ჯიბგირობა.** 30 აპრ. მუხრანის ბაზარში ვასო ქობულაშვილს ამოაცალეს 30 მან.

◆ ამავე დღეს თავისუფლების მოედანზე ტრამვაის რონოდაში ასვლის დროს ასტილ იეროციანს ამოაცალეს 28 მან.

◆ ამავე დღეს თბ. სადგურზე ესპიროტიას მოპარეს ყუთი სავსე საოჯახო ნივთებით.

◆ **ქურდობა.** 3 მაისს გაქურდეს ევგენია შიუკაშვილის ბინა.

◆ ამავე დღეს ნიკოლოზის ქ. № 32 გაქურდეს ალმასტა სარქისოვის ბინა.

◆ 2 მაისს ლენინგრადის ქ. № 13 გაქურდეს ევგენია ალექსანდროვას ბინა. წაიღეს სხვადასხვა საოჯახო ნივთები.

◆ 1 მაისს ღამით მე-8 სამილიციო რაიონში გაქურდეს ირომა სავთხუციშვილის ღვინის სარდაფი.

◆ 2 მაისს რტიშჩევის ქ. № 9 გაქურდეს მარიამ დუამბოვას ბინა. წაიღეს 150 მან. ნივთები.

◆ 30 აპრილს მთავარ ფოსტის კანტორაში სურენ მარტიროსოვს მოპარეს 300 მან. ფულად.

◆ 2 მაისს ფოსტის მუშაკთა კლუბიდან მოიპარეს 150 მან. ნივთები.

◆ ამავე დღეს მადათოვის ქ. № 1 ლევან ბაბალოვის ბინიდან მოიპარეს 100 მან. ნივთები.

◆ 30 აპრილს ბარიათინის ქ. № 12 გაქურდეს ჯანელიძის ბინა. წაღებულ ნივთების რაოდენობა გამოურკვეველია.

# განათლების ფრონტზე

### სწავლების დაწყების დრო

განათლების კომისარიატის დადგენილებით ყველა ტიპის სასწავლებლებში i-ლ მაისიდან სწავლა იწყება დილის 8 საათზე.

### იუბილე

განათლების კომისარიატმა დააკმაყოფილა ზუგდიდის განსახკომის შუამდგომლობა მასწავლებელ ალექსანდრე ჩხეტიასათვის 30 წლის საპედაგოგო ასპარეზზე მოღვაწეობის აღსანიშნავად იუბილეის გამართვის შესახებ.

### კულტგანათლება

განათლების კომისარიატმა დაავალა ყველა მთავარ მმართველობებს, შეკრიბონ ცნობები იმის შესახებ, თუ ეროვნულ უმცირესობათა შორის რა მდგომარეობაშია კულტგანათლების საქმე, ან რა მდგომარეობაში იყო საქართველოს გასაბჭოებამდე.

### მასწავლებელთა გადამზადება

განათლების კომისარიატს განზრახული აქვს წელს მთელ რესპუბლიკაში გახსნას 4 წლედის მასწავლებელთა გადასამზადებელი 3 კურსები, რომელსაც გაივლის 300 კაცი. თვითეულმა მაზრამ ამ კურსებზე უნდა წარგზავნოს 20 კაცი. სიები მაზრებიდან წარმოდგენილი უნდა იქნას არა უგვიანეს 10 მაისისა.

### სახელმწიფო უნივერსიტეტს

და ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტს განათლების კომისარიატმა დაავალა წარმოადგინონ სია იმ სტუდენტების, რომლებიც კურსის დამთავრების შემდეგ უმაღლეს სასწავლებლებში დატოვებული უნდა იქნენ სამეცნიერო მიზნით.

# ხელოვნება

### კოტე შათირიშვილის ხსოვნას

დღეს, 5 მაისს, 5 წელიწადი შესრულდა რაც გარდაიცვალა მსახიობი კოტე შათირიშვილი.

კოტე შათირიშვილი ეკუთვნოდა ოთხმოცდა მეათე წლებში გამოსულ მსახიობთა პლეადას.

თამაშობდა ეგრედ წოდებულ „ფეტების“ როლებს და როგორც ამ დარგის როლების მსახიერებელს, ბადალი არა ჰყავს დღემდე.



დაუვიწყარია მის მიერ განსახიერებული ტიპები: ხლესტაკოვი („რევიზორი“), ცანცარა („სიძე-სიმამრი“), მსუბუქაშვილი („ალლუმი“), იოთამი („დედის-ერთა“), მიხეილ („დავა“) და სხვ.

ბოლო დროს იგი ჩამოშორდა სცენას და რეჟისორობდა ზუბალაშვილისეულ „სახალხო სახლში“ დღიდან მისი დაარსებისა.

გარდაიცვალა 53 წლის.

ს.

### ხელოვნების ქრონიკა

— **მუშა-მწერალთა შორის.** დღეს, 5 მაისს მაჩაბლის ქუჩაზე № 13 (ხელოვნების სასახლეში), საღამოს 5 საათზე გაიხსნება ყრილობა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის.

სავალდებულოა დასწრება იმ მუშა-მწერალთა, რომელნიც არიან წევრები „მუშა-მწერალთა წრისა“.

— **ხელოვნების სასახლეში.** დღეს, 5 მაისს, საღამოს 8 საათზე ხელოვნების სასახლეში (ივ. მაჩაბლის ქ. № 13) შესდგება საზეიმო სხდომა ქართული პოეზიის დღის აღსანიშნავად. სხდომას გახსნის გრ. რობაქიძე. სიტყვებს წარმოსთქვამენ: პ. ინგოროყვა, პაოლო იაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, ვახტანგ კოტეტიშვილი.

საღამოში მონაწილეობას იღებენ ქართველი პოეტები.

— **პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში** დამატებით იმ მწერლებისა, რომლებიც გამოცხადებულ იყვნენ მოწოდებასთან საერთო სიაში, საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ყრილობაზე გადამწყვეტი ხმის უფლებით მოწვეულ არიან კიდევ: 1. მირიან ხუხუნაიშვილი, 2. გედეონ გუგუნავა, და 3, პოლიტ აბრამია.

— **„ძინა-ძაძუ“.** ამ დღეებში თბილისის კინოებში ნაჩვენები იქნება „მეჟრაბპომრუს“-ის ახალი სურათი „ძინა-ძაძუ“.

— **„წარღვნა“.** დღეს ოპერის თეატრში მოსკოვის მეორე სამხატვრო თეატრის მიერ წარმოდგენილი იქნება „წარღვნა“.

— **ბარბალე ალექსი-მესხიშვილმა** დაამთავრა გასტროლები თბილისში. მსახიობი მიემგზავრება ბაქოში.

— **ლადო გუდიაშვილის სურათების** გამოფენა გაგრძელდება მაისის შუა რიცხვებამდე.

— **„ნატა ვაჩნაძე“.** ახლო ხანში გამოვა წიგნი ნატა ვაჩნაძეზე. წიგნში მოთავსებული იქნება: ი. პერესტიანის, გრ. რობაქიძის, ალ. წუწუნავას და სხვების წერილები.

— **„ხელოვნება“.** გამოვიდა ჟურნალ „ხელოვნება“-ს მორიგი ნომერი.

— **„პოეზიის დღე“.** ტექნიკურ დაბრკოლებების გამო სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის გაზეთი „პოეზიის დღე“ გამოვა 6 მაისს.

— **მოსკოვის მეორე სამხატვრო თეატრი** თბილისში დამატებით გამართავს 5 წარმოდგენას.

# სასამართლო

### ნიკოლოზ ლეონიძის და იოსებ ხოფერიძის საქმე

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. პაპავას თავმჯდომარეობით გაირჩა **ნიკოლოზ ლეონიძის** და **იოსებ ხოფერიძის** საქმე.

ლეონიძეს და ხოფერიძეს ბრალდებათ ნატალია ფედოროვას გაუპატიურების ცდა.

სასამართლომ დაჰკითხა მთელი რიგი მოწმეებისა, რომლითაც დადასტურდა აღნიშნულ ბრალდების უსაფუძვლობა.

სასამართლომ ლეონიძე და ხოფერიძე სცნო უდანაშაულოდ და გაამართლა.

### საზოგადოება „ბირლიკი“-ს თანამშრომელთა საქმე

მოწმეების დაკითხვა გრძელდება. მოწმე **შეინალიევი** მოუთხრობს სასამართლოს, რომ გამგეობის ყოფილი თავმჯდომარე „**მინასაზოვი** მოქმედებდა დამოუკიდებლად და სერიოზულ და მნიშვნელოვან საკითხებს გამგეობის სხდომაზე არ სვამდა გადასაჭრელად. მოწმის ჩვენებით, ს-ბა „ბირლიკი“-ს საშემოსავლო და გასავლის ორდერები იწერებოდა არა წესიერად. ხშირი იყო შემთხვევა, როცა სალაროდან გაცემული ფულის რაოდენობა სისწორით არ აღინიშნებოდა გასავლის ორდერში.

მოწმე ლაპარაკობს, რომ მინასაზოვი მოქ. სარატნიკოვისაგან სისტემატიურად სესხულობდა ფულს პირადი საჭიროებისათვის და სარგებელს კი აძლევდა ს-ბა „ბირლიკი“-ს მიმდინარე ანგარიშებიდან.

მოწმე **სარატნიკოვი** ამბობს, რომ იყო შემთხვევა მის მიერ მინასაზოვზე ფულის სესხება.

მოწმე **სიმონ გუსკო** აუწყებს სასამართლოს, რომ საწყობში მიღებულ მატყლს არ წონიდნენ, რაც აიხსნებოდა მით, რომ არ ჰყავდათ საკმაო კადრი მუშებისა.

სასამართლომ დაჰკითხა მთელი რიგი მოწმეებისა, რომლითაც დადასტურდა ის გარემოება, რომ ს-ბა „ბირლიკი“-ს აგენტები ღებულობდენ ავანსებს მატყლის შესაძენად და არ აძლევდენ სალაროში სათანადო ხელწერილებს.

შემდეგ სასამართლომ დაჰკითხა მოწმე **ალიევი, კასან-ოღლი და სეინ-ოღლი,** რომლებიც იმეორებენ წინასწარი გამოძიების დროს მიცემულ ჩვენებებს.

საღამოს სხდომაზე დასრულდა მოწმეების დაკითხვა, რის შემდეგ ექსპერტებს სასამართლოს მიერ მიეცათ მთელი რიგი კითხვებისა.

# დოღი

ჰაერი დაწმენდილია და აგრილებული წინა დღის წვიმით. ამიტომ, სამი მაისის დოღმა მრავალი ხალხი მიიზიდა.

დღეს რამდენიმე ფრიად საყურადღებო შეჯიბრებაა. ყველა მოუთმენლად ელის დოღის დაწყებას.

პირველ გაჯირითებაში მონაწილეობა უნდა მიეღო ქართ. დივიზიის და სამხ. სკოლის უჯიშო, მაგრამ რჩეულ რვა ცხენს.

სამი არ გამოცხადდა. ეს ჩვეულებრივი ჯირითი იყო და ვერ გამოიწვია დიდი ინტერესი. მიუხედავათ იმისა, რომ ექვსი ლობურა იყო გადასახტომი. შუა გზის იქით ცხენები თვალსაჩინოთ დაიქსაქსენ და უთანასწოროთ მოვიდენ ფინიშთან: პირველი „ელექტრიკი“, შემდეგ „დონი“ და „ყირგიზი“.

მანძილი—2½ ვერსი. პრიზი 80 მან.

მეორე გაჯირითება: აქ უკვე მთელი ხალხი გამოცოცხლებულია, რადგან ერთმანეთს ეკვეთება ორი რჩეული ბედაური: საქ. საჯინიბოს ნახევარ-ჯიშიანი „**სარდარი**“ და სომხ. საჯინიბოს სუფთა ჯიშის „**სოფისტი**“. პირველობა ძალიან სადაოა. „სარდარის“ სასარგებლოდ ლაპარაკობს მრავალი გამარჯვება, მაგრამ „სოფისტის“ ჯიშიანობაც საიმედოა. „სარდარის“ გამარჯვებას უფრო შესაძლებლად ხდის მისი ნაწრთობი მოჯირითე მიჩურინი, მაგრამ „სოფისტსაც“ მართავს ნაცადი მამიკონიანი.

ადგილიდან ტყუპ ძმასავით მოსწყდენ ორთავე მოწინააღმდეგენი. მეორე მოსახვევამდის არც ერთი მტკაველის დათმობა.

ცენტრში სოფისტმა გაიტანა გზა რამოდენიმე ადლით. ხალხი მაინც იმედიანათ უცქერის „სარდარსაც“ და მიჩურინსაც. მეოთხე მოსახვევში ისევ შეტოლდენ ბედაურები, მაგრამ ერთმანეთს აღარ აცდიან დაწინაურებას. ესტრადასთან სადემონსტრაციოდ „სარდარი“ იჩენს მთელ უნარს და ნახევარ ტანით გადაუსწრებს სოფისტს.

პირველი—„**სარდარი**“, მეორე—„**სოფისტი**“.

მანძილი—2 ვერსი. პრიზი—120 მან.

მესამე გაჯირითება უწესრიგოდ ჩატარდა. მონაწილეობას იღებდენ: „**ვარსკვლავი**“, „**აფხაზი**“, „**საარიხი**“ და „**ზორკი**“. ფინიშთან მოვიდენ „ზორკი“ და „საარიხი“, მაგრამ უწესობის გამო მათ არ ჩაეთვალათ გამარჯვება და პრიზი შერჩათ „აფხაზს“ და „ვარსკლავს“.

მანძილი 2½ ვერსი. პრიზი—60 მან.

ახალ ინტერესს იწვევს მეოთხე შეჯიბრება: აქ არიან სომხ. ნახევარ-ჯიშიანი ცნობილი „ბუნჩუკი“, აზერბეიჯანის ნახ.-ჯიშიანი „ცო-ტო“ და თბილისის დოღისათვის ჯერ უცნობი—სამხ.-ოსეთის სუფთა ჯიშის „მოსსო“. სამივეს აქვთ შანსი პირველობისა.

ადგილიდან თაოსნობა აიღო „ცო-ტომ“. მას ფეხდაფეხ მისდევს „**მოსსო**“ და მასთან „**ბუნჩუკი**“. ცენტრიდან „ბუნჩუკი“ გადაუსწრებს „მოსსოს“ და ჩქარა „ცო-ტოსაც“.

მეოთხე საბედისწერო მოსახვევიდან სწორი ხაზით მოდიან თითო კორპუსის დაშორებით „ბუნჩუკი“, „მოსსო“ და „ცო-ტო“. ფინიშთან „მოსსომ“ მოიხმარა მარიფათი, მაგრამ „ბუნჩუკს“ მაინც ჩამორჩა ნახევარ ტანით.

„ბუნჩუკ“—„მოსსო“—„ცო-ტო“.

მანძილი 1½ ვერსი. პრიზი—100 მან.

მთელ ჩოჩქოლს იწვევს ხალხში მეხუთე გაჯირითება. „**ზემბო**“ და „**მალახიტი**“.—ორი სიამაყე, ორი ბედაური—პირველი საქ. საჯინიბოსი და მეორე—სომხეთისა, ხელმეორედ ედავებიან ერთმანეთს პირველობას, რომელიც 18 აპრილს მოიპოვა „ზემბომ“. ღირსეულ ბედაურებს—ღირსეული მოჯირითენიც ჰყავთ: „ზემბოს“—კამბეკოვი და „მალახიტს“—მამიკონიანი.

გასავლელია 2 ვერსი. პრიზი—300 მანეთი.

დაჰკრა ზარმა—და მოსწყდენ წითელი და ლურჯი ვარსკლავები. „ზემბო“ თავით იდგა წინ და ეგრევეც მიდიან. ცენტრში—ისევ ერთად არიან. არც ერთი ფიქრობს ჩამორჩენას. გამარჯვების იმედი ორთავე ბედაურის მომხრეებს [illegible] საბედისწერო [illegible].

ხალხი ფეხზე სდგას, ჩოჩქოლობს. ერთი ნაბიჯი გადაწყვეტს გამარჯვებას. მოჯირითენი ამ გამარჯვებისათვის [illegible] ნედ იცავენ ჯირითის სილამაზეს და ერთ წკეპლასაც არა ხმარობენ. სუფთა სისხლს აღელვება არა სჭირდება წკეპლით! მოხელეტილი ისრებივით გაისრიალეს მიწის პირად გამარჯვების მოდავეებმა. ხალხი აღტაცებით ტაშს უკრავს. „ზემბოს“ გამარჯვება შერჩა თავის ლამაზი თავით.

ეს იყო ულამაზესი გაჯირითება. სტარტიდან—ფინიშამდის თითქოს არც-ერთი ხაზი არ შეშლილა ამ ორ ბედაურ შორის.

მესამე გაჯირითებაში პირველობა ერგო ნახ.-ჯიშიან „რივიერას“. სულერთიან წაზიდა ესტრადასთან—„გულივერი“, რომელსაც სამარცხვინოდ აჯობა მთელ სარბიელზე ჩამორჩენილმა „გერამაც“ კი.

მანძილი—1¼ ვერსი. პრიზი—80 მან.

მოამბე.

# პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომპარტიის (ბ) **თბილისის კომიტეტი** წინადადებას აძლევს ყველა რაიკომებს **ერთიან პარტიულ დღეს,** პარასკევს, 7 მაისს, უჯრედების სხდომებზე წაკითხულ იქნეს მოხსენებები **საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას პლენუმის შედეგების შესახებ (საბჭოთა კავშირის ეკონომიური მდგომარეობა).**

მასალებად გამოყენებულ იქნეს მოხსენებები: **სტალინის, რიკოვის, კუიბიშევის და ძერჟინსკის** („პრავდა“). **ორჯონიკიძის** („ბაკინსკი რაბოჩი“). **ნაზარეტიანის** (თბილისის გაზეთები) და საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ცირკულიარი მომჭირნეობის შესახებ.

თბილისის კომიტეტის მდივანი **ასრიბეკოვი.**

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის **მეორე რაიკომის** სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იტყობინება, რომ დღეს, ოთხშაბათს, 5 მაისს, საღამოს 5 საათზე რაიონის საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის კაბინეტში (პლეხანოვის ქ. № 96) შესდგება ყველა ტიპის **სკოლების ხელმძღვანელთა თათბირი მამასახლისებთან** ერთად.

აუცილებლად დაუგვიანებლად უნდა გამოცხადდენ მეორე რაიონის სკოლების ყველა ხელმძღვანელები და მამასახლისები.

„რემედას“-ის მეორე რაიკომი იტყობინება, რომ დღეს, ოთხშაბათს, 5 მაისს, საღამოს 5 საათზე რაიკომის შენობაში მოწვეულია **„რემედას“-ის მეორე რაიკომის სხდომა.**

უნდა გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები: 1) პერცევი, 2) მელანიძე, 3) მაკარჩუკი, 4) მთვრალაშვილი, 5) შჩეკინი, 6) ხომერიკი, 7) შახვერდოვი, 8) ტოროზოვი, 9) სტრუჩალინი.

---

ა. წ. 5 მაისს

## არუსიაკ პეტროსოვი-ცინცაძის

გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავათ, საღამოს 5 საათზე შესდგება სამოქალაქო პანაშვიდი მის საფლავზე (ნიკოლოზის სასაფლაოზე), რასაც აცნობებენ ამხანაგებსა და მეგობრებს **კოტე და ვიკუნია ცინცაძეები.** ნ. 1245 2—2

---

ღრმად დამწუხრებული მშობლები: დედა მართა, მამა ანტონი, დები—ნათელა და სილვია, ძმა გიგული მუჯირები, მამიდები—ელენე ჯანაშიასი, მარო გორდელაძისა, მამიდაშვილები: სიმონიკო ჯანაშია, ვანიჩკა, საშა და ნინო ჩიგოგიძეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ მათი ძვირფასი და საყვარელი

## ანიკო მუჯირი-თავართქილაძის

უდროოდ დაკარგვის გამო ორმოცი დღის აღსანიშნავი სამოქალაქო პანაშვიდი გადახდილი იქნება ქალ. ქუთაისში შაბათს, 8 მაისს, დღის 1 საათზე 2355

---

ღრმად დამწუხრებული: დედა ეკატერინე ბიჭიას ასული, ძმები ალექსანდრე და სიმონი, რძლები—ქეთო და ივლიანე, დები—ლიზა, ვერიჩკა, ნინა და ელენე, ძმისწულები—გივი და ოთარი ლეჟავეები, სიძეები—ალექსანდრე სიმონის ძე კახიძე და ვარლამ სამსონის ძე მაჭავარიანი, დისწულები იოსებ და სიფორა, ბიძეები—კოწია ვახვახიშვილი, ბაბუა ბიჭია იოსების ძე გურგენიძე, ბიძეები—ანჯიკო ოტიას ძე ნემსაძე, ალექსანდრე, სიმონი, იოსები, მელიტონ და ვასილ გურგენიძეები აცნობებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი

## დათიკო (დავით) კონსტანტინეს ძე ლეჟავა

დაკრძალვა 8 მაისს, დღით შაბათს სოფელ დაბლა საქარაში, ნაშუადღევის 4 საათზე. 2388 2—1

---

ღრმად დამწუხრებული დედა მარიამ ალექსის ასული ჩხიკვაძე, ძმები აბესალომ და მიხეილ ექვთიმესძე ჩხიკვაძეები, სიძე ვლადიმერ რომანოზისძე და და ოლღა ექვთიმეს ასული ჩოჩიები შვილებით: აკაკი და როზათი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ 3 მაისს გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი, კომკავშირელი

## ლიდა ექვთიმეს ასული ჩხიკვაძე

რომლის დაკრძალვა მოხდება ქუთაისში 6 მაისს ხუთშაბათს, საღამოს 5 საათზე საფირჩხიის სასაფლაოზე. გამოსვენება ლენინის ქუჩა სახლი № 43, ბინა ჩოჩიასი ნ. 1249

---

დიდი წარმატების გამო გაგრძელებულია ჩვენება მეორე კვირაში

აპოლლო არტისტო ლოლი

„ნ ა მ უ ს ი“

შირვან-ზადეს რომანის მიხედვით.
რეჟისორი ა. ბეკ-ნაზაროვი
ოპერატორი ს. ზაბოზლაევი
სურათის ჩვენების დროს უკრავს სიმებიანი ორკესტრი და დუდუკი
ყველა კონტრამარკები გაუქმებულია
ანონსი: ჩქარა „ძინა ძაძუ“
ი—27 ნ. 972

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი მიხეილ გედევანიშვილის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ, თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20 50—30

სათვალეების მორიგება უფასოდ

ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 3—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 13—63. 25—1

გამოვიდა და ყველა წიგნის მაღაზიებში იყიდება

ექ. გ. მუქავანაძის ახალი წიგნაკი „აბორტი ზახმარო“

აბორტის რუქით და რამდენიმე სახეებით ტექსტში
მოიკითხეთ თბილისის ყველა წიგნის მაღაზიებში 3—1

### თბილისის აღმასკომის კომუნალურ განყოფილებასთან არსებული ელქვანი

(ელექტრო-ქსელის გამთვლელ დაყენების განყოფილება, თავისუფლების მოედანი № 2), ამით აცხადებს, რომ ოთხშაბათიდან, 28 აპრილიდან გაიხსნა განცხადებების მიღება მოქალაქეებიდან ზაჰესის ელექტრო-დენის მისაღებად არსებულ ელექტრო-გაყვანილობების გადაკეთებაზე და აგრეთვე ახალის მოწყობაზე 6-და 10 თვის ვადიან **კრედიტით.**

მოქალაქეებმა, რომელთაც სურთ ისარგებლონ **კრედიტით** ელექტრო-გაყვანილობების გადასაკეთებლად და ახალი დადგმულობების მოსაწყობად, უნდა დასდონ განსაკუთრებული ხელშეკრულება.

კრედიტის გაცემისა და მით სარგებლობის დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება ელქვანის კანცელარიაში, სამუშაო საათებში.

ელქვანი საჭიროდ სცნობს განაცხადოს აგრეთვე შემდეგი: მოქალაქეებმა, რომელთაც აქვთ ელექტრო-დადგმულობები და სურთ ისარგებლონ ზაჰესის ელექტრო-დენით (მიუხედავად იმისა, ითვლებიან თუ არა რომელიმე ელექტრო-სადგურის აბონენტად), ეხლავე უნდა იზრუნონ, რომ მათი ელექტრო-დადგმულობანი შემოწმებულ იქნენ ელქვანის მიერ.

**შენიშვნა:** თბილისის აღმასკომმა შესაძლებლად სცნო დაუშვას ელექტრო დადგმულობანი, რომლებიც აკმაყოფილებენ ს. ს. ს. რ. შრომის კომისარიატის შემსუბუქებულ ნორმებსა და წესებს.

ელექტრო-გაყვანილობანი, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ზემოხსენებულ ნორმებს, არ იქნებიან შეერთებული ზაჰესის ახალ ელექტრო-ქსელთან.

ნ. 1226 3—2. ელქვანის გამგე: **ბრეგაძე.**

მთ. ინჟინერ პროფესორი: **დიდებულიძე.**

---

### თანახმად ა.-კ. სახკომსაბჭოს № 4 დადგენილებისა

(12 თებ. 1925 წლ.) საქ. ს.მ.უ.ს. ეკონ. სამართველოში

დამტკიცებულია

## სავაჭრო ნიშნები

შემდეგი ფირმებისა:

1. ფ. „**ფეროვანისა**“ ღვინ. საწყობი ნ. გ. ტერტეროვისა. ეტიკეტზე მარკად ყურძნის მტევანია. წარწერა ქართულად და რუსულადაა: „კახური ღვინო „ფეროვანი“ ნ. გ. ტერტეროვი“.
2. **ექ. ელ. ნიკ. კამაევა-სომოვისა** კბილის ფხვნილის წარმოებისა. ლურჯ ფონზე თეთრად და შავად დაწერილია: „კბილის საწმენდი ფხვნილი, კბილის ექიმი ნ. ი. კამაევისა“ მეორე გვერდზე კოლოფი შეიცავს წარწერას: „ამზადებს ექიმი კამაევა-სომოვა“.
3. ფ. „**ვაქირისა**“ ღვინ. საწყ. გ. დ. ბებურიშვილისა. მარკად ელიფსში ჩახატული კაცია, რომელსაც ერთ ხელში ყანწი უჭირავს, ხოლო მეორე მაგიდაზე შემოდგმულ ხედას უკავია. წარწერა ქართულად და რუსულადაა: „კახური ღვინო „ვაქირი“, გ. დ. ბებურიშვილი“.
4. ფ. „**საიმედოსი**“, ღვინ. საწყ. ივ. ნიკ. მეხაშიშვილისა, მარკად წითელ წრეში ჩაწერილი ინიციალებია „ვ. მ. და ამხ.“ წითელ ლენტზე აწერია „საიმედო“. წარწერა რუსულად და ქართულადაა: „კახური ღვინო ვ. მეხაშიშვილი და ამხ. თბილისი, ვერცხლის ქ. № 56“.
5. ფ. „**რუის პირისა**“ ღვ. საწყობი გ. ი. ხანგულოვისა. მარკად გადაბრუნებული ტიკია, რომლის გვერდით ყანწი და თასია. წარწერა ქართულად და რუსულადაა „კახური ღვინო „რუის-პირი“ გ. ი. ხანგულოვისა სერგიევის ქ. № 1“.

მრეწვ. ინსპექტ. ა. მებურიშვილი

ნ. 1247. კანცგამგე ა. შენგელია.

---

### ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ლ. ს. სვიატოდუხოვი

ამით აცხადებს, რომ 8 მაისს 1926 წ. დღის 12 საათზე სახლში № 13 სომხის ბაზარზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის იაკოფ გიორგობიანის მოძრავ ქონებას: ორ უნაგირს, შეფასებულს 75 მანეთად, იოსებ დიმიტრაშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის მე-2 რაიონის სახალხო სასამართლოსაგან 8 აპრილს 1926 წ. თარიღით, № 1291, გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 2354

ექიმი ი. დ. თოფურიძე

კალინინის (ყოფ. ნიკოლოზის) № 33. მიიღებს ავადმყოფებს. კანის, სიფილისი და ვენერიულ (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) საღამოს 6—7.

მედიცინის დოქ. ა. ა. მონსე

დაბრუნდა და განაახლა მიღება. **მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი.** იღებს დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა. კამოს ქ. № 17, ზემო სართული ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად). 25—19

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ.

ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8. 25—17

მედიცინის დოქტორი ვ. ა. ახვერდოვი

ვენერიული სნეულ. და სიფილისი

დილის 9—12 საათამდე, საღამოს 6—8 ნახ. საათამდე.

პლეხანოვის პრ. № 7 (შესავალი ამავე სახლის კუთხიდან). 25—7

ექიმი არსენ ვადაჭკორია

ღებულობს ქალთა ავადმყოფებს და აგრეთვე უწევს სამეანო დახმარებას დილის 8—10 ს. საღ. 4—7 ს-დე. ყოფილი ოლღის) ლენინის ქ. № 35 ( 25—11

კბილის ექიმი

ფ. თ. რატიან-თუხარელისა

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა, ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა №18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ). 25—20

ექიმი

დ. ვ. ჯავახიშვილი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი

ავადმყოფ. მიიღებს დილით 8—9 საათამდე, საღამოთი 6—7 საათ-დის ყოველ დღე გარდა კვირისა.

პლეხანოვის გამზირი (ყოფ. მიხეილის) № 64.

ექიმი

დ. ვ. ჯავახიშვილი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი

ავადმყოფ. მიიღებს დილით 8—9 საათამდე, საღამოთი 6—7 საათ-დის ყოველ დღე გარდა კვირისა.

პლეხანოვის გამზირი (ყოფ. მიხეილის) № 64.

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე საპიორის ქუჩა № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან 25—18

ექიმი ჯალალოვი

კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი.

შეშხაპუნება „914“ ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფები მიიღება დილის 8—9 საათ. საღამოს 5 დან—9 საათამდე; ქალები 4—5 საათ. საღამოს.

მისაზართი: კამოს ქუჩა № 19 (ყოფილი დიდი მთავრის ქ.) ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად 22—1

ექიმი

გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ყოფ. ელისაბედის ქუჩა № 3. 2215 31—1

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი

მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბო-მონდი).

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 25—17

დოქტორი გ. მეგრაბიანი

ფილტვების, გულის და ციების

წამლობა ხელოვნიური მთის მზით პნეიმოტორაქსის და ტუბერკულოზის, რ ე ნ ტ გ ე ნ ი ს და სინათლით ელექტრონის სამკურნალო. კაბინეთში—იღებს 9—1 საათ. დილ. 5—8 საღ. ბებუთოვის ქუჩა № 23.

ავადმყოფების მიღებას პროფესორი მ. წინამძღვრიშვილი აწარმოებს დილის 9 საათიდან სრულ 10 ს—მდე და საღამოს 6—8 ს—მდე, გარდა კვირისა. ყოფ. ელისაბედის ქუჩა № 7. ტელეფ. 14—5 25—16

ექ. ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 1—2 საათ. დღე და 6—8 ს. საღამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს.

მ ი ს ა მ ა რ თ ი: რუსთვ. პროსპ. № 18 შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან. 25—1

ექიმი გ. მ. ფხალაძე

კანის და ვენერიული სნეულებანი

(სიფილისი „606“—„914“)

ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—8, საათ. ქალების საღამოთი 5—6 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ. № 4 ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემმელის აფთიაქის პირდაპირ). 25—18

ე ქ ი მ ი

დ. ა. გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დაავადებულ საერთო ნერვიულ სისტემის სენით, აგრეთვე მკურნალობს სულით ავადმყოფებს

დილის 9—11 ს., საღამოს 4—5 ს. ძნელაძეს ქ. (ყოფ. საპიორის) № 3 25—8

თვალის ექიმი

მაევსკი

პლეხანოვის პროსპექტი

(ყოფილი მიხეილის პრ.) № 53 (მთავარი ფოსტის პირდაპირ) მიღება დილის 9-დან 11 საათამდე, დღის 1-დან 3-დე, საღამოს 7-დან 8-მდე. 35—1

ავადმყოფების მიღებას პროფესორი მ. წინამძღვრიშვილი აწარმოებს დილის 9 საათიდან სრულ 10 ს—მდე და საღამოს 6—8 ს—მდე, გარდა კვირისა. ყოფ. ელისაბედის ქუჩა № 7. ტელეფ. 14—56 25—1

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი

შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი

მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9-ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე. სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—25

თვალის ექიმი ა. გ. მალაევი

ღებულობს ავადმყოფებს დილით 8—9 საათ. საღამოს 6—7 საათ. ელისაბედის ქუჩა № 47, ტელეფ № 5—90 თვალის საავადმყოფო. 25—12

ექიმი ი. ი. ჯიოშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი იღებს ავადმყოფ. დილ. 8—9 საათ. და საღ. 6— საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდი მთავრის ქუჩა). 25—7

დ. აბაშა

კბილის ექიმმა

ა. ნადარეიშვილმა

ინგანაახლა ავადმყოფების მიღება. ბინეტთან არსებობს კბილის სატექნიკო ლაბორატორია, სადაც მზადდება ყოველგვარი ხელოვნური კბილები. 25—22

პროფ. გრ. მუხაძემ

ავადმყოფობის შემდეგ განახლა ავადმყოფების მიღება

მიღება სწარმოებს საღამოს 5-დან—6 საათამდე კვირა დღის გარდა

მ ი ს ა მ ა რ თ ი: პლეხანოვის პროსპ. № 58, ტელეფონი № 5—77 25—7

ე ქ ი მ ი

ნ. გ. ახვერდოვი.

ქალთა ავადმყოფობა და მეანობა (ელექტრონით და სინათლით მკურნალობა)

ავადმყოფების მიღება დილით 9—11 საათ. საღამოს 4—7 საათამდე იძის დალმართი № 15, ყოპირდი,

დ ა ბ რ უ ნ დ ა

ექიმი ზანდუკელი

შინაგან და ნერვიულ ავადმყ.

ელექტრონის კაბინეტი

მიღება საღამოს 7—8 საათ., ლენინის (ოლღას ქ. № 49) ტელ. 4—82 25—1 ქვ. 2356

ექიმი გ. ნ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.

მიღება საღამოს 5—7 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 38. 25—8

**დაიკარგა** „ზაკტოს“ სამუშაო წიგნაკი № 2519 კონსტანტინე გიორგისძე არველაძის სახელზე, ჩ. გ. 1245

**დაიკარგა** პირადობის მოწმობა სურათით № 26117 ალექსანდრე ბარნაბისძე ტყეშელაშვილის სახელზე. ჩ. გ. 2353

**დაიკარგა** კომკავშირის წიგნაკი № 401 და პირადობის მოწმობა ბიძინა გორგასლიძეს სახელზე. ჩ. გ. 2351

**დაიკარგა** პირადობის უვადო წიგნაკი № 2.556 ლუარსაბ ოქროპირისძე სვანიძეს სახელზე, ჩ. გ. ქვ. 2352

**დაიკარგა** პარტ-საკანდიდატო მანდატი № 14629 სარდიონ ბეროსძე კვამლაძის სახელზე ჩ. გ. ნ. 1248

**დაიკარგა** პროფკავშირის წიგნაკი № 12896 ალექსი ნიკოლოზისძე იგოროვის სახელზე. ჩ. გ. ნ. 1248

**დაიკარგა** პირადობის მოწმობა და სამხედრო აღრიცხვის ბარათი № 18 ახალქალაქის (გორის მაზრა) თემის აღმასკომის მიერ გაცემული ვასილ ვასილისძე როსებაშვილის სახელზე. ჩ. გ.

**დაიკარგა** პირადობის მოწმობა მოცემული რკ. გზის 1 უბნის მოძრაობის დარგიდან № 35778 ვერა და აკაკი სანაძეების სახელზე, ჩ. გ. ა. 2357